ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№428 (487) 24 აპრილი-8 მაისი 2018 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## საპატრიარქო კარის თამაშები

(ინტერვიუ გენერალ ვახტანგ გვარამიასთან)

გვ.8

## ზურაბ კვარაცხელია: მავან მატრაკვეცათა საყურადღებოდ!

გვ.8

## ლუარა სორდია: მერაბ კოსტავას პოეზია

გვ.9



## როგორ გააკოტრა, დააქცია და გაყიდა სააკაშვილმა საქართველო

გვ.10



## ჰამლეტ ჭიპაშვილი: რუსოფობია დამღუპველია ქვეყნისთვის

გვ.5



## სერგი (გიორგი) საჯაია: არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

გვ.7

## ომარ გოცაძე შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო

გვ.6

## ზურაბ ჭკადუა: გამარჯობა, აფხაზეთო! ...და კენები (ხალიბები)!

გვ.3



გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

## ლალი პაპასქირი აფხაზური მორდუობის ტრადიცია და ფიცის გატეხვის გამო მოკლული შვილი — აფხაზი ქალის ორი ბაბუის დაუჯერებელი ამბავი

გვ.11

# ღია წერილი ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს, ანუ ვინ ანგრევს ეროვნულ ერთიანობას

კუკური ფიფია

დიახ, აშკარად მავნებლურია მცდელობა კაცობრიობის პირველად ენას – იბერიულს და იბერ ხალხს წაართვა მის მიერ შექმნილი კაცობრიობის პირველი, უნიკალური ანბანური დამწერლობანი – მხედრული და ასომთავრული, რომელზეც 2005 წლიდან იციან ჩვენმა მეცნიერებმა (იხ. ჩვენი **ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი),** მაგრამ ისე არიან გაჩუმებული, ვითომც არაფერი სმენიათ მასზე და მის მაგივრად შეუქმნა მეგრულ ენას სხვა პრიმიტიული ანბანი, რომლის მცდელობა ქართის ტომის წარმომადგენელთაგან ადრეც ყოფილა. ასეთი მცდელობის მეგრელებისთვის დაბრალება ზეწოლაა, პირდაპირ ბიძგია სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფისკენ. ასეთი მცდელობა, რომ არ არსებობდეს სამეგრელოში ღვინჯილია, რომელიც გადმოცემის თანახმად, თურმე ცდილობს დამოუკიდებელი სამეგრელოს შექმნას, უეჭველად გამოჩეკს ახალ ღვინჯილიას. ამასთან, ჩვენი გაყალბებული ისტორიისა და ჭეშმარიტების დამალვის ფონზე, ვერაგი ფარული ძალა, რომელიც ვერადავერ ისვენებს, ყოველთვის იპოვის ქართლურ მხარეზე ფუტკარაძეებს და მეგრულ მხარეზე ღვინჯილიებს, რომელიც სულაც არ გავს მეგრელს. ის უფრო რუსს გავს და სახელიც **იური** ჰქვია (იხ. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2018, №9).

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოსდა, ორივე ეს ანტიეროვნული მხარე, ბატონო ტარიელ, ერთმანეთში შეთანხმებულად მოქმედებთ, ხოლო ორივეს ერთი ვერაგი, ფარული ძალა გდირიჟორობთ. მაგრამ ურთიერთ დაპირისპირების საფუძველი, სწორედ, ჩვენი ისტორიის ბრიყვულად გაყალბებამ და ჭეშმარიტების დამალვამ მისცა ამ დირიჟორს. ეს რეალობა თუ არ გააცნობიერა მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და ერის ჭეშმარიტი ისტორია არ მიაწოდა საზოგადოებას, ისეთივე სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით ყოველთვის, როგორშიც დღეს ვიმყოფებით. თუმცა, ასეთი ქმედება არც გარე აგრესიული ძალებისგანაა გასაკვირი და არც შინაურ ბრიყვთაგან. მაგრამ საგანგაშო და ტრაგიკული შედეგის გარდუვალობა ჩანს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის საეჭვო დუმილსა და მგლოვიარეთა პოზაში, **გრაკლიანის წარწერის** ამოკითხვის გამო.

საქმე ისაა, რომ 2015 წლის ივლისში აღმოჩენილ 3000 წლის წინანდელ გრაკლიანის წარწერაში, რომელმაც მსოფლიო შეძრა და ამ აღმოჩენის შესახებ ცნობები ევროპის ყველა წამყვანი ქვეყნების მთავარ გამოცემებში იქნა გამოქვეყნებული, 2017 წლის 24 აგვისტოს 15-20 წუთში უცდომლად ამოვიკითხე იბერიულ ენაზე: „ქიანა მიყორც“ და გამოვაქვეყნე გაზეთებში „ილორი“ და „საერთო გაზეთი“, მაგრამ არავითარი რეაგირება, – მკვდარმა დუმილმა დაისადგურა.

მიმდინარე წლის 7 მარტს საგანგებოდ მაცნობეს, დღეს $17^{00}$ საათზე, საჯარო ბიბლიოთეკაში განიხილავენ გრაკლიანის წარწერას და დაესწარიო. მოხსენება გააკეთეს ეთნოგრაფმა გიორგი გიგაურმა, ფსიქოლოგმა ბოგველმა და ენათმეცნიერმა ქ-ნმა სოხაძემ, რომელთა სახელები არ მახსოვს.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გიორგი გიგაურის მიერ წარმოდგენილმა, მისი თქმით, გრაკლიანის წარწერის აღმოჩენის პირველივე დღეებში გადმოხატულმა და არა ფოტოაპარატით გადმოღებულმა წარწერამ, რომელიც ძალიან განსხვავდება ინტერნეტში დადებული სურათებისაგან. ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ აღმოჩენის პირველ დღეებში ასეთი იყოო წარწერა, მაგრამ მალე დეფორმაცია მიიღო და ინტერნეტში დეფორმაციამიღებული წარწერის სურათები დევსო. ეხლა უფრო და უფრო ირღვევა და რომ შეინარჩუნონ წებო ვერ იშოვესო. ამ წარწერისა და აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არტეფაქტების შესანახად შენდება მუზეუმი, რომელიც ხელისუფლებამ დააფინანსა და განა ასი ლარის ღირებულების წებოს შეძენა გაჭირდა, მაგრამ აქ სულ სხვაა მიზანი: ამ უნიკალური წარწერის იგნორირებაში ე.წ. ქართველი ერის საბოლოო დაშლა-განადგურებაა დაგეგმილი.

ჩემს მიერ გრაკლიანის წარწერის ამოკითხვისა და გაზეთებში გამოქვეყნების შემდეგ იწყებს ეს წარწერა რღვევას და დაცვა თუ ვერ მოხერხდა, მალე აღიგვება პირისაგან მიწისა.

ინტერნეტში დადებული გრაკლიანის წარწერის გვერდით დევს ბ-ნ გიორგი გიგაურის მოსაზრებები და კომენტარები, სადაც აღნიშნავს, რომ წარწერა შეიძლება არამეული იყოს, შეიძლება ლიგატურა იყოს და ა.შ., მაგრამ „წარწერის აღმოჩენის დღეებში გადმოხატულ სურათზე“ არაფერია თქმული. 7 მარტს ბატონმა გიორგიმ უარყო თავისი ადრინდელი ვარაუდი: წარწერა, შეიძლება, ლიგატურას წარმოადგენდესო.

რითი გინდა დააჯერო ნორმალური ადამიანი, რომ ეს „გადმონახატი“ გუშინ არ დაიხატა, ჩემი წერილების გამოქვეყნებისა და ზუგდიდში გაკეთებული, ჩემი მოხსენების ინტერნეტში დადების შემდეგ? განა შეიძლება არსებობდეს იმაზე მეტი უსუსურობა და არასერიოზულობა, რომ ნაზი ხანიაშვილივით საზოგადოებას მოუყვე ზღაპარი, თუ სიზმარი და უთხრა: მე ვთქვი და თქვენ დაიჯერებთ თუ არა, სულ ცალ ფეხზე მკიდიაო.

რაშია საქმე ბატონო ტარიელ? ვისი მიზანია საქართველოს კუთხეებად დაშლა? ვინ ანგრევს ეროვნულ ერთიანობას? არ ჩანს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზემოთ აღნიშნულ დუმილში უკიდურესი უსუსურობა და ეროვნულ-სულიერი ცნობიერების სიღატაკე?

ჩვენ უფრო მნიშვნელოვანი რამ აღმოვაჩინეთ გრაკლიანის გორაზე, ვიდრე ეს ორ სიტყვიანი წარწერაა, მაგრამ ამისთვის ყურადღება, ჩემს გარდა, არავის მიუქცევია და საერთოდ არაა დაცული. მე კი უკვე გაცხადებისა მეშინია, რადგან არსად არაა დაფიქსირებული და შეიძლება, გაცხადების შემთხვევაში, საერთოდ, გაანადგურონ.

იმის შეუვალი მტკიცებულებები, თეორიული კვლევები და არქეოლოგიური ფაქტობრივი მასალები, რომ ულამაზესი მხედრული და იდეამატარებელი, საოცრად სრულყოფილი ასომთავრული იბერთა მონაპოვარია, საკმაოდ გაგვაჩნია, რაზეც მუდმივად ქვეყნდება ჩემი პუბლიკაციები და რაც გრაკლიანის წარწერამაც დაადასტურა, მაგრამ მაღალკვალიფიცირებულ მეცნიერთა ძალისხმევითა და ძალდატანებით მოპოვებულ სამეცნიერო წოდებებით თავმომწონე მომეცნიერო ინდივიდები იგნორირებას უწევენ ჩემს მეცნიერულ კვლევებს და თავიანთ ცრუ წარმოდგენებს ახვევენ მოსახლეობის ჭეშმარიტებაში გაურკვეველ უმრავლესობას. ჭეშმარიტებად მიღებული ცრუ დოგმის საფუძველზე, პირველი ქართული დამწერლობაა **ასომთავრული,** რომლის შექმნისას, თურმე, პროტოტიპად იქნა გამოყენებული რომელიღაც ერთი უცხოური დამწერლობა, მაგრამ რომელი, მეცნიერთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. თურმე, გვიან ასომთავრულის განვითარების შედეგად ჩამოყალიბებულა **ნუსხური,** ხოლო ნუსხურისაგან კი მხედრული. ამ მტკნარ სიცრუეს ასწავლით დღემდე, ჯიუტად, ბატონო ტარიელ, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, როცა ამაზე არავითარი მეცნიერული მტკიცებულებები არ არსებობს. დასაბამიერი, ადამჟამინდელი იბერიული ენის პირდაპირი მკვლელობაა ამ ენაზე მწერლობის აკრძალვა, რადგან დედა იბერიული ენის შენარჩუნების სხვა მექანიზმი არ არსებობს.

შეუძლებელია ისტორიული სამწიგნობრო ენიდან იბერთა და იბერიული (იგივე, მეგრული) ენის დისტანცირება, რადგან ჩვენი სახელმწიფო და სალიტერატურო ენა, იბერიული ენის 70%-იანი წილით, ახალი იბერიული ენაა. მაგრამ ამის გაგონება და აღიარება არ გსურთ, ბატონო ტარიელ, ე.წ. ქართველი ერის სახელმწიფოებრიობისა და ე.წ. ქართული ენის „ქომაგებს“.

რეალურ სინამდვილეში ღრმად ჩაუხედავ მკითხველი საზოგადოების გონებრივ თვალსაწიერში ილუზიის შესაქმნელადაა გამოყენებული კონსტანტინე გამსახურდიას ფაქტობრივი ანდერძი:

„...სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ გარეგან სესხს – ბარბარიზმებს – დაეყრდნოს. აქ უმთავრესია „შინაგანი სესხი“. ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ჭანურ და **ოდიშურ დიალექტებიდან** (ხაზგასმა ჩემია, – კ.ფ.) ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა...“ „XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურულის ენობრივი ელემენტების სინთეზი“.

ბატონო ტარიელ, ქართული სახელმწიფოებრიობისა და საერთო სალიტერატურო ენის ერთიანობის „ქომაგები“ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებთ, თითქოსდა, ამ ანდერძიდან ყველაფერი გქონდეთ მოგვარებული. და მხოლოდ მეგრულ ენასთან მიმართებაში გქონდეთ გართულება.

მიუხედავად იმისა, ათი საუკუნის წინ, ქართლური, ანუ უცხო ენათა კონგლომერატი ეროვნულ იბერიულ ჩარჩოებში იქნა მოქცეული და იბერიულ გრამატიკულ კანონზომიერებებს დაქვემდებარებული, ამ კონგლომერატის ზოგ წარმომადგენელს ჰგონია ჩვენი სახელმწიფო ენა, თუ მთლიანად არა, მეტწილად ქართლურია, რადგან ლექსიკური ფონდის 66%-ს ეს კონგლომერატი მოიცავს და მეგრულ ენაში საერთო სახელმწიფო ენის ალტერნატივას ხედავს. მაგრამ სინამდვილეში, როგორც აღვნიშნეთ, ე.წ. ქართული ენა ახალი იბერიული ენაა და განა შეიძლება ძველი იბერიული ენა ახალი იბერიული ენის ალტერნატივა იყოს, მით უმეტეს, როცა ის 10 საუკუნეა სახელმწიფო ენაა? განა შეიძლება დედა შვილის ალტერნატივა იყოს? არც მეგრულ ენას გააჩნია ალტერნატივა. ის უზენაესი შემოქმედის პირველადი, ერთადერთი და პირდაპირი ფიზიკური გამოვლინებაა, რამდენადაც ერთადერთი ეს ენა ინახავს ადამიანური მეტყველების წარმოშობის საფუძველს, კერძოდ, ბუნებისგან – უზენაესი შემოქმედის ფიზიკური გამოვლინებისგან ნაკარნახევი ჰარმონიულ ბგერათა კომპლექსების, ერთთანხმოვნიანი ბგერა-სიტყვებისა და სამეტყველო ბგერების წარმოშობის საიდუმლოებებს (ეს საკითხი შესწავლილი გვაქვს და ღვთის წყალობით მალე იხილავს დღის სინათლეს). ამიტომ მოიცავს იგი დედამიწაზე არსებულ ოთხივე ტიპის ენობრივ მახასიათებლებს (იხ. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, ვ. ვახანია, მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა, შვიდტომეული, ტ. I, 2007, გვ. 172-173). ამიტომ ხსნის იგი არამხოლოდ ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიას, არამედ სხვა ძველი უცხო ენების მიერ შემონახულ, არქაულ ხანაში ჩასახულ სიტყვათა ეტიმოლოგიასაც, „იაფეტური ენა არის ერთიანი გლოტოგონიური ფენომენი, საერთო საფუძველი ყველა ენებისა, რომელნიც წარმოიშვნენ მისგან დიფერენციაციის პროცესში“.

ამდენად, პატივდიდება კი არა, შეურაცხყოფა იქნებოდა მეგრული ენისათვის, არათუ რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭება, ან კიდევ, პატარა საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსის აღდგენა, არამედ ძველი იბერიული ცივილიზაციის გავრცელების არეალში, ანუ დედამიწის მთელ აღმოსავლეთ ნახევარსფეროში **გაერთიანებული სახელმწიფოს (**რომც არსებობდეს ასეთი ერთიანი სახელმწიფო) სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება, რამეთუ მეგრული ენა დედამიწაზე არსებულ ყველა ენათა დედაა და ის მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა. ასე ინება და დაადგინა განგებამ. ამიტომ ვისაც შეუძლია და სურვილი აქვს, შეუზღუდველად შეუძლია გამოიყენოს იგი ბუნების, ჯერჯერობით, აუხსნელი საიდუმლოებების უკეთ შესაცნობად, ხოლო ვისაც არ შეუძლია და არც სურვილი აქვს მისი გამოყენებისა, ეს მისი პრობლემაა და არა მეგრელებისა და მეგრული ენისა. ამიტომაც აუცილებელია მეგრულენოვანი პრესისა და წიგნების გამოცემა, ტელესტუდიებში მეგრულენოვანი გადაცემები, რომ სრულად გამოვლინდეს ამ პირველადი ენის ენობრივი და შეუდარებელი გამომსახველობითი უნარი და შესაძლებლობანი. არც ეკლესიას და არც ე.წ. ქართულ ენას ავნებს ქადაგებისას ზოგი დეტალის მეგრულ ენაზე განმარტება. პირიქით, თბილისში ძალიან მოიწონეს ერთ ეკლესიაში ტერმინ „მარხვა“-ს ჩემეული განმარტება: **მა**[ში] **რ**[ე] **ხუა**[ლა] (მესი არის შობა) მარხუა მარხვა. ფაქტია, რომ მეს, ადამიანის, თავის მიწიერ სიცოცხლეში, ხელახლა შობა ხდება სწორი ცხოვრების წესის მკაცრად დაცვითა და მისი მუდმივ წეს-ჩვეულებად ქცევით, ისე, როგორც ამას წმინდანები აღწევენ. მეგრული ენის საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების აუცილებლობას ხედავდა ა. შანიძე და ამიტომაც ამბობდა: „სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული“. მაგრამ ამ აუცილებლობის გაცნობიერების სურვილი რატომღაც თქვენ არა გაქვთ ბატონო ტარიელ!

ცხადია, ამ ადამჟამინდელი უნიკალური ენის გადარჩენა და მთელ საქართველოში გაშინაურება შესაძლებელია მისი (ასევე, სვანურის) საფუძვლების სწავლების სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებით. მაგრამ თუ არ დაიწერა **მეგრული ენის სახელმძღვანელო** ახალ იბერიულ ენაზე, როგორ შეიძლება მისი შესწავლა? ან როგორ გინდა კვებო, ზარდო და განავითარო საერთო სახელმწიფო და სალიტერატურო ენა, თუ მასში არ დანერგე, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ის ობოლი მარგალიტებივით მიმოფანტული სიტყვები, რომელიც მეგრულს შემოუნახავს“? ან კიდევ, როგორ გინდა შემოუნახო მომავალ თაობებს ეს მარგალიტები, თუ ისინი ქაღალდზე არ დააფიქსირე? მაგრამ ბატონო ტარიელ, ენობრივი ერთიანობის „თავგადაკლულ ქომაგებს“ გირჩევნიათ უკონტროლოდ შემოიტანოთ უცხოური ლექსიკა (მაგ., კონსენსუსი, ტოლერანტობა, კომპარატივისტიკა, ტრივიალი და სხვ.), ვიდრე დანერგოთ მეგრული ენის მარგალიტები, რომელშიც ღვთიური ენერგია დევს, რომ გაამართლოთ და განამტკიცოთ ის ეთნიკური სახელწოდება, რომელიც დღევანდელ მდგომარეობამდე დაცემულ იბერებს გვქვია და ყოველ ღონეს ხმარობთ „ფუძე ენად“ წარმოადგინოთ იოანე პეტრიწამდე მდაბიო ენად დარჩენილი ქართლური, ხოლო მეგრული (იბერიული) მის დიალექტად, მიუხედავად იმისა, არავითარი საფუძველი არ გაგაჩნიათ. აი, როგორ აკნინებთ თქვენ ერის ისტორიას.

ალბათ, რაღაც ურთულეს გამოცდას გვიტარებს განგება, რადგან არ სურს ჩვენი გაქრობა, თორემ, გასაკვირია, ერთმანეთთან ოცსაუკუნოვანი ძიძგილისა და დროის უშედეგო ხარჯვის პირობებში, როგორ მოვაღწიეთ დღემდე.

ნახევრად ცრუა სულგანათლებული თედო სახოკიას წუხილი: „ნუთუ მეოცე საუკუნეში ვინმემ უნდა თქვას მეგრული სხვა არის და ქართული კიდევ სხვაო?! სხვა არის ის მეგრული, რომელშიც თითქმის ასი პროცენტი ქართული ძირის სიტყვებია? ის მეგრული, რომელიც წარმოადგენს აწინდელის ქართულის შევსებას?! მეგრულს ოჯახში, შინაურობაში, ხმარობს ხალხი, მეგრული დამახასიათებელი ეროვნებისა, არ არსებულა... ყველას მოგეხსენებათ, მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა, ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს... 1905 წლის რევოლუციამ ცოტათი შეანელა ჩვენი რუსიფიკატორების გულმოდგინება. რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალები ისევ ამუშავდნენ...“

დიახ, ვეთანხმები, სხვადასხვა არ არის ე.წ. მეგრული და ე.წ. ქართული თავისი არსით. ასევე, აბსოლუტურად ვეთანხმები რუსიფიკატორების მოქმედების თედო სახოკიასეულ შეფასებას. მაგრამ ასპროცენტიანი სიცრუეა თითქოსდა, მეგრულში ქართლური ძირის სიტყვები იყოს, პირიქით კი ბატონო. ასპროცენტიანი სიცრუეა, თითქოსდა, მეგრული (იგივე, იბერიული) ენა, როგორც ეროვნების დამახასიათებელი ენა არასოდეს არსებულიყოს. თუ ეს სიმართლეა, როგორ ვრცელდებოდა იბერიული ცივილიზაცია პირინეიდან ინდოეთამდე?

ორმაგი სიბრიყვეა შენი სიბრიყვის სხვაზე გადაბრალება. როცა მეზობელმა ქვეყნებმა ბრწყინვალედ იციან ჩვენი ჭეშმარიტი ისტორია, ხოლო ჩვენ, ლეგენდარულ იბერთა ისტორიას ბრიყვულად, მოსალოდნელი შედეგის გაუთვალისწინებლად ვაყალბებთ, ამას უთუოდ გამოიყენებს ჭკვიანი აგრესორი. ამაში არაჩვეულებრივი, ეგოიზმით სავსე დედამიწაზე, არაფერია.

თუ ცალმხრივ მივუდგებით საკითხს, წინამდებარე წერილში არაფერი მიწერია არასწორი, როცა ქართის ტომისა და ქართული ენის მიმართ ვხმარობ ტერმინებს „შერეული“ და „კონგლომერატი“. თუმცა, კარგად ვიცი რამდენად მტკივნეული იქნება ჭეშმარიტი მამულიშვილებისათვის აღნიშნული სიტყვები, მაგრამ ამას სპეციალურად ვწერ მათ საყურადღებოდ და იმ მიზნით, რომ კარგად გააცნობიერონ რამდენად მძიმე და აუტანელია ჭეშმარიტი ისტორიული წარსულის გაყალბებითა და უტყუარი მტკიცებულებების იგნორირებით, როგორ აცლიან შენს ქვეყანას საძირკველს და ამ მიზნით პირდაპირ გეუბნებიან: „გაყალბებული ისტორია ჭეშმარიტების რანგში რომ დავამკვიდრო და ამით თავი რომ მოვიწონო, შენ, ამ სიყალბის მცოდნე, უნდა მოკვდე, რომ მე ვიყო მშვიდადო“, როცა ასე მტკივნეულია მწარე სიმართლე. ამას გვეუბნებიან იმ ბრიყვ და ბოროტ ძალთა სულიერი მემკვიდრეები, რომელთა სულიერ-ბიოლოგიურმა წინაპრებმა გაგვინადგურეს იბერიულ ენაზე დაწერილი ლიტერატურა, კერძოდ, პეტრე იბერის „მიზეზთა წიგნი“, რომელიც იოანე პეტრიწს ხელთ ეპყრა და უძველესი იბერიული სიბრძნე „ეფუთი“, რომლის ხელნაწერმა 1914 წლამდე მოაღწია.

***(გაგრძელება მე-6 გვერდზე)***

# გამარჯობა, აფხაზეთო! ...და კენები (ხალიბები)!

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

„პაფლაფონიელთა სპას მიუძღოდა პილემენი მკერდჯაგრიანი.

– ყველას, მობინადრეს ენეტებში, სადაც ჯოგდებიან ველური ჯორები, იმათ ვინც კიტორს ფლობდა და სესამის ახლოს ცხოვრობდნენ. პაფლაგონიის სანაპიროსთან მშვენიერ სახლებში ცხოვრობდნენ, ერიფიმის მწვერვალებზე, და ეგიალეში ცხოვრობდნენ, კრომნაში“.

წინამდებარე ჰეგზამეტრის ნაწყვეტი ჰომეროსს ეკუთვნის, კაცობრიობის ისტორიაში პირველ ისტორიულ პოემა-რომანს – ილიადას.

მკითხველს შევახსენებ, რომ ეს ისტორიული ბერძნული საგა შეიქმნა VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე ჩვენს წელთა აღრიცხვამდე. მაშინ, როდესაც ტროას ისტორიული ომი იყო 1209-1200 ჩვ.წ. აღ-მდე. ისტორიულად ომიდან პოემის ქაღალდზე გადატანამდე მთელი 400 წელია გასული. ეს 400 წელი პოემა-ლეგენდა გადმოცემის სახით არსებობდა ხალხში, რომელი ლეგენდის ნაწყვეტები ჰომეროსმა სათითაოდ შეაგროვა და პოემად ჩამოასხა.

ომის ფაქტსა და ომის აღწერას შორის ოთხსაუკუნოვანი სხვაობა არ იძლევა საშუალებას, რომ ჰომეროსის პოემის ყოველი პასაჟი უკრიტიკოდ იქნას მიღებული.

არსებობს მინიმუმ ორი თვალშისაცემი შეუსაბამობა, რაც წარსულში მომხდარი ფაქტების აუცილებელ კორექტირებას მოითხოვს:

1. ჰომეროსი თავის პოემა „ილიადაში“ ბერძენ მეზღვაურ-მეომრებს ტრიერებზე (ხომალდი სამსართულიანი გემბანით) ათავსებს, გარდა ფილოქტეტეს ორმოცდაათ ნიჩბიანი ნავებისა.

2. ჰომეროსის პოემის არასწორი წაკითხვა გახდა მიზეზი იმისა, რომ ომის მონაწილედ კენებიც (ენეტები) გამოცხადდა, რამაც საშუალება მისცა ელინ დრამატურგებს, ენეტიკა (ვენეცია) ტროას ომიდან დაბრუნებულ ენეტთა მიერ დასახლებულად გამოეცხადებინათ.

(აქ და შემდგომ, ავტორს წყაროები, სამტკიცი არგუმენტები წიგნის მეორე ნაწილში გადააქვს, რამეთუ პირველი ნაწილი მსჯელობით არ გადაიტვირთოს და მთავარი ხაზი არ დაიკარგოს. წიგნის მეორე ნაწილი, რომლის წაკითხვაც სასურველია პარალელურ რეჟიმში, არანაკლებ საინტერესო საკითხავია).

ბერძენთა საზღვაოსნო მიღწევა, „ნოუ-ჰაუ“ ამ პერიოდისათვის მხოლოდ ორმოცდაათ ნიჩბიანი ხომალდი იყო! (1) რაც შეეხება ფოლადის იარაღს, ტროას ომის ეპოქა, ბრინჯაო-რკინის გარდამავალი პერიოდით ხასიათდება.

ტროას ომში ფოლადის სულ ორი იარაღი იბრძოდა: აქილევსის პირველი საჭურველი, რომელიც, გმირმა ჰექტორმა აართვა მოკლულ პატროკლეს, და, ასევე, აქილევსის მეორე საჭურველი, რომელიც პოემის მიხედვით ჰეფესტომ გამოჭედა! (2)

ილიადას წინამდებარე ნაწყვეტში პაფლაგონიელთა ბელადის, პილემენის ეპითეტი „მკერდჯაგრიანი“ ერთობ გასაგებია და მისაღებია ქართველთათვის, თუმცა პილემენი ქართველური წარმოშობისა არ ყოფილა! სტრაბონის მიხედვით, რომელიც ამავე რეგიონიდანაა, პაფლაგონიელებსა და კაბადოკიელებს ერთი და იმავე სასაუბრო ენა აქვთ. (სავარაუდოდ სირიული, შეთვისებული პაფლაგონიელების მიერ).

რაც შეხება სინოპელ ენეტებს,კენებს, ჩვენი კვლევებით (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ) ეს ის თემია, რომელსაც ორიოდ საუკუნით გვიან ხალიბებად, ფოლადის პირველმომპოვებლებად იხსენიებენ.!

ზემოთ მოყვანილი ჰომეროსის ციტატა, რომ ომში პაფლაგონიელები მონაწილეობენ (და არა ენეტები) კვლევის პროცესში დამტკიცდა. რომ ენეტთა ტომის საცხოვრისი ადგილის მითითებით, რომლებიც უძველესი მცხოვრებნი ჩანან ამ ადგილისა, და რომლის შესახებ ელინური საზოგადოება ინფორმირებული ჩანს, ჰომეროსი მიანიშნებს და საზღვრავს გვიან ჩამოსახლებული პაფლაგონების ბინადრობის ადგილს. უფრო მეტიც, შემდგომი კვლევებით მტკიცდება, რომ პაფლაგონიელები ამ ტერიტორიაზე მოგვიანებით შემოჭრილი, ენიტებისათვის უცხო ტომია, რომელმაც ეს უკანასკნელი მარიანდინებთან ერთად შუაზე გახლიჩა, დაინაწილა. (როგორც ირკვევა, ჰომეროსი საკუთარი ეპოქის სინამდვილეს აღწერს და გვიან დასახლებულ პაფლაგონებს არ შეეძლოთ ტროას ომში მონაწილეობა. უფრო მეტიც, პაფლაგონთა ხსენება სინოპის ნახევარკუნზულზე, პოემა „ილიადის“ შეთხზვის თარიღის კორექტივასაც კი მოითხოვს!

იმავე მიზეზით, რომ ხალიბები (ენეტები) ამ პერიოდისათვის უკვე ფლობენ ფოლადის იარაღს (და მისი წარმოების ტექნოლოგიას), მათი მონაწილეობა ტროას ომში გამორიცხულია! წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ არა ერთი აქილევსი იქნებოდა ფოლადის იარაღ-საჭურველის მფლობელი, ვინაიდან ხალიბები (ენეტები) თავიანთი გამოკვერილი ფოლადის აბჯარ-იარაღით მიიღებდნენ მონაწილოებას ომში!

...და მაინც, ეს ქართველ ტომთაგან ერთ-ერთი პირველი ხსენებაა ანტიკურ ლიტერატურაში. ის, რომ თემი პაფლაგონიელთა ტერიტორიის ორივე მხარეს ცხოვრობს, გვიჩვენებს, რომ ენეტები პაფლაგონიელთა ადრე არიან მოსული ამ ადგილას და ამავე ტერიტორიაზე ხდება მათი სახელდება ხენებად, ხალიბებად!

ქრონოლოგიურად ხალიბების ხსენება უკვე ჰეკატე მილეტელთანაა, VIს. ჩვ. წ. აღ.-მდე).

ჰეკატე მილეტელი (3) ბერძენი მოგზაური და ისტორიკოსია, „დედამიწის აღწერილობის“ ავტორი. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ფრაგმენტი, მაგრამ უკიდურესად მნიშვნელოვანი!

ჰეკატესეული შემორჩენილი ფრაგმენტი იყოფა ფაქტიურად ორ ნაწილად: “აზია“ და „ევროპა“, შემონახული ბიზანტიური ე. წ. სვიდას ლექსიკონში, სადაც ზოგიერთი განმარტებითი სახის შენიშვნა გვიანაა გაკეთებული. აზიის „ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი ასე გამოიყურება.

185.კორაქსი,კოლხური ტომი, კოლების მეზობელი, კორაქსების ქვეყანა და კორაჩეს კედელი.

186. კოლები, ხალხი კავკასიის მთებთან, კავკასიის მთისწინეთი, კოლების მთებად იწოდება, კოლები ქვეყანა.

187. ჰეკატეს მიხედვით, ფაზისი არ ერთვის ზღვას?!

188. მოსხები კოლხური ტომი, მატიენების მეზობლად.

189. გიონე, მატიენების ქალაქი, გორდიელების მეზობლად.

ამ ქალაქის მცხოვრებში იცვამდნენ პაფლაგონიელების მსგავსად.

190. ხოი, ბეხირების მეზობელი ტომი, ხოის აღმოსავლეთ საზღვარზე ცხოვრობენ დიზერები.

191. მაკრონები, ამ დროისათვის სანები.

192. მარები, მოსინიკების მეზობელი ტომი

193. ტიბარანების აღმოსავლეთ საზღვრებზე ცხოვრობენ მოსინიკები. მათ აქვთ ქალაქი ხოირედესი.

194. ტეირეა, ლევკოსირების ქალაქი.

195. ხალიბები, მცირერიცხოვანი ხალხი პონტოსთან, თერმოდონტზე, ხალიბების სამხრეთით ეკრობა არმინა.

196. სტემენა, ხალიბთა ქალაქი

197. გერმონესა, ადგილი (კოლონია) ტრაპეზუნტთან

198. პატრასისი, ქალაქ პონტოსთან.

199. კროსსა, ქალაქი პონტოსთან.

212. ამაზონიონი, ასე ადრე ეწოდებოდა კიტას, სადაც ცხოვრობდნენ ამაზონები.

რაც შეეხება ჰეკატე მილეტელის „ევროპის“ აღწერას, აქ ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ ერთი ფაქტია:

„დანდარიები, ტომი კავკასიის მახლობლად, როგორც ამბობს ჰეკატე „ევროპაში“ (სტეფანე ბიზანტიელი, გეორგიკა, წიგნი მე-3, გვ. 277).

ჰეკატე მილეთელის ჩვენს დრომდე მოღწეული ნაწყვეტების კვლევა 187 მუხლით დავიწყოთ. ამ მუხლის მიხედვით, მდინარე ფაზისი ზღვას არ ერთვის. აქსიომაა, რომ მდინარე, რომელიც ზღვაში არ ჩაედინება, ერთვის ან ტბას, ან სხვა მდინარეს. რა მდგომარეობაა ჩვენს მდინარე ფაზისთან (რიონთან) დამოკიდებულებაში?

პალიასტომის ტბა ფაქტიურად ლიმანია (ლაგუნა), რომლის მსგავსი არაერთია შავი და აზოვის ზღვების გასაყარზე. ჰეკატეს პერიოდში, ჩვ.წ.აღ.-მდე მე-6 საუკუნეში ფაზისი რომ პალიასტომის გავლით შესულიყო შავ ზღვაში, ასევე ჩაითვლებოდა, რომ ის ზღვას უერთდება. შავი ზღვა-პალიასტომი-ფაზისი, ჰეკატე მილეტელისეული ვარიანტიდან უნდა გამოირიცხოს. არსებობს თუ არა სხვა მდინარე ფასისი, რომელიც ასევე, მდინარეს უერთდება?

პასუხი დადებითია, ასეთი მდინარე არსებობს! ის მდინარე არაქსის ზემოწელია, რომელსაც არაერთგზის ახსენებს ბერძენი ისტორიკოსი და მოლაშქრე – ქსენოფონტი.

ის, რომ მოინახა მდინარე, ფასისად სახელდებული, რომელიც ზღვაში არ ჩაედინება, ვერ იქნება სამტკიცი იმისა, რომ ჰეკატეს აზიის ეს მდინარე აქვს მხედველობაში. საჭიროა დამატებითი სამტკიცები.

„რატომაა მისი საზღვრები – ნილოსი, რომელიც ითვლება ეგვიპტის მდინარედ და ფასისი, კოლხეთის მდინარე (ხოლო სხვები ასახელებენ მაიეტსის მდინარეს ტანაისს და კიმერიულ გადასასვლელს) არც სახელები ვიცით იმათი, რომლებმაც ასე დაჰყვეს დედამიწა, და არც ის, თუ საიდან დაარქვეს ეს სახელი“.

(ჰეროდოტე, ტომი 1, ნაწილი IV-45 მელპომენე, თბილისი, 1975).

ჰეროდოტე აქ აფრიკა, აზია, ევროპის საზღვრებზე საუბრობს.

ჰეროდოტეს სიტყვებიდან გამომდინარე ჰეკატე მილეტელი ევროპა-აზიის საზღვრად მდინარე ფასისს(რიონს) უნდა გულისხმობდეს, განსხვავებით, სხვა, არცთუ მრავალრიცხოვან გეოგრაფთაგან. მხედველობაში რომ არ მივიღოთ სტეფანე ბიზანტიელის ზემოთ მოყვანილი ციტატა იმავე ჰეკატესეული ნაშრომიდან, რომელიც დანდარიებს ევროპაში ასახელებს, ამავე აზრისაა დანდარიების შესახებ მოგვიანებით სტრაბონიც:

„მეოტების რიცხვს მიეკუთვნებიან სინდები და დანდარები, ტორეტები, აგრები და აპრეხები, ასევე ტერპეტები, ობიდიაკენები, სიტტაკენები დოსკები და ზოგიერთი სხვა“ (სტრაბონი, წიგნი XI, II-11)

სტრაბონი ევროპა-აზიის საზღვრად ერთმნიშვნელოვნად მდინარე ტანაისს (დონს) მიიჩნევს. გამომდინარე ამ პოსტულატიდან, დანდარები, ტორეტები და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ტომები, სტრაბონისათვის უკვე აზიაა, მდინარე ტანაისის აღმოსავლეთით მდებარე!

იგივე ტომი დანდარიებისა, ჰეკატე მილეტელს ევროპაში აქვს მოხსენიებული!

ცხადია, ჰეკატე მილეტელისეული საზღვარი ევროპა-აზიას შორის, მდინარე ფაზისზე (რიონზე) გადის!

თუ ევრაზიის საზღვარი მდინარე ფაზისია (რიონი), ჰეკატე მილეტელის „აზიის“ აღწერაში მოხსენიებული კოლები და კორაქსები ვერანაირად მოხვდებოდნენ ქალაქ სოხუმთან, ვინაიდან ეს ტერიტორიები უნდა მოხვედრილიყო „ევროპის“ აღწერაში!

ცხადია, ჰეკატე მილეტელის ჩვენამდე მოღწეული „აზიის“ აღწერა იწყება მესხეთის მთებით, კოლების და კორაქსების აღწერით. მიყვება როგორც შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთის მიმართულებით, ასევე აზიის კონტინენტის სიღრმეზე რამდენიმე ასეული კილომეტრის სიღრმეზე. 185-186 პუნქტი ჰეკატესეული ცნობებისა, რომელიც კოლებსა და კორაქსებს შეეხება, განთავსდება მესხეთის (კორაქსის) მთების ზემოთ. ასე რქმევია VI ს. ჩვ. წ. აღ-მდე, ასე ჰქვია პლინიუს უფროსთან I საუკუნეში, ასევე უწოდებს პროკოფი კესარიელი VI საუკუნეში ამ მთებს!

კორაქსების ტომების განთავსება სოხუმთან ახლოს გამოწვეულია ზემოთ აღნიშნული ჰეკატესეული ტექსტის არასწორი წაკითხვით. ჯერ ფსევდო სკოლაქს კარიანდელის, შემდგომ პომპონიუს მელას მიერ. საბოლოოდ რუკაზე შესაბამისი კოორდინატების დატანა მოხდა კლავდიოს პტოლომაიოსის მიერ. კორაჩეს კედელი, როგორც სვიდაში ჩანს, შესაძლებელი იყო მხოლოდ VI საუკუნის მერე ჩვ.წ. აღრიცხვით შეტანილი. ვურჩევდი ქართველ, (და არა მხოლოდ ქართველ) მეცნიერებს, კორაქსთა ტომის უნაყოფო ძებნას თავი დავანებოთ კელასურის კედელთან, რომელიც იუსტინიანე კესარიელის ხელშეწყობითაა აშენებული VI საუკუნეში – ქრისტესით.

ამრიგად, ეჭვმიუტანლად დამტკიცებულია, რომ კორაქსების მთები და შესაბამისად კორაქსები მესხეთის (ჰეკატესეული მოსხების) გვერდზე არიან განლაგებული. სავარაუდოა, რომ ჰეკატე ტერმინ კოლხებში – ქართველებს გულისხმობს.

კოლხები, კორაქსების ახლოს, რასაკვირველია, კოლას მიდამოში მცხოვრები ქართველური ტომები იგულისხმება, რა ვერსიასაც უდიდესი ქართველი მკვლევარი, პავლე ინგოროყვაც ანვითარებს. დამაფიქრებელია, რომ ამ დროსათვის არტაანი იქ არ ჩანს. (ჯერ არ ჩანს....)

მატიენები, ეს ინდოევროპული ტომი ჩანს კონტინენტის სიღრმეში. მისი ლოკალიზაცია შესაძლებელია ჰეროდოტეს მიხედვით.

ბეხიხირები – სავარაუდოდ, ქართველური ტომი (ბახარი – ასეთი დასახლებული პუნქტი დღესაც არსებობს დღევანდელ თურქეთში. ტრაპეზუნტ-კერასუნტს შუა, კონტინენტის სიღრმეში).

ხოი, მაკრონები, მარები, ტიბარანები, მოსინიკები, უმრავლესობა ადგილნაცვლებულია (საქართველო რესპუბლიკის ფარგლებში თუ ფარგლებს გარეთ). მათი იდენტიფიკაცია, განსახლების შუალედური თუ საბოლოო პუნქტების აღმოჩენა-დამტკიცება ხდება ანტიკურ ავტორთა ეჭვმიუტანელი ცნობების საფუძველზე. ტომების გადაადგილებისა და მათი საბოლოო განსახლების ადგილების პოვნა ბიზანტიური, თურქული და რუსული წყაროების საშუალებით ხდება შესძლებელი.

„ტომები არ ქრებიან, ისინი განაგრძობენ არსებობას სხვა სახელის ქვეშ ან სხვაგან“ (პომპინიუს მელას პერიფრაზა)

დაუჯერებელია, მაგრამ ზოგიერთი ტომის წარმომადგენელთა გვარებიც კი არის დაფიქსირებული, ხოლო ზოგიერთი გვარის ამა თუ იმ ქართველური ტომისათვის უშეცდომოდ მიკუთვნებაც კი არის შესაძლებელი!

ჰეკატე მილეტელის ცნობა:

ხალიბები, მცირერიცხოვანი ხალხი, მცხოვრები პონტოსთან, თერმოდონტზე. ხალიბების სამხრეთით ეკვრის არმინა.

ერთობ საყურადღებოა. ის, რომ აქ ხალიბების მცირერიცხოვნობაზეა საუბარი, რომელსაც ჩვენ მოგვიანებით შევეხებით.

– ხალიბები, სავარაუდოდ, სამხრეთის მიმართულებით მდინარე თერმოდონტიდან მოყოლებული, ზღვის სანაპიროს გასწვრივ მეჩხრად ცხოვრობენ, არცთუ მრავალრიცხოვანი არიან. სახეზეა ხალიბთა რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება ამ ადგილებზე, სავარაუდოდ, მათი სიმჭიდროვის ხარჯზე. ტერიტორიულად ისინი მდინარე თერმოდონტიდან სინოპის მთელ ნახევარკუნძულზე ჩანან მიმოფანტული, ვინაიდან არმინა – ეს პროვინცია სინოპელთა ნავმისადგომია, სინოპიდან 6-9 კილომეტრი სამხრეთით

**ზურაბ ჭკადუა,**

*(გაგრძელება იქნება)*

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

სამწუხაროდ, ძმები სტაროსტინების საქმე არ წარმოადგენდა ერთეულ შემთხვევას. საბჭოთა კავშირის მსხვილი ქალაქების მოსახლეობის ნაწილი მაშინ ცდილობდა ყოველი კანონისა თუ უკანონობის გამოყენებით დარჩენილიყო ზურგში. კანონიერად – მიეღოთ კუთვნილი ჯავშანი. უკანონოდ – ეყიდათ ჯავშანი.

ფაქტიურად დიდი სამამულო ომი მოიგო საბჭოთა გლეხობამ, რომელთაც კომისარიატები პირწმინდად ერეკებოდნენ ფრონტის წინა ხაზზე, სადაც უმეტესობა მათგანი იღუპებოდა. გლეხებს არ ჰქონდათ არავითარი პრივილეგია, რათა პროტექციით დაეხსნათ თავი მობილიზაციისაგან, არც ფული – რათა ეყიდათ ჯავშანი ისეთი ვიგინდარებისაგან, როგორებიც იყვნენ ძმები სტაროსტინები.

ჩვენს მიერ ციტირებულ წიგნში მოყვანილია ბერიას რამდენიმე წერილობითი გზავნილი სტალინისადმი:

*"1944 წლის 18 ნოემბერი. სსრკ შინსახკომის ორგანოების მიერ გამოვლენილია სამხედრო კომისარიატებისა და სამხედრო-სამედიცინო კომისიების მიერ წითელი არმიის რიგებში სავალდებულო სამსახურისაგან სამხედროვალდებულთა უკანონოდ განთავისუფლების ფაქტები.*

*10 ოქტომბერს ვოროშილოვგრადის ოლქის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ დაპატიმრებული იქნა ქალაქის სამხედრო კომისარიატის 5 თანამშრომელი, რომლებიც ფიქტიური საბუთებით აღიარებდნენ წვევამდელებს ავადმყოფებად და ათავისუფლებდნენ მათ მობილიზაციისაგან. ამისათვის კი თითეული წვევამდელისაგან ქრთამის სახით აიღეს 2-დან 10 ათასამდე მანეთი... გამოვლენილია 13 პირი, რომელთაც, კომისარიატის მიერ გაცემული ყალბი საბუთების საფუძველზე თავი აარიდეს სავალდებულო სამხედრო სამსახურს...*

*სტავროპოლის ოლქის ოლქის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ გამოვლენილია მოლოტოვის სამხედრო კომისარიატისა და სამხედრო-სამედიცინო კომისიის წევრთა ჯგუფი, რომლებიც ქრთამის ფასად ათავისუფლებდნენ წვევამდელებს სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან. დადგენილია, რომ მათ გაწვევისაგან გაანთავისუფლეს 13 პირი და სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნეს 27 სამხედროვალდებული...*

*...დაპატიმრებულია და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მოლოტოვის ოლქის ჩასტინის რაიონის სამხედრო კომისრის მოვალეობის დროებით შემსრულებელი შივრინი.*

*დადგენილია, რომ ქრთამის საფასურად შავრინმა წითელ არმიაში სამსახურისაგან გაანთავისუფლა ჩერნიშოვის სასადილოების ტრესტის წარმომადგენლები გოლდობინი და ლუზინი".*

მხოლოდ სსრკ შინსახკომის მიერ გამოვლენილია ჯავშნის უკანონოდ შეძენის ასეულობით და ათასეულობით ფაქტები.

"პრიგოროდის (ყოფილი ჩეჩენო-ინგუშეთის ავტონომიური სსრ) რაიონის სამხედრო კომისარი ნოვოსიოლოვი და კომისარიატის თანამშრომლები გორბუშინი და ივანოვი ქრთამის საფასურად სისტემატურად აძლევდნენ ფიქტიურ საბუთებს დეზერტირებს, რომლებიც თავს არიდებდნენ სამხედრო სამსახურს. ვილაც ჯანაევისა და სხვა 7 პიროვნებისაგან ქრთამის სახით მათ აიღეს 38.800 მანეთი".

1943 წლის თებერვალში მოსკოვის ოლქის შინსახკომის მიერ ლიკვიდირებულია დეზერტირებისა და სამხედრო სამსახურისაგან უკანონოდ თავდახსნილთა ჯგუფი ალიაუტდინოვის, მუსტაფინის და სხვათა შემადგენლობით. იმყოფებოდნენ რა დანაშაულებრივ კავშირში პუშკინის სამხედრო კომისარიატის გამწვევი პუნქტის ექიმებთან ტურბევიჩთან, სელეზნიოვთან, პოსტნიკოვთან, კოკვინასთან, სამხედრო კომისარიატის პირველი ნაწილის უფროსთან იაპტევთან და გადამწერთან პოლოვინკინთან, ისინი ფიქტიურ დასკვნებს ასაღებდნენ სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდების მსურველებზე და ახდევინებდნენ 3-დან 20 ათას მანეთამდე. ექიმ ტურბევიჩის აღიარებით, დიდი სამამულო ომის დაწყებიდან მათ გასცეს ყალბი ჯანმრთელობის ცნობა 100 დეზერტირზე.

"სსრკ შინსახკომის როსტოვის ოლქის მთავარი სამმართველოს მიერ, ამა წლის მაისში გამოვლენილი იქნა დამნაშავე პირთა ჯგუფი, რომლებიც ქრთამის ფასად ამარაგებდნენ დეზერტირებს ფიქტიური დოკუმენტებით, რომელიც მათ ათავისუფლებდა სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან. ჯგუფის ორგანიზატორი გახლდათ წითელ არმიაში სამსახურს თავარიდებული დეზერტირი, ინტენდანტის სამსახურის კაპიტანი ხოხლოვი. ცხოვრობდა რა ქალაქ დონის როსტოვში და ამარაგებდა რა მსურველებს ფიქტიური ჯანმრთელობის ცნობით ევაკოჰოსპიტალ №ს883-ის სახელით, თითოეულ ყალბ ცნობაში იგი ქრთამის სახით იღებდა 4-დან 10 ათასამდე მანეთს. თავის თანამზრახველ დეზერტირ სუხანოვთან ერთად მან ყალბი ჯანმრთელობის ცნობა გასცა 40 ადამიანზე".

მილიონობით მოქალაქეს, როგორც მაშინ ამბობდნენ "სპეცკატეგორიას", მაშინ არ სჭირდებოდა ყალბი საბუთი ავადმყოფობის თაობაზე, რათა თავი დაეხსნათ ფრონტზე წასვლისაგან. მათ სავსებით კანონიერად ჰქონდათ მინიჭებული ფრონტისაგან განთავისუფლების უფლება.

აი, მონაცემები დასავლეთ ციმბირზე: "ქალაქის მასშტაბით სადემობილიზაციო ჯავშანი გაიცა ქალაქის მოსახლეობის 28 პროცენტსა და სოფლის მოსახლეობის 5 პროცენტზე."

აღსანიშნავია, რომ ძმებ სტაროსტინებს დაპატიმრების მომენტში ჯავშანი გააჩნდათ სპორტისა და სამრეწველო კოოპერაციის ხაზით. ამავე დროს, სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების ჯავშანი მოსკოვში გაიცა სამხედროვალდებული მოსახლეობის 45 პროცენტზე.

საიდუმლო არ გახლდათ არც ის, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებში არ ტარდებოდა სამხედრო გაწვევა. მაგალითად, 1941/42 წლის ზამთარში სტალინი ამბობდა ეროვნულ კადრებზე:

*"თქვენ ამბობთ, რომ ზოგიერთი ეროვნული კადრები ცუდად იბრძვიან. მაშ რა გსურთ? ის ხალხი, რომელიც მუდამ ყიდულობდა ჯარში სამსახურისაგან განთავისუფლების უფლებას და არ გააჩნია სამხედრო ინტელიგენცია, ვერასოდეს იომებს სრულყოფილად, ისტორიულად ჩამოყალიბებული მიზეზების გამო".*

მაგალითად, ნოვოსიბირსკის საოლქო სამხედრო კომისარიატმა 1941 წლის 2 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად სამხედრო-სავალდებულო გაწვევას ექვემდებარებოდა ყველა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ყაზანელი თათარი, მორდვინი, ებრაელი, სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი, ვინც ფლობდა რუსულ ენას. სხვა დანარჩენი ეროვნების წვევამდელები შეავსებდნენ მხოლოდ სამხედრო-სამშენებლო ორგანიზაციებსა და სხვა მუშა კოლონებს. გერმანელები, რუმინელები, ფინელები, ბულგარელები, ბერძნები, თურქები, იაპონელები, კორეელები, ჩინელები, უნგრელები, ავსტრიელები უნდა გაეწვიათ მხოლოდ მუშა ქვედანაყოფებში. გარდა ამისა, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ იწვევდნენ ჯარში პოლონელებს, ჩეხებს, ესტონელებს, ლატვიელებს და ლიტველებს. 1942 წლის მიწურულს აიკრძალა იმ პირების ჯარში გაწვევა, რომლებიც ადრე ცხოვრობდნენ ჩეჩენო-ინგუშეთის, ყაბარდინო-ბალყარეთის და დაღესტნის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში.

მაგრამ ნაკლებადცნობილია ის ფაქტი, რომ ჯავშანი ეძლეოდათ იმ პირებს, რომლებიც ისხდნენ გულაგებში პოლიტიკური სტატიებით და განთავისუფლდნენ საპატიმრო ვადის გასვლის შემდეგ, ასევე, მათ ნათესავებსაც!

ასე, მაგალითად, 1942 წლის შემოდგომაზე ომსკის ოლქში, 1924 წელს დაბადებული მოქალაქეების გაწვევისას, "პოლიტიკურ-მორალური თვალსაზრისით" (**პმთ** – საკანცელარიო ენაზე ასე უწოდებდნენ "პოლიტიკურებს") განთესილი იქნა 308 ადამიანი, მათ შორის, ეროვნული ნიშნით – 164 ადამიანი. გარდა ამისა, კომისარიატთა სამანდატო კომისიამ უარყო ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის 48 მკვიდრი. ამავე მიზეზით, უარი ეთქვა საბჭოთა არმიაში ჩარიცხვაზე 1924 წელს დაბადებულ 1661 **ზქT**-ს, ნაციონალური მოტივით კი – 388 ადამიანს. გარდა ამისა, არ იქნა გაწვეული დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის 162 მკვიდრი. ამგვარი კატეგორიის ადამიანების რიცხვი განსაკუთრებით ჭარბობდა დასავლეთ ციმბირის სოფლებში, სადაც გადასახლებული იყვნენ რეპრესირებულები. მაგალითად, ტეგულდინის რაიონში მცხოვრები 165 წვევამდელიდან ჯარში გაწვეული იქნა მხოლოდ 81 ადამიანი.

ამრიგად, ფაქტია, რომ დიდი სამამულო ომის წლებში **გულაგი** ძალიან ბევრისათვის სიცოცხლის გადარჩენის საშუალება აღმოჩნდა. სიტყვისათვის, სწორედ გულაგმა გადაარჩინა ოთხი ძმა სტაროსტინების სიცოცხლე. თუ ისინი ფრონტზე მოხვდებოდნენ, იოლი შესაძლებელია, რომ აღარ გაჩენილიყო "სპარტაკის" ლეგენდა.

ეეჰ, რას იზამ, ძნელია მოძებნო ოჯახი მახინჯის გარეშე. და ყოველივე ამაზე, ფრონტის იარაღითა და საჭურველით მომარაგების კვალდაკვალ, ბერიას ამ სიმახინჯეებზეც უნდა ეფიქრა და ეხარჯა ენერგია!

*არ არსებობენ დიდი საქმეები დიდი სიძნელეების გარეშე*
(ვოლტერი)

**ამ წიგნზე მუშაობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ დიდ სამამულო ომში ლავრენტი ბერიას წვლილი შეიძლება შევუდაროთ იმ რიგითი ჯარისკაცის წვლილს, რომელიც მკერდით იცავდა სამშობლოს მტრის შემოტევებისაგან. არ იქნებოდა რიგითი ჯარისკაცი და არ იქნებოდა დიადი გამარჯვება! არ იქნებოდა ლავრენტი პავლეს ძე ბერია და არ იქნებოდა დიადი გამარჯვება!**

**თუ ამას საჯაროდ ვაღიარებთ, მაშინ კარდინალურად უნდა შევცვალოთ დიდი სამამულო ომის ისტორიის აქცენტები. იქნებ, დროა?**

1941 წლის 23 აგვისტოს ბერიამ თავის დღიურში შემდეგი შინაარსის ჩანაწერი გააკეთა: "კობა უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს სარდლებს. ბრალს სდებს მათ, რომ არ შეტევის ორგანიზება შეუძლიათ და არც უკან დახევის. ჯარებს კარგავენ... მეც იგივე დარდი მიხრავს გულს. მართალია არსებობს ევაკუაციის საბჭო, მაგრამ პრობლემებს ჩემი ბიჭები უმკლავდებიან... თუ რამე საქმე წინ არ მიდის, გუნდურად მორთავენ ხოლმე ბღავილს: გვიშველე, ამხანაგო ბერია".

1941 წლის 24 ივნისს სკკპ(ბ) ცეკას და სსრკ სახკომსაბჭოს ერთობლივი დადგენილებით "მოსახლეობის, დაწესებულებების, სამხედრო, სხვა ტიპის ტვირთების და ფასეულობების ევაკუაციის შესახებ", სსრკ სახკომსაბჭოსთან ჩამოყალიბდა ევაკუაციის საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ლ.მ. კაგანოვიჩი (თავმჯდომარე), ნ.მ. შვერნიკი (თავმჯდომარის მოადგილე), წევრები ბ.მ. შაპოშნიკოვი, ს.ნ. კრუგლოვი, პ.ს. პოპკოვი, ნ.ფ. დუბროვინი და ა.ი. კირპიჩნიკოვი.

იმავე წლის 26, 27 ივნისს და 1 ივლისს იმავე ორგანოების გადაწყვეტილებით ევაკუაციის საბჭოში დამატებით შეიყვანეს ა.ი. მიქოიანი (თავმჯდომარის პირველი მოადგილე), ლ.პ. ბერია და მ.გ. პერვუხინი (თავმჯდომარის მოადგილეები).

1941 წლის 3 ივლისს ევაკუაციის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა სკკპ (ბ) ცეკას პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ.მ. შვერნიკი. 16 ივლისს გამოქვეყნდა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ახალი დადგენილება "ევაკუაციის საბჭოს შემადგენლობის შესახებ". ამრიგად, მის რეორგანიზებულ შემადგენლობაში შევიდნენ ნ.მ. შვერნიკი (თავმჯდომარე), ა.ნ. კოსიგინი (თავმჯდომარის მოადგილე), წევრები ა.ი. მიქოიანი, ლ.მ. კაგანოვიჩი, (კაგანოვიჩის არყოფნის დროს მას ცვლიდა ბ.ნ. არუტიუნოვი), მ.ზ. საბუროვი (საბუროვის არყოფნისას მას ცვლიდა გ.პ. კოსიაჩენკო) და ვ.ს. აბაკუმოვი (შინსახკომი).

1941 წლის 16 აგვისტოს სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით ევაკუაციის საბჭოში დამატებით შეიყვანეს წითელი არმიის ზურგის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი მ.ვ. ზახაროვი. 1941 წლის 26 სექტემბერს ევაკუაციის საბჭოში შეიქმნა მოსახლეობის ევაკუაციის სამმართველო, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ.დ. პამფილოვი, რომელმაც ამადროულად დაიკავა ევაკუაციის საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის პოსტი.

უფროსობა თავსაყრელად იყო! საქმეც ბევრი გაკეთდა. მაგრამ, როგორც სერგეი კრემლიოვი წერდა, ევაკუაციის საბჭოს ადგილებზე არ გააჩნდა აპარატი, მისმა ხელმძღვანელობამ კი ვერ მოახერხა, რომ დროულად ჩამოეყალიბებინათ ადგილებზე წარმომადგენლობათა ინსტიტუტი. ამიტომ, ამ წარმომადგენელთა ფუნქციას ყველა შემთხვევაში ასრულებდნენ ბერიას სახალხო კომისარიატის თანამშრომლები. **ზოგჯერ კი, სახალხო კომისარი ლავრენტი ბერია პირადად ეწეოდა დაკარგული ევაკუირებული აღჭურვილობის ძებნის სამუშაოებს.**

*"მოსკოვში ღამეა, ციმბირში კი შუადღის მზე აცხუნებს. სადღაც, ურალში პრესი გამოვიდა წყობიდან, ლავრენტი, იქნებ გამართული პრესი მოგვაძებნინიო. ეშელონი დაიკარგა. ლავრენტი, იქნებ შენი ბიჭები დაგვეხმარონ და მოგვაძებნინონ. ვიაჩესლავმა (მოლოტოვმა) ჩაისვარა, ლავრენტი, იქნებ ამოათრიო გასაჭირიდან. ვოზნესენსკი არ დაგვეხმარა, ლავრენტი, იქნებ შენ გვიშველო. ლაზარს (კაგანოვიჩი) დაეხმარე, გიორგის (მალენკოვი) დაეხმარე, შერბაკოვს დაეხმარე. კობას დახმარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ღმერთო, შენ მიშველე...", – ჩაწერა ბერიამ დღიურში 1942 წლის 18 თებერვალს.*

ამავე დროს, ხშირად უწევდა ამბიციური არაფრისმცოდნე უფროსებისათვის საკუთარი ადგილის მინიშნება, რა თქმა უნდა, დიპლომატიური პრონონსით.

შეიარაღების სახალხო კომისარ ვ.ნ. ნოვიკოვს მოჰყავს ბერიას "უხეშობის" კონკრეტული შემთხვევა. მიდის ომი, ქარხნები უკანასკნელი შესაძლებლობების ზღვარზე მუშაობენ და თანდათან ზრდიან გამოშვებული ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობას. ამ დროს, უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი ტკაჩენკო ფეხდაფეხ დასდევს ნოვიკოვს, ესწრება მის ყველა თათბირს, კითხულობს ოპერატიულ ცნობებს და ა.შ.

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი**
**(გაგრძელება იქნება)**

# რუსოფობია დამღუპველია ქვეყნისთვის

რამდენიმე თვის წინ გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” გამოქვეყნდა ჩემთვის და საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანის, ვინმე ბოკუჩავას წერილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თაობაზე, უფრო სწორად იმ “მზაკვრობის” შესახებ, რასაც რუსეთი, შემდეგ საბჭოთა კავშირი და ისევ რუსეთი სჩადიოდა და სჩადის საქართველოს წინააღმდეგ.

წერილის გაცნობისთანავე დამებადა აზრი პასუხი გამეცა პოლიტოლოგიისა და ჟურნალისტური წრეებისთვის უცნობი პირის ერთობ უსუსურ გამოხდომაზე მეზობელი ქვეყნის მიმართ – უხვად გაზავებულის ისტორიული მომენტების ფალსიფიკაციით – ღვარძლით და სიძულვილით.

რუსეთის მიმართ სიძულვილით გაჟღენთილი სტატიების ან სატელევიზიო გამოსვლების სიუხვეს ისე ვართ მიჩვეული, არაფრად ვაგდებთ და “ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის” მსგავსად აღვიქვამთ. არადა, ვისაც სამშობლო უყვარს, ვალდებულია პატივი სცეს მეზობლებს, განსაკუთრებით იმათ, ვისთანაც მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები და ნათესაური კავშირებიც გაქვს. გარდა ამისა, ჩავთვალე, რომ ვინმე წაიკითხავდა ბოკუჩავას ნახელავს, განსაკუთრებით ახალგაზრდა და ისედაც ანტირუსული პროპაგანდით გონდაბინდულს, ბოკუჩავას ჭორის დონეზე განხილული საქართველო-რუსეთის ურთიერთობაც შავი ლოდივით დაემატებოდა.

ჩემს წერილში აღვნიშნე, რომ ბოკუჩავას “შემოქმედება” არა მარტო პირადად მას ჭრიდა თავს, როგორც უვიცს და დაუნახავს, არამედ ქვეყანასაც. ბოკუჩავას “შემოქმედების” პირველ “ფოლიანტს” არ შევეხები, ვინაიდან ავტორი უდავოდ არ არის ისტორიასა და პოლიტოლოგიაში ჩახედული რომ მის მიერ დაწერილი აზრადაკაზრით შევაწუხო მკითხველი, მაგრამ “შედევრის” ერთ მონაკვეთს, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მოვიყვან. ავტორი გვახსენებს, თუ როგორ ჩამოდიოდნენ (ჩამოეთრეოდნენ) საქართველოში რუსი პოეტები, მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები; როგორ ვაპურმარილებდით, ვასმევდით და ვაჭმევდით მათ. ისინი კი, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, გვლანძღავდნენ და გვაგინებდნენ.

ნეტავ რომელი “უმადური” რუსი ჰყავს მხედველობაში?

ფართო საზოგადოებისთვის მათი სახელების და გვარების დასახელება არის საჭირო და არა ყველას ერთ ტაფაში მოქცევა. თუ მას ასტაფიევი ჰყავს მხედველობაში, მოგახსენებთ. ასტაფიევმა თავის “Ловля пескарей в Грузии”-ში სინანულით აღწერა ერთ დროს რაინდობითა და გმირობით გამორჩეული ქართველის თანამედროვე, გადაგვარებული პორტრეტი. მაშინ ამ ამბავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოში, განსაკუთრებით ქართველ მწერლებში, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ ასტაფიევი ღვარძლითა და სიძულვილით წერდა ქართველთა შესახებ.

არადა, ის, რაც მან დაწერა, იყო სინანული და რჩევა გამოფხიზლებისა. მას შემდეგ პოლიტიკური სისტემაც შეიცვალა და ბევრი სხვაც, შევიცვალეთ ჩვენც და სამწუხაროდ, სწორედ ასტაფიევის ნაწერის იმ ნეგატიურ პერსონაჟებს დავემსგავსეთ. “ჩამოეთრეოდნენ და ვაჭმევდით”, რასაც ხაზს უსვამს ავტორი, უკბილო არგუმენტია რუსის გასაშავებლად, მისი “უმადურობის” გამოსააშკარავებლად.

ჩემს პასუხში აღვნიშნე, რომ ბოკუჩავას ნაწერი სტუმრისთვის პურმარილის დამადლების აშკარა დემონსტრაციაა, რაც ჩირქს სცხებს არა მარტო მას, არამედ სახელგანთქმულ ქართულ მასპინძლობას. ბოკუჩავასა და მისთანების გასაგონად ვამბობ – საქართველოში სტუმრად ჩამოსული მოსკოველი, საკუთარი სამშობლოს ანუ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ კუთხეში ჩამოდიოდა, სადაც მას მუდამ ეგულებოდა სულიერი სავანე, არაბოკუჩავასნაირ მასპინძლებთან შეხვედრა.

ვიმეორებ, აქ სულიერი საზრდოს მიღება უფრო ხიბლავდა, ვიდრე ღვინის და პურმარილის. მოსკოველი არა მარტო თბილისში ჩამოდიოდა, არამედ ბაქოში, ერევანში, ტაშკენტში, სხვაგან და იქაც უპურმარილოდ არავინ ტოვებდა. მიუხედავად ამისა ჩვენთან “ჩამოთრევას” (ბოკუჩავას მიერ გამოყენებული ტერმინი), სხვა ხიბლი ჰქონდა, რომელიც გადადიოდა პრაქტიკულ საქმეში – ქართველი მწერლების რუსულ ენაზე თარგმნა და გამოცემა რომ ჰქვია. სწორედ ამ გზით გაიცნო დასავლეთმა ქართული მწერლობა. გარდა ამისა, მინდა დავსვა კითხვა – აქ “ჩამოთრეული” ხელოვნებისა და კულტურის რუსი მოღვაწეები, ვისი ხარჯით ჭამდნენ?

თავიანთი ხარჯით, ვინაიდან ის, რაც საქართველოს ბიუჯეტში იყო, ცენტრის მიერ იყო განაწილებული ანუ მის მიერ უკან დაბრუნებული ქართველი ერის ნაღვაწზე ორჯერ მეტი. მაგრამ, როგორც ჩანს ბოკუჩავამ ეს არ იცის და არა მარტო ეს, სხვა მნიშვნელოვანიც, ვინაიდან (როგორც მოგვიანებით მითხრეს) ის წარუმატებელი მათემატიკოსია და ისტორია-პოლიტოლოგია-ჟურნალისტიკასთან არავითარი შეხება არ ჰქონია 75 წლის განმავლობაში (ხანდაზმული ასაკიც მოგვიანებით გავიგე). გამიკვირდა, ვინაიდან ამ ასაკის ადამიანი თავს უფლებას არ უნდა აძლევდეს ქუჩის ჭორებით მიიპყროს მკითხველის ყურადღება.

ჩემს საპასუხო წერილს უმალ მოჰყვა შეურაცხყოფების კორიანტელი, ლანძღვა-გინება, რომელიც გამუდმებით იბეჭდებოდა გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში”. მე ყველა მისი სტატია უპასუხოდ დავტოვე, ვინაიდან ჩავთვალე, რომ ეს ადამიანი, ლანძღვა-გინებისა და ცილისწამების უბადლო ოსტატი, ჩემს ნაწერს ვერაფრით ჩათვლიდა ობიექტურად. მისთვის დავით მხეიძე, უშანგი ჯანგირაშვილი და ჰამლეტ ჭიპაშვილი მუდამ ვიქნებოდით “დაქირავებულები”, “აგენტები”, “რუსეთის უკანალში მსხდომები”, მდარე ხარისხის პოლიტოლოგები და ჟურნალისტები.

თუ წინა წერილებში ჩვენი “დამქირავებელი” ვირტუალური რუსეთი იყო, 21 სექტემბრის სტატიაში პირდაპირ ომარ მარგველაშვილს ადებს ხელს, როგორც ჩვენს დამქირავებელს. ბატონ ომარს არა მარტო ჩვენი “დაქირავება” აკმარა, არამედ უხეში, შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც გამოლანძღა – თანაკლასელი, ლამის მეგობარი.

ბატონ ომარს, რომელსაც სულ ახლახანს დაბადების დღე (75 წლისთავი) გადაუხდია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ასევე თანაკლასელი გიორგი კვესიტაძე უძღვნის წერილს, სადაც დეტალურად აღწერს ბატონი ომარის მიერ განვლილ გზას, უდავოდ დასაფასებელს და საინტერესოს.

ამ წერილით გაღიზიანებულმა მეორე თანაკლასელმა ბოკუჩავამ არ დაახანა და ლანძღვა-გინების ლაფი დაასხა ბატონ ომარს, თითქოს მან შეგვიკვეთა “ანტიბოკუჩავისტური” სტატია.

ომარ მარგველაშვილს დიდი ხანია ვიცნობ, როგორც საბჭოთა პერიოდის წარმატებულ სამეურნეო მუშაკს, ამჟამად ასევე წარმატებულ ბიზნესმენს. ჩვენ ერთმანეთს გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” ფურცლებზე ვხდებოდით ამ გაზეთთან ჩემი თანამშრომლობის დროს. სხვა ურთიერთობა მასთან არ მქონია. გარდა ამისა, ომარმა, ბოკუჩავასადმი ჩემი პასუხი, გამოქვეყნების შემდეგ გაიგო, რის შესახებაც მითხრა ერთი საჯარო შეხვედრის დროს, თან ისიც დაამატა – ბოკუჩავა ჩემი თანაკლასელი იყოო, რაზეც მივუგე – საშინელი თანაკლასელი გყოლია-თქო.

ახლა, რაც შეეხება ჩემს რუსოფობობას. დიახ! მე მსურს, რომ საქართველოს რუსეთთან ჰქონდეს ნორმალური კავშირები, ვინაიდან რუსეთი ჩვენი მეზობელია, თან ძლიერი ქვეყანაა, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, დიდი ისტორიისა და კულტურის, მართლმადიდებლური ქვეყანა.

დიახ! ჩვენს ურთიერთობაში იყო ხინჯიც, მაგრამ კარგი მეტი იყო და იმ კარგზე უნდა ვილაპარაკოთ თუ გადარჩენა გვსურს. როდესაც, მიუხედავად აშშ-ს მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისა, რუსეთში სხვადასხვა ქვეყნის მეთაურებისა და ბიზნესმენების ვიზიტები არ წყდება, განა საკმარისი არ არის თვალი აახილო?

რუსეთი აგრესორიაო, რომ გავიძახით – ერთ საქმეზე აგრესორიც და თავდამცველიც – ორი არ შეიძლება იყოს.

ევროკავშირის სპეცკომისიამ 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილი მიიჩნია აგრესორად და არა რუსეთი, არადა ჩვენ უტუხად გავიძახით რუსეთია აგრესორიო. ამ “სიმართლეს” აშშ-ი და მისი ყურმოჭრილი „მოკავშირეები“ ამბობენ, რომელთა წვლილი სააკაშვილის აგრესიაში განუზომელია.

აღნიშნულის შესახებ გაზეთ “გარდიანში” გამოქვეყნდა ინგლისის სპეცსამსახურის ყოფილი მაღალჩინოსნის სკარლეტის ინტერვიუ, სადაც ამბობს, რომ აშშ-ს და ინგლისის ერთობლივი პროექტი იყო სამხრეთ ოსეთში ომის წამოწყება და რუსეთის ჩათრევა; რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან მუდმივი ცეცხლის აგიზგიზება და ამით რუსეთის ხელისუფალთა ყურადღების სამხრეთზე მიპყრობა. გავიხსენოთ ბაქრაძის მოწოდება – ჩანგლებით-დანებით რუსეთის წინააღმდეგ პარტიზანული ომის გაჩაღების თაობაზე.

ეს გეგმა რუსეთმა სწრაფი სამხედრო პასუხით ჩაშალა. მას რომ კარდინალური ნაბიჯი არ გადაედგა, ვინ იცის 2008 წლის სააკაშვილის მიერ დაწყებული ომი ჯერაც მოუმთავრებელი ყოფილიყო. დასავლეთს ეს პროექტი საქართველოში არ გამოუვიდა, მაგრამ მოგვიანებით განახორციელა უკრაინაში, სადაც 2014 წლიდან მიმდინარეობს ომი.

ბოკუჩავას და მისთანებს ვურჩევ წაიკითხონ ისრაელელი პუბლიცისტისა და ჟურნალისტის ლევ გუნინის ნაშრომი, მიძღვნილი ცხინვალის ომისადმი, სადაც ავტორი ზედმიწევნით, ზუსტად აღწერს ომამდელ, ომის დროინდელ და ომის შემდგომ ვითარებას.

სამწუხაროდ, საქართველო ამერიკულ ხაფანგში მოექცა და დაუფიქრებლად ასრულებს მის დავალებას – ანტირუსულ პროპაგანდას. არ სურს რუსეთთან ურთიერთობა და აკრიტიკებს ყველას, მათ შორის “პატრიოტთა ალიანსს” მოსკოვთან მოლაპარაკების გამო.

საქართველოს ხელისუფლება და “რუსოფობები” ქვეყნის ხსნას აშშ-ს უკავშირებენ, მაშინ, როდესაც აშშ-ა დახმარების ხელი ვერ გაუწოდა მისსავე ტერიტორიას – პუერტო-რიკოს, ყურისძირში მდებარეს, ქარიშხალით მიწასთან გასწორებულს, სასმელი წყლის და შუქის გარეშე დარჩენილს.

სისულელეა იმის მტკიცება, რომ აშშ-სთან ან დასავლეთთან არ უნდა გვქონდეს ურთიერთობა, მაგრამ ასეთივე სისულელეა, რუსეთთან ურთიერთობის არქონა. აი, ამას ვახსენებთ მთავრობას და საზოგადოების ნაწილს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**

## პოეზიის კუთხე

**პარალელები**

### მოსმენილი ლუდის სმიდან ციკნის შეწვამდე

აპრილი და კათხა ლუდი
ლუდს სვამდნენ და, იმ დროს რადგან
ლუდის კათხას ქაფი ადგა,
იმდენი რამ იტრაბახეს, იმდენი რამ გაპი-
არდა
აბრიალდა აპრილი და ყველაფერი
გაპრიალდა!

### „ცოლი მყავდა, გაღმა მყავდა“

— დოლარები ხომ არ ცვივა ციდან?
საქეიფოდ ფულს შოულობ სიდან? –
კითხულობს ერთი.
ამ კითხვას მყისვე პასუხად ერთვის:
— ცოლი მყავს ნაღდი მონაპოვარი
და არა მხოლოდ მონა პოვარი...
ვიტყვი, თუ ამით არ ავქოთდებით,
დოლარს შოულობს ღამის ქოთნებით!..

### შევსვათ, გვაამოს! რა გვაქვს სადავო?

ითქვა საყვედური „ნატოსადმი“
გვაძრობენ ტყავს ტანზე ცხრაპირს,
ის კი გვკვებავს პაპის ზღაპრით,
რატომ გვტანჯავს ნერწყვის ყლაპვით,
რად გაჭირდა ჩვენთვის „მაპი“?
მავთულხლართებს ჩახვეული იმედი
გატაცებები რომ გაახშირეს,
მტერი ფიქრობს, რომ ამით
გვაშინებს,
მაგრამ მათი სვლა რაკი გავშიფრეთ,
მავთულხლართებს თუ დავჭრით, მაშ-
ინვე,
დუშაშს თუ ვერა, ველით შაში-ბეშს!

### გაიხსენეს რუის-ურბნისი

როცა ეშმას აზის დამღა,
მკრეხელობა რჩება ნაღმად
წმიდისა და ღვთიურის მკვლელს.
მავთულხლართებს ვინც გვერდს უვლის,
ნუმც შეხედავს რუის-ურბნისს,
თვალი თუკი არ გაურბის
დავით აღმაშენებლისკენ!

### ლუდი და ჭადრაკის დაფა

მთავარსარდალიც ლუდს სვამს, აქვეა,
გარს ახვევია ბევრი ლაქია,
წინ დაფა უძევს და ულაგია,
რაც უჩორკნია და ულაქია.
თან ისეთ ილეთს როკავს მოქნილად,
ჭადრაკში მოკლე როქი რო ჰქვია.
თუკი მივუხვდით:
როდის, რა ფასად,
მიაღწევს შამათს დიდ „შაჰ-აბასთან“,
ვიტყვით: დაფასდა, დიდად დაფასდა,
ლუდის კათხა და ჯდომა დაფასთან!

### მსჯელობა სამთავრობო გადაადგილებებზე

ცხოვრება როცა „ჭანდრაკულია“,
სხვა ყველაფერი მხოლოდ ტყულია,
ახირება და ვიღაცის ზნიკი.
პაიკი თუკი გადედოფლდება,
და თავის მეფეს გადეფოფრება,
მიტომ არ გვიკვირს!
მინისტრობით და თავის პიარით,
პაიკი თუმცა რვამდე კი არი,
მაგრამ მათ შორის არის სვიანი,
რომელიც შეძლებს გადედოფლებას?
როცა ქვეყანას საღათით ძინავს,
ვნახოთ, ვინ შეძლებს ბრძოლის მოგე-
ბას,
თუ ახლობელმა არ შეიწირა,
არც ცვლილებები არ მოხდა გვიან
და დროზე შედგა გადაროქება!

### ლუდით შესმული სადღეგრძელო

სახელის შეცვლა ინებეს,
ნიღბით და მაცდურ იერით,
როცა კუდებით მიებნენ
მაგიდას კაცუნიები.
„ევროპელო“ და „გირჩელო“,
ყური დაგვიგდეთ:
გირჩევთ, რომ
სხვის ტყავში ნუ იკუნტებით
მჩხავანა კატის კნუტები!

### ციკანი და პოლიტიკა

კათხაში რადგან ისევ ქაფია,
კვლავ მკვეთრად,
თანაც უფრო მკაფიოდ
ისმის შაყირი, ისმის კაფია...
მაგრამ შეიწვა როცა ციკანი,
გადაივიწყეს პოლიტიკანი!

**ალექსანდრე შენგელია**

# ღია წერილი ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს, ანუ ვინ ანგრევს ეროვნულ ერთიანობას

*(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)*

მაგრამ გვჯერა, ცოტაა ისეთები, რომლებიც თქვენსავით ფიქრობენ ბატონო ტარიელ, ხოლო ღრმად ვართ დარწმუნებული თქვენსავით არ ფიქრობენ დიდი ილიას, აკაკის, ვაჟას, გრიგოლ რობაქიძის, გალაქტიონის, მუხრანის, შოთა ნიშნიანიძის, თინათინ მღვდლიაშვილის, ვასო კუკუნაშვილის, მეცნიერების ივანე ჯავახიშვილის, მიხაკო წერეთლის, აკაკი შანიძის და სხვა ღირსეულ მამულიშვილთა სულიერი მემკვიდრეები. ეს გვაძლევს იმედს, რომ ბოლოსდაბოლოს გაირკვევა სიმართლე და ქვეყანა დაადგება განვითარების სწორ გზას; ამასთან, უეროვნებო, გაურკვეველი წარმომავლობის ინდივიდებისა და კბილებაკაწკაწებული აგრესორებისათვის არ გვემეტება ზემოჩამოთვლილ მამულიშვილთა სულიერი მემკვიდრეები და ღვთითკურთხეული, იბერიული სისხლით გაჟღენთილი მიწა, თორემ **ბატონო ტარიელ,** თქვენ და თქვენი თანამოაზრეები ნამდვილად იმას იმსახურებთ, რომ მიგატოვოთ და დაინახავდით, უჩვენოდ რამდენ ხანს იარსებებდით, მაგრამ ღმერთო დაგვიცავ ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობისაგან!

ჩვენ მტკიცედ გვჯერა ნორმალური მეგრელი და სვანი ძმები – წმინდა იბერები კარგად გაიცნობიერებენ მოსყიდულ ავანტიურისტთა შორს მიმავალ გეგმებს, რომელთა მიზანია ლეგენდარულ იბერთა აღგვა პირისაგან მიწისა და არასოდეს აჰყვებიან მათ პროვოკაციულ მიზნებს. მათ კარგად იციან, რომ ერისა და ქვეყნის წინაშე ვალდებული ვართ კვლავაც დავიცვათ და განვავითაროთ უდიდესი საერთო მონაპოვარი – ახალი იბერიული ენა, გავამდიდროთ იგი მეგრულ და სვანურ ენებში შემონახული მარგალიტებით, გზა გადავუღობოთ გაურკვეველი წარმომავლობის უეროვნებო ინდივიდთა მიერ უცხოური, უენერგიო ლექსიკის უკონტროლოდ შემოტანას, რომლებიც, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ „ყურს ეჩხირება და გულსა სწყინს“.

ასე რომ საცოდავო ტარიელ, ტყუილად ირჯებით, ვერასოდეს ვერ მიაღწევთ თქვენს ვერაგ მიზანს და, თუ გსურთ თქვენი და თქვენი მომავლის მშვიდი ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში, გირჩევთ გაითვალისწინოთ ბუმერანგის თვისება და, არც ისე ადვილია, მაგრამ ეცადოთ მაინც, ისწავლოთ სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისაგან გარჩევა.

**კუკური ფიფია,**
**კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი**

# კოლხ-იბერნო!

**ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ სამაჩაბლო-აფხაზეთს და მთლიანად საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ მეზობელი ზესახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით დავიბრუნებთ!**

**სხვა გზა – არ არსებობს!**

**სხვა გზა – ქვეყნის სრული დეზინტეგრაციისაკენ მიდის!**

**სხვა გზა – ერის სრული დეპოპულაციისაკენ მიდის!**

**სხვა გზა – სრული ეროვნული და სახელმწიფოებრივი კატასტროფისაკენ მიდის!**

**კოლხ-იბერნო!**

**ჩვენ ასევე უნდა შევიგნოთ, რომ შევარდნაძის პუტჩისტური ხელისუფლებიდან მოყოლებული დღემდე – ყველა სამშობლოს და ეროვნული ინტერესების მოღალატე-გამყიდველია!**

**ქართული პოლიტიკური სპექტრის უდიდესი ნაწილი – სამშობლოს და ეროვნული ინტერესების მოღალატე-გამყიდველია!**

**გამოვიღვიძოთ კოლხ-იბერნო!**

**გამოვიღვიძოთ და შევიგნოთ ისიც, რომ დრო ცოტაღა დაგვრჩა!**

**გადავირჩინოთ თავი, კოლხ-იბერნო!..**

**ზურაბ კვარაცხელია,**
**ზუგდიდი**

# შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო

***(ანუ პასუხად ვინმე ნაძირალა ქეთა ლაგვილავას და მის თანამოაზრეებს)***

მ/წლის 25 მარტს მსოფლიო შეძრა, მათ შორის მეც, ქ. კემეროვოში დატრიალებულმა ტრაგედიამ. გასართობ ცენტრში გაჩენილმა ხანძარმა 64 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის 41 ბავშვის. რუსი ხალხის ეს ტრაგედია მსოფლიომ გაიზიარა. ამ გაუსაძლის მძიმე წუთებში თავსდატეხილი უბედურებისას, რუსეთში მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიოდა სამძიმრის გზავნილები ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედიის გამო. მაშინ, როცა ამ ცოცხლად დამწვარი ადამიანების ხსოვნის პატივსაცემად ქვეყანაში გლოვა იყო გამოცხადებული, რუსი ხალხი კი მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან (უკრაინისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა) სამძიმრის გზავნილებს ღებულობდა, საქართველოში აღმოჩნდა რამდენიმე ნაძირალა არაადამიანი, რომლებმაც ამ ტრაგედიაზე ქილიკი დაიწყეს და სოციალურ ქსელში უზნეო პოსტები გამოაქვეყნეს. მათ შორისაა თბილისის მერიის თანამშრომელი ვინმე ქეთა ლაგვილავა, რომლის დამსახურება ქვეყნისა და ქართველი ხალხის წინაშე, ჯერჯერობით მხოლოდ პაპიროსის მოწევასა და მაისურზე “კალაძის” წარწერით გამოიხატება. როგორც ამბობენ, ამ “დიდი დამსახურებისათვის” იგი ჯერ ბ-ნი კახის საარჩევნო შტაბის წევრი, შემდგომ კი მერიის თანამშრომელი გამხდარა.

ძვირფასო მკითხველო! წინასწარ ბოდიშს გიხდით იმ გამონათქვამების გამო, რომელსაც შემდგომში ქ-ნ ქეთასა და მისი თანამოზიარეების მიმართ გამოვიყენებ, მაგრამ როცა თქვენ თვითონ გაეცნობით სოციალურ ქსელში მის მიერ გავრცელებულ, ქრისტიანისათვის ყოვლად მიუღებელ და ზნეობრივი თვალსაზრისით ამაზრზენ პოსტებს, ალბათ მაპატიებთ და მის მიმართ უარესი ეპითეტების შერჩევაშიაც დამეხმარებით. ასეთი ლექსიკით საუბარს ნამდვილად არ ვარ მიჩვეული, მაგრამ ამ ქალბატონის ასეთი პოსტების გამოქვეყნების გამო, ისე ვარ აღშფოთებული, რომ თავს კონტროლს ვეღარ ვუწევ, რისთვისაც კიდევ ერთხელ გულწრფელად გიხდით ბოდიშს. აი ისინიც: “**რუსი ღორების შვილები ამოიწვნენ და ამოიბუგნენ- ეს რა ბედნიერი დილა გამითენდა!” “ღმერთი აშინებს მაგ დამპლებს, რომ დროა შეჩერდნენ, თორემ მასეთ ცეცხლში ამოიწვება ყველა”, “ყველაზე კარგი რუსი ცოცხლად შემწვარი და შებოლილი რუსია”, “მივუსამძიმრო კი არა, იქ რომ ვყოფილიყავი და ნავთი მქონოდა მთელ ცისტერნას მივასხამდი”.** ეს ყველაფერი უკვე ფაშიზმიც აღარაა და მასზე ბევრად უფრო მეტია, მათ ზნეობაზე კი ლაპარაკიც აღარ ღირს. ქვეყნის უბედურებაა, როცა საზოგადოებაში მოიპოვება თუნდაც ერთი ზრდასრული ნაძირალა, რომელიც ამ მენტალიტეტით აზროვნებს და მსჯელობს. შე მართლა ღორო და დამპალო ნაძირალა ლაგვილავა და შენო თანამოაზრეებო, ან ოჯახში არ გაზრდილხართ, ან მშობლები არ გყავთ, ან სკოლაში არ გისწავლიათ, ალბათ რამდენიმე უნივერსიტეტიც გექნება დამთავრებული, მათ შორის ბოკერია ჩერგოლეიშვილების მიერ დამკვიდრებული ლიბერალური ღირებულებებით განთქმული ილიაუნიც. ცხოვრებაში პაპიროსის მოწევისა და გამომწვევი ტანსაცმელის ჩაცმის გარდა სხვა არაფერი გიკეთებია? თქვენი ეს პოსტები უზნეობისა და გაუზრდელობის გარდა, თქვენი წიგნიერებისა და განათლებულობის უმდაბლესი დონის ნათელი დადასტურებაცაა. ლომაიას რეფორმირებული სკოლა, რომ გექნება დამთავრებული ეს ფაქტია, მაგრამ ნუთუ ოჯახში ელემენტარული აღზრდა არ მიგიღია? ვერაფრით დავიჯერებ, რომ თქვენს მშობლებს, ან ბებია ბაბუებს თქვენი ეს საქციელი მოწონებოდა. აი სანამდე მიგვიყვანა და, შემდგომში კიდევ უფრო უხვ ნაყოფს გამოიღებს სოროსისა და ლომაია-შაშკინისეული რეფორმებით გადაგვარებული განათლების სისტემა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული და მათი ინტერესების გამტარებელი, უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაჩაღებული აღვირახსნილი ანტირუსული კამპანია. რასაც რა თქმა უნდა უკვალოდ არ ჩაუვლია და, თავიანთი გავლენის სფეროში ბევრი გულუბრყვილო და ნაკლებად განათლებული ადამიანი ჩაითრიეს. ასეთი პროპაგანდის ბრალია, რომ ათეული წლებია მიზანმიმართულად ხდება ახალგაზრდობის მოწამვლა და მათი შეგუება გაუფასურებულ ღირებულებებთან. სამწუხაროა, რომ ქვეყანაში იდეოლოგია საერთოდ არ გვაქვს, ამის ბრალია, რომ ღირებულებები ისე გაუფასურდა, პატრიარქი იძულებული გახდა ამ პროცესს გამოხმაურებოდა, რაც მისასალმებელია, მაგრამ ჩემი აზრით დაგვიანებული. ასეთივე აზრისა ვარ პრემიერის მიერ კრემლისათვის გაგზავნილი პოზიტიური წერილის თაობაზეც, რომელიც მისასალმებელია, მაგრამ ესეც დაგვიანებული. მე მეამაყება, რომ პეტრე ბაგრატიონი, იოსებ სტალინი და კემეროვოში რამდენიმე ბავშვის ცეცხლში დაწვას გადამრჩენელი, ხოლო თვითონ დაღუპული ტატიანა დარსალია, ჩემი თანამემამულენი არიან, მაგრამ მრცხვენია, როცა ლაგვილავა და მისი თანამოაზრეებიც ჩემი თანამემამულეებია. მიუხედავად ამერიკისა და ევროპის ქვეყნების მწვავე დაპირისპირებისა რუსეთთან, არც ერთ ქვეყანას და მათ მოქალაქეებს მსგავსი არაფერი უკადრებია. უკლებლივ ყველამ, (საქართველოს, უკრაინისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა) მათ შორის პოლონეთმაც კი, მიუსამძიმრა რუს ხალხს და სინანული გამოთქვეს ამ საშინელი ტრაგედიის გამო. რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთი ამაზრზენი პოსტები სოციალურ ქსელებში მხოლოდ საქართველოს, უკრაინისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მოქალაქეების მიერ ვრცელდება. ამ რამდენიმე ნაძირალას გამო, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ქართველი ხალხის ტრადიციული ღირებულება, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შესახებ.

უწიგნურო და უზნეო ლაგვილავა, ცუდი ხალხი და ცუდი ერები არ არსებობენ. ყველა ხალხში არსებობენ გამონაკლისები, რომლებიც ყველგანაა, მათ შორის თქვენი და თქვენნაირი ტვინნაღრძობი რამდენიმე ათეული ადამიანის სახით საქართველოშიც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი ერია ცუდი. ფიზოლოგიურად ქალს გავხართ, მაგრამ ქალისთვის ყველაზე მთავარი, ელემენტარული დედობრივი გრძნობა ხომ მაინც უნდა დაეყოლებინა იმ დალოცვილ ღმერთს. ასეთი უსისხლო და სადისტი რა დედამ გშობა, თუ სანათესაოში არა, მეზობლებში მაინც არავინ გყავს ბავშვი? როგორ შეგიძლია ბავშვებს თვალებში უყურო და მათი თანატოლი რუსი ბავშვების ცოცხლად დაწვით გაიხარო. თანაც ნანობ, რომ იმ მომენტში იქ არ იყავი თუ არა, უფრო მეტი რუსი ბავშვი რომ დამწვარიყო, იმ აალებულ შენობას კიდევ ერთ ცისტერნა ნავთს მივასხამდიო. თქვენგან განსხვავებით ჩვენმა თანამემამულე ტატიანა დარსალიამ იმ აალებული გასართობი ცენტრიდან, დასაწვავად განწირული რამდენიმე ბავშვი გადაარჩინა, თვითონ კი დაიღუპა და, ამით ქართული მენტალიტეტი და ქართველი კაცის უმაღლესი ზნეობრივი მრწამსი მსოფლიოს აჩვენა. ადამიანური გრძნობებისაგან ბოლომდე დაცლილო ლაგვილავა, ნუთუ ჩვენი თანამემამულის ამ გმირულმა მაგალითმა მაინც არ დაგარწმუნათ, რომ ამ ქვეყანაზე თქვენი და, თქვენნაირად მოაზროვნე ადამიანების მოვლენა ბუნების შეცდომაა, რასაც სამედიცინო ენაზე ადამიანი კი არა, თავგზააბნეულად მოხეტიალე სპერმატოზოიდის ნაყოფი ჰქვია.

მე ის გამკვირვები, რომ ამ ზნედაცემული ადამიანის უზნეო გამოხდომას გაზ. “საქართველო და მსოფლიო” და “ასავალ-დასავალის” გარდა, არავინ გამოხმაურებია და არ დაუგმია. ტელევიზიებსაც პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული და ამ საკითხზე კრინტს არ ძრავენ. სად არიან ეს ე. წ. მსოფლიო ჰუმანური იდეებისა და ლიბერალური ღირებულებების მქადაგებელი ათასობით უფლებადამცველი, რატომ არ აპროტესტებენ და არ გმობენ ამ არაადამიანების მხრიდან ადამიანისათვის ყოვლად შეუფერებელ ასეთ საქციელს? როგორ შეიძლება ადამიანი ეწოდოს მას, ვინც რუსი ბავშვების ცეცხლში დაწვით ხარობს, ის ადამიანი კი არა ადამიანის გამოშიგნული ფიტულია. არც ქვეყნის მთავარი უფლებადამცველი იკლავს თავს ამ ამაზზრენი ფაქტის დასაგმობად და დუმილს ამჯობინებს. ასეთი პასიური პოზიციით, ისინი ხომ ფაქტობრივად მხარს უჭერენ ლაგვილავას და ასეთი ქმედებისაკენ ახალისებენ არა მარტო მას, არამედ სხვა მისი მსგავსი იდეების მატარებელ მახინჯი სულის ადამიანებსაც. სამწუხაროდ არც სასულიერო პირებისგან მომისმენია ქრისტიანისათვის ყოვლად შეუფერებელი ასეთი საქციელის დაგმობა და მისი სამსჯავროზე გამოტანის მცდელობაც კი. დიდი აღშფოთება არც ფართო საზოგადოებას გამოუხატავს და, სამსჯავროზე არ გამოუტანია, ქართველი კაცისათვის ყოვლად მიუღებელი ეს სამარცხვინო ფაქტი. პირად საუბრებში საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი აღშფოთებულიცაა და ამ ფაქტსაც გვარიანადაც გმობს, მაგრამ როგორც ჩანს, მასმედიის ლიბერასტი მესვეურები საჯაროდ ამ ფაქტის დასაგმობად და მასზე მსჯელობისათვის ეთერში არავის მოწვევას არ აპირებენ. ნუთუ ამ დემოკრატიის და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრების საფარველით, ისე გადაგვარდა საზოგადოება და ისე გაუფასურდა ფუნდამენტალური ღირებულებები, რომ მათთვის ლაგვილავასა და მისი თანამოაზრე ერთი მუჭა “ადამიანთა ფიტულების” ეს პოზიცია მისაღებია? ვაი ჩვენს პატრონს უბედურს! უფრო დიდი უბედურება ისაა, რომ სხვის ფეხის ხმას აყოლილი ეს განათლების დეფიციტის მქონე ურაპატრიოტები მიტმასნილი არიან “ქართულ ოცნებას” და მას საზოგადოების თვალში სახელსაც გვარიანად უტეხენ.

ბ-ნო კახი, თუ ეს ქალბატონი მართლა თქვენთან მუშაობს, სასწრაფოდ მოაშორეთ მაქედან. არ შეიძლება ასეთი მენტალიტეტის ზნედაცემული ადამიანი თბილისელებს ემსახურებოდეს, ის არასოდეს არ დაიცავს მათ ინტერესებს. არ შეიძლება თბილისელების ჯიბიდან ამოღებული ფულით ხელფასს იღებდეს ეს ზნეობისაგან ბოლომდე დაცლილი ლაგვილავა. თუ მერიის ახალი თანამშრომლებიც ქ-ნ ქეთა ლაგვილავასნაირი პერსონებითაა დაკომპლექტებული, მაშინ ნამდვილად აღარ მიკვირს, რომ მ/წლის 18 იანვარს თქვენს სახელზე შემოტანილ ჩემ განცხადებაზე პასუხი ჯერაც არ მიმიღია.

**ომარ გოცაძე**

ქართული ბიბლიოთეკა

# არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..



ახლა აქ, ამის გასწვრივ რომ გავიხსენო სიმონ ჩიქოვანის „ცხრა ძე ჰყავდა, ცხრა ვაჟკაცი დედას, შეკაზმული ხმლით და მუზარადით, ქართვლის დროშა დაულოცა მხედართ, როს დაგვეცა მტერი მუხანათი...“ მთელი ეს შანტრაბა ერთ ხმაში დაიყროყინებს – სიმონ ჩიქოვანი საბჭოთა მწერალიაო! აი, მათი სისწორე, აი, მათი მიზანი, – რადგანაც მათში ამპლუა კეთილშობილება ან მამულიშვილი – არ არსებობს!..

საზოგადოება ცხოვრობს ქვეყნის სამერმისო, ერის მარადიულმყოფი მიზნების გარეშე.

სხვათაშორის, საქართველოს პარლამენტის ტრიბუნა, სხვა შესაბამის პოლიტიკურ თუ ვითომ არაპოლიტიკურ (ე.წ. მესამე სექტორის ცალკეულ ფეხაწყობასთან ერთად), სწორედ ის ადგილია, სადაც დიდად როდი დაგიდევენ ქართული აზროვნების წესს, სწორმეტყველებას, წიგნიერებას, განათლებას, ყოფაქცევას და, რაც მთავარია, ქართველი ერის ნებას. არც თუ იშვიათად აქედან მრავალცალდება (ტირაჟირდება) სახიფათო სტერეოტიპები. ამ მხრივ, სხვა მრავალთა შორის, მისი საფიხვნო განსაკუთრებით მიეხმიანა ქართველი ერის რუსისტულ და თუ გნებავთ აგრესიული გლობალიზმის (ჭაობური დემოკრატიის) ქვეგამხედვარობებს. ასე მაგალითად, 2017 წლის პირველ ნოემბერს პარლამენტის სხდომაზე ითქვა, რომ სამეგრელოს გაუჭირდებოდა აზიურ ფაროსანასთან გამკლავება. ამის საპასუხოდ უმრავლესობის ლიდერმა ბატონმა არჩილ თალაკვაძემ ეგრისის „გამოსარჩლების“ მიზნით ასეთი დებულება დაარეხვა: „სამეგრელო ვერ გაუმკლავდება აზიურ ფაროსანასთან ბრძოლას იმიტომ კი არა, რომ მეგრელი ხალხი ზარმაცია, იმიტომ, რომ მას ამის რესურსი არ გააჩნია“-ო.

მას მხარი დაუჭირა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ, რომელმაც გაიმეორა, რომ „მეგრელი ხალხისთვის სიზარმაცის დამბრალებელმა ბოდიში უნდა მოიხადოსო“...

საქართველოს პარლამენტის არა თუ წევრმა, მით უფრო, თანამდებობის პირმა, თვით მეკარემაც კი უნდა იცოდეს ქართველი ერის ვინაობის სწორი განმარტება. მას საჯარო გამოსვლისას მოეთხოვება სამეგრელოს, ლაზეთის, სვანეთის, იმერეთის, ხევსურეთის და ა.შ. დედანი განმარტება, რითაც იგი მიერთსხეულებულია სრულიად საქართველოს და ავმოსურნე, მასში სასურველს ვერ მოიხელთებს. ის არ უნდა განიხილავდეს ქვეყნის მხარეთა თავისებურება – ნაირსახეობებს ვოსტორგოვულ ან დღევანდელ ვითომ უფლებადამცველთა, მათ შორის მეგრელებზე, სვანებზე, ლაზებზე და ა.შ. „მზრუნველთა“ თარგის მიხედვით.

ამავე დროს, ეს ხალხი, რომელიც ქუთაისში, პარლამენტის ტრიბუნიდან სამეგრელოს „გამოესარჩლა“, სწორად, არა ცენტრნაცმენურად რომ იაზრებდეს უდიდესი და უქართულესი კოლხური სამყაროს ვინაობა-რაობას, ეცოდინებოდა თუ რა მარად ქართულობაა მეგრელთა (მაშასადამე ქართული) ქუთაია და უფრო სწორ შესატყვისს გამოიყენებდა მეტყველებისას საქართველოს მხარეთა განხილვის დროს.

ამიტომ, ის, ვინც მომავალში სამეგრელოს გამოსარჩლებას მოინდომებს (კარგი იქნება თუ ეს 1992-93 წლებშიც აქვს გაკეთებული იმ უნდობარ ჟამთა თანამედროვეს), მან კოწის, ბუჯგას, ილას, ძუკუს და მისთანათა, ჩემი ბავშვობის დროს ჯერ კიდევ მომუხლმაგრე აკაფელი (ბესლეთ-კელასურის ხეობა) ბერიკაცების დარად, რომელთაც, მართალია, სალიტერატურო ქართული მთლად წკონდად არ იცოდნენ, მაგრამ არ უბურუსდებოდათ თავიანთი ქუჯი-ცოტნეიდური ვინაობა, რაც მთავარია, ჭყონდიდურ-აღმაშენებლურ თვალსაწიერში აზროვნებდნენ, აქედან გამომდინარე, უმცდარად მოგისაზღვრავდნენ ქართველთა გონითი განფენის სივრცეს პონტო-კავკასიის ცნობიერ გადასარბენზე, აი, მათ დონეზე მაინც უნდა იცოდეს დედა საქართველოს შინაარსი. ისინი (ზემოხსენებულნი) ქართული მიწის გასათოხნადაც არ ამოიყენებდნენ უჩა ნანუაშვილისა თუ ძმა-დაქალთა მისთა საზოგადოებას (სურვილის შემთხვევაში მკითხველმა მათ მარაქაში იგულისხმოს შვონდერ-შარიკოვული ტიპაჟები არჩილ თალაკვაძისა და მამუკა მდინარაძის სახით და არამხოლოდ ისინი).

თუ ვინაა სამეგრელოს მოსახლეობა, მან ეს არაერთი ათასწლეულია, რომ კარგად დაიმახსოვრა, რაც, სამწუხაროდ, აგერ, ოციოდე წლის წინ არ ახსოვდათ უჭკუო თოფოსნებს, როდესაც ისინი, მტრის მიერ ერთჯერად საგნად მოხმარებული რაობები, სრულიად საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისათვის თავგანწირულ მეგრელებს არბევდნენ და თან რეგვენულ „სიმღერას“ ღრიალებდნენ – „ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა“.

მინაწერი: მახსენდება 1991 წლის სექტემბერი, როდესაც თბილისის ქუჩებში ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ სრულიად საქართველოს თვალწინ ხროვად გადაქცეული საზოგადოების ერთი ნაწილი თავაწყვეტით დათარეშობდა.

იგი თავისი შორსგაუხედავი და უგუნური გამოჭენებით, სწორედ, რომ ქვეყნის ყოფნა-არყოფნის დღეებში, მტრის გასახარად და სადღესასწაულოდ ტყვიას იმარაგებდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დასახლელად.

მაშინ საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა ერთი რუსი, გვარად სერებრიაკოვი, სახელად სერგეი, რომელმაც გამართული ქართულით, რომელსაც ოდნავი რუსული აქცენტი ახლდა, მიმოიხილა თუ რას ნიშნავდა ის, რაც ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ხდებოდა. მან საგანგაშოდ მიიჩნია ეს ყველაფერი და ქვეყნის ღალატი დაარქვა მას. ბოლოს ამით გულამოსკვნილმა ძალა მოიძია და მრისხანედ, მაგრამ კეთილმოსურნედ მიახალა ქართულ საზოგადოებას: „ქართველო ერო, შენ გაგიჟდი!..“

6. კიდევ მინაწერი ანუ მეძავურ-პარაჟენცულ თვითმოძიებათა დამკვიდრება ე.წ. მწერლობაში: 2017 წლის 22-23 დეკემბერს საქართველოს შს სამინისტროს მიერ ჩატარებული ღონისძიების – საპოლიციო კონტროლის (რეიდი სამართალდარღვევათა გამოსავლენად) შედეგად ჭეშმარიტად ქართული მწერლობისათვის ვინმე ზვიად რატიანის შეხლამ (ინციდენტმა) პოლიციელებთან, „საიდანაც ჯერ არს“ მიზნობრივი ძალისხმევით ჩვენი ერისთვის მწერლობად თავსმოხვეული სიმრავლისათვის ლიტერატურული თვითდამკვიდრებისა და პოლიტიკური საშოვრის ხასიათი მიიღო.

ხმამაღლა ვამბობ: რა თქმა უნდა, არავისა აქვს უფლება, შეურაცხყოს პიროვნება, აწამოს და გალახოს იგი, გაუუპატიუროს ღირსება თვით სიკვდილმისჯილსაც და ხელყოს მისი შეუგინებლობა.

ეს ასეა და იგი უფლისაგან არათუ ადამიანზე ვრცელდება, ჩვენი წინაპრების შინერს-ვაშინერსის წესრიგი პატივმიგებით ექცეოდა ცხოველსაც (საერთოდ ბუნებას).

დიახ, ასეა მეთქი ეს, მაგრამ შემოჩეჩებულ მწერალთა გამოინკუბატორების თაოსნები ამ შემთხვევის დედანში კარგად გაერკვნენ და მასში შესაშური ხელგამოღებით ჩაახრახნეს ნაცადი ცრუმოძრაობები, რომლის დროსაც სულაც ფეხებზე ეკიდათ ბატონ ზვიად რატიანის უფლებათა დაცვა.

გამოჭენებული ვითომმწერლური სიმრავლისათვის, ასევე, თუ ქვეყანაში ძირგამომთხრელ თარეშთა პროპაგანდისტულ ფრონტზე („რუსთავი-2“, „იმედი“ და ა.შ.) ეს შემთხვევა, ისევე, როგორც ნამესტნიკური ხელისუფლების სხვა უჭკუობები, გადაიქცა საეთნოდივერსიო სამსახურებისთვის საჭირო ნედლეულად.

გასაკვირია, არავინ ხედავს, ეს სიგიჟე, გნებავთ სირეგვნე, კარგად რომაა ორგანიზებული: იგი მიზნად ისახავს 1. მწერლის (პოეტის, შემოქმედის) სახელის გარიგითებას, გაჩვეულებრივებას, ის კი არადა, გაპამპულებასაც კი, რითაც მოღვაწის მოვალეობა „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“ (წმინდა ილია მართალი) ოდიოზურდება; 2. ამით საზოგადოებას ხაზგასმით უსაჯარისდება, რომ ასეთი სტრიქონების გასაჯარისებას „სულ მინდა შენზე ისე ვწერო, თითქოს არსებობ. და ყოველთვის ისე გამოდის, თითქოს თვითონ გამოგიგონე“... (ზვიად რატიანი) შეიძლება, პოეზია უწოდო ან კიდევ, ამის ავტორს პოეტი დაარქვა; 3. ამ აყალ-მაყალის გარშემო დაქსელილმა საგანგებო აურზაურმა (პიარმა), ქართული მწერლობის ხელოვნური გათითოკაცების გასწვრივ, სრულიად უსაფუძვლოდ, ქართველი ერის დასტურით მოსაქმიანე მწერლობად წარმოაჩინა ჩვენს მამულში ეთნოდივერსიულ ხელმრუდობათა შედეგი, რომელსაც ქართული საზოგადოების არმთვლემარე ნაწილი „უბორნიის მწერლობას“ უწოდებს (ოლიგოფობიური, ანუ მშობლიურს მტრად გადაკიდებული პარალელური საზოგადოება); 4. რაც მთავარია, უფლებადაცვაში ჩანიღბული და მიზნობრივად აყაყანებული ეთნოდივერსიული პროპაგანდის მიზანი იყო და არის ქართველთა ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობის ღირებულებებიდან სახალხო ცნობიერებისა თუ გემოვნების მოგლეჯა და მისი გამომწყვდევა „უბორნიის მწერლობის“ ყროლად ხართაში (რეზერვაციაში).

მართალია, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ქრისტესმიერ მოყვასად ვიდგენ ბატონ ზურაბ რატიანს, მაგრამ იგიც, ასევე ქრისტესმიერი გულწრფელობით უნდა დამეთანხმოს, რომ თუ პოეტობა „ზვიადრატიანობაა“ (ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ, არც თუ შორს მყოფს მხცოვანებასთან, ჯერ არაფერი დაუწრია ისეთი, წიგნიერი მკითხველი იცნობდეს... თვალსაჩინოებისთვის ინებეთ: „მოლაპლაპე ზეთოვანი სხეულებით, მოლაპლაპე ტყავის ჩექმებით, მბზინავი ტუჩებით და ძუძუს თავებით, და სავარაუდო გენიტალიებით იმეორებდა ერთმანეთს – სექსი“), – მაშინ (შორს რომ არ წავიდეთ და მარტო მეოცე საუკუნიდან მოვიშველიოთ), რაღაა მიხა ხელაშვილობა („დედას უყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა. იმიტომ გვტანჯავს გამჩენი, სულ მუდამ გვაცოდვილებსა“), ლადო ასათიანობა („ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“), მირზა გელოვანობა („... და სადმე ტყვია თუ გააციებს გულს საშინელი განადგურებით, თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ დანაშაული არდაბრუნების“...), ტერენტი გრანელობა („ახლაც გარშემო მძიმე წამია, ახლაც ქარში ვარ, თავს ვერ ვუშველე და ვესალმები იმ ადამიანს, ვისაც ცრემლები ლოყას უსველებს“), ნიკო სამადაშვილობა („აქ დანდობილა გლეხი სახრეზე, აქ შესწრებია ორშაბათ დილას. ეხლაც კი ვამჩნევ ლაშას სახეზედ ჯალალედინის შემოკრულ სილას“... სხვათაშორის, ნიკო სამადაშვილისთვის, ამ უდიდესი შემოქმედისთვის სიცოცხლეში არავის უწოდებია პოეტი!..), ოთარ ჭილაძეობა („ნარბენი კაცის გულივით ფეთქავს საათიც, ქუჩაც, ფოთოლიც, წვეთიც... შენ ხარ – აქამდე რაც უნდა მეთქვა, შენ ხარ ოთახში ჰაერზე მეტი), ლაშა გახარიობა („ხან მარტვილია, ხანაც მესია, თან წერტილია, თანაც ანთარი, პოეტი მაინც ერთი ლექსია, ობლის ცრემლივით ცამდე მართალი“...), რომ არაფერი ვთქვათ გალაკტიონზე („შემოიღამებს მთის ნაპრალები და თუ როგორმე ისევ გათენდა, – ღამენათევი და ნამთვრალევი დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან!“), ან გოგლაზე („განა ლექსი ლექსი არის, თუ დარჩება მუნჯი? პოეტებო, გულსაც უნდა ბერტყვა, როგორც ხურჯინს!“).

ჩემი აზრით, ბატონ ზვიად რატიანისთვის არანაკლებ შეურაცმყოფელი უნდა იყოს ის, რომ მას ამგვარი დაჟინებით და მიჭედების წესით აბრალებენ პოეტობას.

არადა, ცხადია, სამშობლოსთან მიმდგომელთა ჯოგმა იგი უნუგეშოდ მოსწყვიტა უფალს და ეშმაკს შეატოვა მარტო: საქმე ისაა, რომ წინამდებარე შეხლას მოჰყვა ერთი ღვთისწყრომა, რომელიც „რა მოხდა მერე“-დ მიიჩნევა უფალსდაპირისპირებულ, ათეისტურ საზოგადოებაში, თუმცა ის მოდგმიდან მოდგმამდე ძნელად ჩამოსაბან ცოდვად გაჰყვება ყველანაირ ღვთისგმობასა თუ ეკლესიის მნგრეველს: ამ კაცმა უშვერად აგინა მას, ვისაც ერი უწმინდესსა და უნეტარესს ეძახის, რაც თავისთავადაა მომაკვდინებელი ცოდვა.

აი, რა არის ე.წ. პოეტად შემოსაღებულისათვის იმაზე მეტი უბედურება, ვიდრე ის, რომ იგი პოლიციელმა გალახა.

ასეთი ყოფაქცევით ის არა უფალს განდობილ შემოქმედად გვენიშანსვეტება, ისეთად, რომლის ასეთი აღაღადების მსგავსად: „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ...“ სულიერ საზრდოდ გვისაგზლდება, არამედ მამულიშვილობისთვის ტყვიის დამხლელი ზახარ შაშურკინი გახლავთ. სწორედ ამიტომ, პირდაპირ ვიტყვი, ამ დღეებში ასე ხელაღებით მისი პოეტად მოხსენიება (თანაც „იმგვართა“ ფეხაწყობაში) თანაგრძნობას კი არ იწვევს, პირიქით, გაქუჩისფსკერულობას უნდომებს პოეზიას, როგორც ღვთივწვდომილების უკიდეგანობას. ეს ერთი, მეორეც: რადგან ეს ვითომ მწერლური განაბიჯება ურწმუნოთა ფეხაწყობაა და ე.წ. მწერლების „გაერთმუშტებული“ დარაზმულობა გახლავთ იმისათვის, რომ, რათა ასეთი აყაყანება, რომელსაც მსოფლმხედველობრივ სვლაგეზს უზუსტებს ლევან ბერძენიშვილის, დავით ზურაბიშვილისა და ა.შ. ქართული სულის დამთოფავი „თეორიები“, ეკა კვესიტაძის ჩასაფრებული ლაფის სროლა და მის ქართველსპობით საამქროში „სალ კლდედ“ მოიერიშე პაატა შამუგიას თითისქნევები (2017 წლის 30 დეკემბერი), ვაღიაროთ, რომ ავმოსურნედ ჩასაფრებულთა ბანაკიდან ქართული ქრისტესმხედრული ღირებულებების წინააღმდეგ გვარიანი რეიდი მართლა გამოვიდა წინასაახალწლოდ და საშობაოდ.

დიახ, ეს სიმრავლე არავითარ შემთხვევაში არ გახლავთ გრიგოლ ხანძთელის, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდიას და ა.შ. სიტყვაკაზმულობის მსოფლმხედველობრივი გაფესვება დროსა და სივრცეში, არა! იგი ქართველთა „დემოკრატიული გადაგვარებით ცივილური გადაშენების“ უსათუო აუცილებლობის მამტკიცებლად და „მწერლურ“ გამსიტყვებლად დადგინდა თავისივე ნებითა და მოხალისედაც კი!

მას, როგორც მიზნობრივ უხამსობას, თავხედობასა და უტიფრობას, შემოქმედებისაგან სულიერი ზრდა, ტკბობა ან ბედნიერება კი არ მოაქვს ქართველი ერისთვის, სულ სხვაა მისი საბოლოო მიზანი - ადამიანთმგრევლობა!.. მანამდე კი საქართველოდ გაშინაარსებულ სივრცეში ქართველებისაგან უნდა დაგეშოს სამშობლოს მიმდგომელი პარალელური საზოგადოება, უფრო სწორად, ჯოგი.

აქ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ქვეყანაში არ არსებობს ანალიტიკური დასკვნა, თუ რა შეიძლება, მოჰყვეს ასეთ წინგაუხედაობას ქართველთა გონითი განფენის სივრცეში.

7. საგაკვეთილო შედარებისთვის ოლიგოფობიური სიცხადის გასწვრივ: ის ავბედითი შინაარსი ან მისგან გამომდინარე უბედურებანი, რომელიც თანამდევი გახდა დროთა სიავისაგან მსოფლიოში მიმოფანტული ებრაელობისათვის, – თუ ზედმიწევნით დაგაკვეთილებული არა, თვალშევლებული მაინც უნდა იყოს ქართველებისთვისაც, რომლებსაც საკუთარი სახელმწიფო აქვთ ასაღორძინებელი.

დღეს ებრაელი ერი და მისი კვლავ აღმდგარი (1947 წ.) სახელმწიფო ისრაელი ერთერთი მოწინავეა მათ შორის, ვინც არათუ ევროპას, მთელს მსოფლიოს უნიშანსვეტებს სამერმისო გზებს.

საინტერესოა, რომ წინააღმდეგობრივი ქვედადინებების პირობებში ებრაელი ერი ერთსულოვანია: ისრაელის სახელმწიფოს მესვეურებმა 2017 წლის 29 დეკემბერს საზოგადოებას მოუწოდეს და ერი დაავალდებულეს, რომ რწმენაში კიდევ უფრო გაძლიერდნენ და გოდების კედელთან აღავლინონ ერთობლივი ლოცვები, რათა ქვეყანაში 4 წლის განმავლობაში მძვინვარე გვალვის შემდეგ უფალმა მოიღოს ნება და გაწვიმდეს.

ისინი ფიქრობენ, რომ რაღაცით გაანაწყენეს ღმერთი და ცოდვა მთელს ქვეყანასა აქვს მოსანანიებელი.

სხვათაშორის, ისრაელში, სადაც წყალი სანთლითაა საძებნი, წყლის გადასახადი ამ დღეებში კიდევ უფრო გაიაფდა. სამაგიეროდ, ჩვენთან, სადაც თითო ხევში რამოდენიმე მდინარეა, იგი სხვა გადასახადთან ერთად, საგრძნობლად გაძვირდა.

**სერგი (გიორგი) საჯაია,**

**(გაგრძელება იქნება)**

# საპატრიარქო კარის თამაშები

### როგორ ებრძოდა საქართველოს პატრიარქს მიტროპოლიტი გაიოზი და როგორ ცდილობდა ოქროს ჯვრისა და ზურმუხტების გაყიდვას

განვაგრძობთ საუბარს გენერალ–მაიორ ვახტანგ გვარამიასთან. ის ამჯერად წილკნელი მიტროპოლიტის – გაიოზის (ბიძინა კერატიშვილის) კრიმინალურ საქმიანობაზე გვესაუბრება. თემა ამჟამადაც ძალიან აქტუალურია. 1970-იანი წლების ბოლოს პატრიარქისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ ისევე იბრძოდნენ, როგორც დღეს. ჩანს, პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა ახალი ამბავი არ არის, არც ის არის ახალი, რომ ზოგიერთი მიტროპოლიტი სახელს უტეხს ეკლესიას.

– 1977 წლის 9 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, დავით V-ის (დევდარიანი) გარდაცვალების შემდეგ წმინდა სინოდმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას (შიოლაშვილი) არჩევას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ.

1977 წლის 23 დეკემბერს გამართულმა საეკლესიო კრებამ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურად აირჩია ილია მეორე, 26 დეკემბერს კი მისი ინტრონიზაცია სვეტიცხოვლის ტაძარში გაიმართა. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მომავალი მეთაურის წინააღმდეგ დაუფარავად დაგანსაკუთრებული აქტივობით იბრძოდა წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (ბიძინა კერატიშვილი), რამდენიმე თანამზრახველთან ერთად. ილია მეორის არჩევით კერატიშვილი გავლენას კარგავდა, ამიტომაც იბრძოდა.

ილია მეორის აღსაყდრების შემდეგ მისი რეზიდენცია, რომელიც სიონის ეკლესიის გვერდით იყო, დაიწვა. კათოლიკოს-პატრიარქი, მიუხედავად იმისა, რომელი წყობილება იყო, სულიერ მამად მიგვაჩნდა. როგორც კი ეს ფაქტი შეგვატყობინეს, შემთხვევის ადგილზე წავიყვანე გამომძიებელთა ჯგუფი. იმხანად თბილისის შს სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე ვმუშაობდი. ჩემთან ერთად იყვნენ სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი ნოდარ წკრიალაშვილი, არაჩვეულებრივი პიროვნება და საქმის ბრწყინვალე მცოდნე.

დავათვალიერეთ შემთხვევის ადგილი, ჩატარდა ექსპერტიზა და მივედით დასკვნამდე, რომ ხანძარი იყო არა უბედური შემთხვევა, არამედ წინასწარ განზრახული და ორგანიზებული დანაშაული.

დაიწყო გამოძიება. დაისვა კითხვები – ვის შეიძლებოდა ჩაედინა ეს ბოროტება? ვის აძლევდა ხელს? ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული? იმთავითვე ცხადი იყო, რომ საპატრიარქოს საქმეებში უცხო ადამიანი არ იქნებოდა გარეული. დადგინდა იმ ადამიანების წრე, რომლებზეც შეგვეძლო ეჭვი მიგვეტანა. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ პატრიარქს აღსაყდრების პერიოდში ობსტრუქცია მოუწყო სასულიერო პირების გარკვეულმა ჯგუფმა. მათ შორის იყო მიტროპოლიტი გაიოზი. სხვებიც მოყვნენ ჩვენი მხედველობის არეში და დაიწყო ამ პირების შესწავლა. ჩვენი თხოვნით, გამოძიებაში ჩაერთო ოპერატიული სამსახური და დაინტერესდა, უპირველეს ყოვლისა, წმინდა სინოდის წევრებით, რომლებიც აღსაყდრების კენჭისყრაში მონაწილეობდნენ და ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ ილია შიოლაშვილისთვის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი გამხდარიყო.

მათგან წამყვანი ფიგურა იყო მიტროპოლიტი გაიოზი. ოპერატიულ განყოფილებებში მასზე მასალები უკვე არსებობდა, რადგან შემჩნეული იყო ძველი ხატებითა და საეკლესიო წიგნებით ვაჭრობაში. ამ კაცმა, რომელიც თავდაპირველად ისე ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ იძულებული იყო, ღამე ეკლესიაში გაეთია ხოლმე, მოკლე ხანში თბილისში, ხილიანზე იყიდა სახლი, რომელშიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 65 ათას მანეთზე მეტი გადაიხადა. დავადგინეთ, რომ კერატიშვილს სურდა კათოლიკოსობა, მაგრამ იცოდა, რომ მას არ აირჩევდნენ და ამიტომ პატრიარქობის კანდიდატად წამოაყენა ერთ-ერთი სამოქალაქო პირი. საეკლესიო კანონებით გათვალისწინებული გარკვეული პროცედურებისა და რიტუალის დაცვის შემდეგ იგი შეიძლებოდა კათოლიკოსად აერჩიათ. ეს კაცი განათლებულიც იყო და საეკლესიო ცხოვრებაში კარგად გარკვეულიც, მაგრამ სუსტი ადამიანი გახლდათ. კერატიშვილის ჩანაფიქრით, მას მალე მოიცილებდა თავიდან და თვითონ დაჯდებოდა საქართველის პატრიარქის ტახტზე.

**– ვის ეკუთვნოდა იმხანად ეკლესიის ქონება?**

– ეკლესიის ქონება საკუთრების რომელ ფორმას ეკუთვნოდა იმ დროს, სადავო იყო, მაგრამ ის გარემოება, რომ გატაცებისა და გაყიდვის საგანი, უმეტეს შემთხვევაში, ქართული ეკლესიისთვის ისტორიულ და კულტურულ ფასეულობას წარმოადგენდა, გვაძლევდა უფლებას, ეს ნივთები საერთო-სახალხო (ეროვნულ), ანუ საზოგადოებრივ საკუთრებად მიგვეჩნია. სახელმწიფო ან საზოგადოების საკუთრების გატაცება კი უმკაცრესად ისჯებოდა. ასეთი დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ ოპერატიულ სამსახურს ხელმძღვანელობდა ჩემი მეგობარი ნოდარ წკრიალაშვილი.

ერთ დღეს ჩემთან მოვიდნენ ნოდარ წკრიალაშვილი და ოპერმუშაკი სტეპანოვი, მათ ქაღალდში შეხვეული რაღაც დადეს მაგიდაზე. გაშალეს. აღმოჩნდა ოქროს ჯვარი, რომელიც დაახლოებით 35 სანტიმეტრი სიგრძის იქნებოდა. მითხრეს, ამ ჯვარს კეტარიშვილი ყიდის, უნდა, რაც შეიძლება მალე შეძლოს მისი რეალიზაცია და მყიდველის მოსაძებნად ჩვენს კაცს მისცა, მან კი ჩვენ მოგვიტანაო. მკითხეს, შეიძლება თუ არა ამაზე რეალიზატორის დაჭერაო. ვუპასუხე, ამ ჯვრის გაყიდვა იგივეა, რაც ჩვეულებრივი ოქროს საათის ან ოქროს ბეჭდის, ამის გამო კი ვერავის დააპატიმრებ-მეთქი.

იმ პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე მუხლი ითვალისწინებდა უმძიმეს სასჯელს სავალუტო ოპერაციების დარღვევისთვის. უცნაური და, ამასთანავე, საინტერესო იყო ამ მუხლის განმარტება. კერძოდ, თუ პირი გაყიდდა ძვირფასთვლიან ბეჭედს, ეს დანაშაულად არ ითვლებოდა, მაგრამ, თუ ამოიღებდა ძვირფას თვალს ამ ბეჭდიდან და ცალკე გაყიდდა, ჩაითვლებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე მუხლით დასასჯელ სუბიექტად. ეს მუხლი კი ითვალისწინებდა 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სიკვდილით დასჯასაც კი. ეს ყველაფერი ჩემს კაბინეტში შემოსულ თანამშრომლებს ავუხსენი. აქვე ვიტყვი, რომ ასეთი რჩევების მისაღებად ჩემთან კოლეგები ხშირად მოსულან და მეც მათი დაკვალიანება არ დამზარებია.

მეორე დღეს წკრიალაშვილი და სტეპანოვი ისევ მოვიდნენ და მითხრეს, რომ კერატიშვილს შინ აქვს ტიხვინის ღვთისმშობლის უნიკალური ხატი, რომელიც უკანონოდ მიისაკუთრა, არ მინდა ვთქვა, მოიპარა, კათოლოკოს-პატრიარქ დევდარიანისგან, რომელიც უპატიოსნესი ადამიანი იყო. კერატიშვილმა ისარგებლა მისი ნდობით, მასთან სიახლოვით და ხატი მიისაკუთრა. ხატი მოოჭვილი იყო ზურმუხტის ქვებით. კერატიშვილს უთქვამს, ფული ძალიან მჭირდება, რადგან ხილიანზე ბინა ვიყიდე და ვალი მაქვს გასასტუმრებელიო. კოლეგებმა მკითხეს: "ზურმუხტი ძვირფას ქვად წავა?" ვუპასუხე: რა თქმა უნდა, წავა.

ოპერმუშაკმა მითხრა, რომ კერატიშვილს ჩვენი აგენტის თანდასწრებით ხატიდან დანით სამი თვალი ამოუჩიჩქნია და გასაყიდად რკინის პატარა კოლოფში მოუთავსებია. აგენტს დაუპირებია გამორთმევა, მაგრამ კერატიშვილს უთქვამს: ვერ გენდობი, მე თვითონ წავიღებ გასაყიდადო.

პლეხანოვის გამზირზე, ყოფილ კინოთეატრ "ოქტომბერთან" იყო ოქროს ჯართის შემსყიდველი პუნქტი. ეს კანონით იყო დაშვებული. თუ, მაგალითად, ოქროს საათს მიიტანდი ან ბეჭედს, იყიდიდნენ, მაგრამ, თუ გადაადნობდი, პასუხისმგებლობას ვერ აიცილებდი. დავგეგმეთ, რომ ჩვენს აგენტს კერატიშვილი იმ შემსყიდველ პუნქტში უნდა მიეყვანა. ასეთ პუნქტებში მომუშავე პირები ჩვენთან იყვნენ დაკავშირებული ან უშიშროებასთან, ან – ორივესთან ერთად.

დღევანდელ კანონმდებლობაში შემოღებულია საპროცესო გარიგების ცნება. დანაშაულს თუ აღიარებ და გამოძიებასთან ითანამშრომლებ, პასუხისმგებლობისგან თავისუფლდები. იმ პერიოდში ასე არ იყო. მე თუ დანაშაულის მონაწილე ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებდი და ვითანამშრომლებდი გამოძიებასთან, პასუხისმგებლობა მაინც მეკისრებოდა. დამუშავდა ამ ოპერაციის განხორციელების ზუსტი სცენარი, ვის რა უნდა ეთქვა და როგორ მოქცეულიყო. გათვალისწინებული იყო ოპერაციის მონაწილე აგენტების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაც.

მოკლედ, წაიყვანეს კერატიშვილი ძვირფასეულობის შემსყიდველ პუნქტში. ჩვენ ვსხედვართ და ველოდებით. დაახლოებით ერთ საათში მირეკავს წკრიალაშვილი, რომ ობიექტი დააკავს. მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა კომიტეტის წარმომადგენელი გავიყოლეთ და სასწრაფოდ მივედით დაკავების ადგილზე. გავეცი განკარგულება, იქ მოეყვანათ საპატრიარქოს წარმომადგენელიც, რადგან დაკავებული იყო საეკლესიო იერარქიის მეორე პირი. ისიც მოიყვანეს.

**– საეკლესიო პირის დაკავებამ ხმაური არ გამოიწვია?**

– პლეხანოვზე გავიზარდე, მაგრამ ერთად შეკრებილი ამდენი ადამიანი არასოდეს მინახავს. ოპერაცია კინოსეანსის დასრულებას დაემთხვა. სამღვდელო პირის დაკავების ამბავი სწრაფად გავრცელდა და იმდენი ცნობისმოყვარე შეიკრიბა, რომ პლეხანოვზე მოძრაობა გადაიკეტა.

შევედით შემსყიდველ პუნქტში. ერთი პატარა ოთახია. ვხედავთ, დგას მაღალი, წელში გამართული, შავოსანი სამღვდელო პირი, შავი წვერით, აბრიალებს თვალებს, ხელში კი დიდი კვერთხი უჭირავს.

– ვინ ბრძანდებით? – შევეკითხე.

– შენ ვინ გეკითხება? – უხეშად მიპასუხა.

ვუთხარი, ვინც ვიყავი და ავუხსენი, რომ ის, რაც აქ ხდებოდა, სწორედ მე მეკითხებოდა. ხელმეორედ ვკითხე ვინაობა. ამჯერად მიპასუხა, – მიტროპოლიტი გაიოზი ვარო.

– აქ რატომ მოხვედით? – ვკითხე.

– ეს ჩემი საქმეა, თქვენ არავინ გეკითხებათ, – მიპასუხა მან.

მაშინ პუნქტის შემსყიდველ თანამშრომელს მივმართე:

– რატომ მოვიდა ეს კაცი თქვენთან?

– ზურმუხტის სამი თვალი მოგვიტანა, მაგრამ ბოლო პერიოდში ძვირფასი ქვების შესყიდვა აგვიკრძალეს, ამიტომ უარი ვუთხარი, თუმცა ვასწავლე, ზურმუხტებს ვინ შეისყიდდა, – მიპასუხა პუნქტის თანამშრომელმა.

მარტო მოვიდა? – ვიკითხე მე.

– არა, ეს კაცი მოჰყვა, – მიპასუხა პუნქტის თანამშრომელმა და ჩვენს აგენტზე მიმითითა. – იმან მკითხა, რა ეღირებაო (მღვდელზე მიმითითა). ვუთხარი, 38-40 ათას მანეთზე მეტად ვერ გაიყიდება-მეთქი. ვინც მოჰყვა, იმან წამოიძახა:

– არა, ძმაო, ამ საქმეში მე ვერ გავერევი, თავი დამანებეთ!

ამ მომენტში შემოვარდნენ უფორმოები და მღვდელი დააკავეს.

– ასე იყო? – ვკითხე კერატიშვილს.

მღვდელმა მიპასუხა, – რა სისულელეებს ლაპარაკობენ ესენიო. ვუთხარი, ჯიბიდან ამოეღო ყველაფერი, რაც ედო. უარი თქვა, გაჯიუტდა. მაშინ ვუბრძანე, გაეჩხრიკათ. იქ იყვნენ სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან მებრძოლი განყოფილების ("ობეხეესი") უფროსის მოადგილე ბორის გედევანიშვილი და სხვა თანამშრომლები. ეცნენ კერატიშვილს, მაგრამ ვატყობ, კანკალებენ უჩვეულო სიტუაციისა და მორიდების გამო.

– ულმერთოები ხართ თქვენ! თვითონ ამოვიღებ ჯობიდან, რაც მაქვს, – განაცხადა კერატიშვილმა და მოგვაწოდა პატარა კოლოფი. გავხსენით, შიგ ზურმუხტის სამი თვალი და რამდენიმე ცირკონი თუ სხვა ნახევრადძვირფასი ქვა იდო. შევადგინეთ აღწერის ოქმი. ვეკითხები დაკავებულს: – სად ცხოვრობთ?

მან აგდებით მიპასუხა, თქვენ ვინ გეკითხებათო. კვლავ გავუმეორე შეკითხვა, რის შემდეგაც მითხრა, რომ ხილიანზე ცხოვრობდა.

– წავიდეთ ხილიანზე, – ვუთხარი მე.

– რატომ? – მკითხა.

ვუთხარი, რომ მისი სახლი უნდა გამეჩხრიკა.

**ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი**

**(გაგრძელება იქნება)**

# მავან მატრაკვეცათა საყურადღებოდ!

ნურავინ გაკადნიერდება და ნუ შეეცდება შემახსენოს ჩვენი სამშობლოს უახლოესი ისტორია, რადგან ეს ისტორია მე ძალიან კარგად მახსოვს! უფრო მეტიც – ამ ისტორიაში განვითარებული პროცესების ერთ-ერთი და აქტიური მონაწილეც ვიყავი! ასე რომ, კარგად ვიცი თუ როგორი ტრაგედია დატრიალდა ჩვენს ქვეყანაში! მაგრამ, ისიც კარგად ვიცი თუ საიდან იღებს სათავეს ბოროტების ღვარცოფიც! ვიცი თუ რომელი ძალების მიერ იყო ინსპირირებული ეროვნული სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართული ე. წ. დემოკრატიული რევოლუციები თუ სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებები! ვიცი თუ როგორ განაცხადა ოკეანისგაღმელმა პრეზიდენტმა – „ეს კაცი დინების წინააღმდეგ მიდის!" ვიცი თუ როგორ ჩავიდა მოსკოვში ოკეანისგაღმელი სახელმწიფო მდივანი და მოსთხოვა რუს და უკრაინელ მარიონეტ პრეზიდენტებს – იარაღის ძალით ძალაუფლება შეენარჩუნებინათ მამათელი „დიდი პოლიტიკოსისათვის!" მახსოვს სამაჩაბლო! მახსოვს აფხაზეთი! მახსოვს! მახსოვს სამეგრელოს მრავალგზის დალაშქვრა-აწიოკებაც! ბევრი რამ მახსოვს! მაგრამ, ვიცი, მშვენივრად ვიცი ისიც, რომ პოლიტიკური აზროვნება უნდა იყოს დინამიური! ვიცი პოლიტიკაში არსებობენ მუდმივი ინტერესები და არ არსებობენ მუდმივი მეგობრები! ვიცი პოლიტიკაში პრაგმატიზმი აუცილებელი რომაა! ვიცი პატარაა ჩვენი ქვეყანა და მცირერიცხოვანია ჩვენი ერი! ვიცი ქვეყანა გასამთლიანებელი რომ გვაქვს! ვიცი იდენტობა რომ გვაქვს გადასარჩენი! ვიცი დიდ და ნაკლებ ბოროტებას შორის არჩევანი, რომ უნდა გავაკეთოთ! ვიცი ჯებირები თუ არ დავუხვედრეთ – გლობალიზმის ცუნამი წაგვლეკავს! ვიცი თუ სტრატეგიული აზროვნების სიბერწისაგან არ განვიკურნებით – საერთოდ გავქრებით როგორც ერი და როგორც ქვეყანა! ვიცი, ვიცი, რომ დაჭრილი და გამძვინვარებული დათვი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაღიზიანოთ! ვიცი ჩვენს სამშობლოს ზესახელმწიფოებს შორის საომარი მოქმედებების პოლიგონად გახდომა როგორმე თავიდან, რომ უნდა ავაცილოთ! და ბოლოს, ისიც ვიცი, რომ ჭკუაც არავინ უნდა მასწავლოს!..

თაში ნამდა, კურცხას კოლხ-იბერეფი! კურცხას!..

**ზურაბ კვარაცხელია,**

**ზუგდიდი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბ კოსტავას პოეზია

ტერენტი გრანელმა მოიახლოვა, გაიშინაურა სიკვდილი, სიცოცხლეშივე განეწყო მასთან შესახვედრად, მაგრამ აირჩია „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი“, არამედ „მესამე გზა“, რადგან „უკვდავების ცისფერ მხარეში“ დაფრინავდა მისი მარადისობასთან წილნაყარი სული და სჯეროდა „სიცოცხლე სხეულის გარეშე (გულიდან სისხლის წვეთები).

გალაკტიონმა და ტერენტი გრანელმა გარდაცვალების შემდეგ „სულის გაღვიძების“, ასტრალური მოგაურობის გასაოცარი მაგალითებით გაგვაოგნეს.

მერაბ კოსტავას არაერთხელ უცქერია სიკვდილისთვის წარბშეუხრელად, როგორც გალაკტიონს: „სიკვდილის განცდა შენი ბედია, ამგვარ წრთობასთან შეუღლებული“, მიმართავს იგი პოეტების მეფეს (გალაკტიონი)(1,156).

ჩვენი „ვაჟკაცობის დიდი მოძღვრის“, სინდისის ეტალონის დევიზი ასეთი იყო: „იყავ უშიში, ვითარც უხორცო“, თავგანწირვისთვის მუდამ მზადმყოფი (იქ თავგანწირვა მაგიდებს კარებს) (1,22-23).

სიკვდილს სიცოცხლეშივე შეიგრძნობდა მისი ლექსის ლირიკული გმირი: „სიკვდილი, ვით გაურკვევლობა, ტანში დალასლასებს ცახცახით, ადრე განაგონი იგავად, მზარავს სულთამბრძოლის ხავილით, სჩანს შეუბრალებელ მთიბავად და არა ცხოვრების ყვავილად (სული ნაკუწებად ნაკეპი) (1,29).

მერაბ კოსტავა გამოარჩევდა გმირული სულის ადამიანებს, უხორცოსავით უშიშართ, თავგანწირვისთვის მზადმყოფთ, „ჭეშმარიტების მხლებელთ“, რომელნიც იქით აფრთხობდნენ ჯალათებს. დასახვრეტად გაყვანილმა დოსტოევსკიმ იქით შეუტია მტარვალთ, „ელვაგაკრული შუბლით“, ხანჯალივით ბასრი თვალებით“, გაუძლო უჩინარი მფარველის“ გამოცდას და სამერმისოდ აღსრულდა ბედის ვარსკვლავით განჩინებული გადარჩენა: „მაგრამ დაღუპვა მისი არ სურდა, გამოცდა სწადდა მფარველს უჩინარს და სამერმისოდ იგი აღსრულდა, ბედის ვარსკვლავმა რაც განუჩინა“.

ლოცვით „ეშმათა დასტის“ დამძლევი დიდი რუსი მწერალი მერე თვით გახდა ცოდვის საწერლით დადაღულ კაცთა ჭირისუფალი“, ორგზის ნაშობი მოგვი, უფლის ხელდასხმული, „ღმერთის მაძიებელ“ სამშობლოზე მეოცნებე (ტანჯვათა ტიტანი)(1,16-19).

მერაბ კოსტავა შეგვახსენებს, რომ „სინანულის ზღვაში“ მყვანთავი მკვდრეთით აღდგება (სულო დაიცა) (1,104), „სულით საპყარნი“ კი ჯოჯოხეთში გოდებენ (ორი პაემანი)(1,47).

მოწიწების აღმძვრელია უშიშართა, მეფეთა და მხედართმთავართა ვაჟკაცური, შერკინება სიკვდილთან. იგი ასე მიმართავს შალვა მაღლაკელიძეს: „სიკვდილს არ შეხვდი სასომიხვდილი, ვითარცა ქვეყნად კვდება მრავალი, რადგან კვდებოდი სულ სხვა სიკვდილით, როგორც მეფე და მხედართმთავარი“.

ასეთი სიკვდილის მაგალითი განსხვავებულია გედის სიკვდილისგან, იგი ქარქაშიდან ამოღებული ხმლის ელვარებას შეადარა ლექსის ავტორმა: „შენი სული ხვდა, არა, არ მოჰგავს ნატიფ სინაზეს, მომაკვდავ გედის ყელმოღერებას იგი ელვათა ჰგავს სიკისკასით ქარქაშით ხმალის ამოჟღერებას“ (მემატიანე ცრემლით გაგამხელს) (1,48).

ასევე უმღერის პოეტი მინდვრის კანჯარს–თურმანს–დუშმანთა, გველთა და ღრიანკალთა რისხვას, წმინდა გიორგის რაინდს „ცხრა სიკვდილის წარბშეუხრელად მაოტებელს“ თურმანო, მინდვრის კანჯარო) (1,62).

ზღვის ღელვას, გველის ცოფიან სისინს „გადარჩენილი გემები, გადაუმსხვრევი ანძები“, გადარჩენილი სულია პოეტის აღტაცების საგანი (ქარვა გაუხუნდათ ალვებს)(1,66-67).

დროულის და ბუნებრივი სიკვდილის განცდასთან ერთად, პოეტს წილად ხვდა ჭაბუკი შვილის თვითმკვლელობის ტრაგედიაც განეცადა. ეს თემა ორი სოფლის შეერთებას დაუკავშირა და სულ სხვა ჭრილში გაიაზრა ფილოსოფიურად.

პოეტი მუხლს უყრის წამებული ქეთევან დედოფლის „მინანქრულ სიწმინდეს, „ჩვენთა ცრემლების მდინარეს“ და ნეტართა პარნასში“ ხედავს წმინდანს (ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი) (1,120).

მერაბ კოსტავამ სიცოცხლეშივე განიცადა სიკვდილის აგონია, მან ვერ აიცდინა „სიკვდილთან პაემანი“, რადგან ციმბირის საპატიმროში რვა თვე იშიმშილა პროტესტის ნიშნად, მაგრამ გაუძლო უდიდეს გამოცდას. „...ისევ წვალება, ისევ წუხილი, გამოსაცდელად ჩემდა წვეული, სიკვდილის პირას გიყავ წუხელის, მაგრამ გაბრუნდა, მომწყდა ძლეული“.

ტანჯვა „ცნობიერების არეს“ უმდიდრებდა, ხელახლა ბალღური უმანკოების შენარჩუნებად ესახებოდა სასუფევლის გზად, „მართალთა“ განსასვენებელში დამკვიდრების ღირსად არ თვლიდა თავს, მუდმივ ლოცვაში, „მარტვილობის ბრძმედში გადიდდა, ზეცის პურს, ზეცის წყაროს (საღვთო სახეებია) ეწაფებოდა, სულის და ხორცის ჰარმონიას ეძებდა და სიკვდილისთვის მზადმყოფი ძეც აცხადებდა: „ცხოვრება ჩემი განვლიე სწორად, მუდამ მთლიანი ვიჯექ ინახად, არ გავთიშულვარ ასოდეს – წილხვდომილ სიკვდილს თუ ვმზედე ავად, მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო, ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო“ (შიმშილობა)(1,161).(

მერაბ კოსტავამ გალაკტიონის სიკვდილი აღიქვა, როგორც მარადისობასთან შეხვედრა, (რაც ერთეულთა ხვედრია (გალაკტიონი).

მიწის მკვიდრს მრავალი მოვალეობა აქვს და ვინც დროსა და სივრცეში ვერ რეაგირებს, ბრმადშობილია, სულს მუდმივად ახალ-ახალი საზრდო სჭირდება, რომ არ დამყაყდეს: „თუ სულის საზრდო არ იცვლება, ყოვნდება დიდხანს, აშმორებული ჭაობივით ხდება ურგები (ბიბლიური რემინისცენციები (1,88).

„მსოფლიო სცენის დრამატურგი და რეჟისორი“ (ღმერთი) ადამიანს მუდმივად განსაცდელს უვლენს, რათა სიძნელესთან ბრძოლით გაკაჟდეს, ცნობიერება გაიმდიდროს, რადგან „ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 12,6).

ტანჯვა, წვალება დიდი გამოცდაა ადამიანისთვის: „ისევ წვალება, ისევ წუხილი, გამოსაცდელად ჩემდა წვეული“ (შიმშილობა) (1,137).

განსაცდელთან, სიკვდილთან ბრძოლით ცნობიერება მდიდრდება: „შეუპოვრობის განცდა ჯიუტი, დე, ნაადრევად სიკვდილს განედოს, ოღონდ კი ტანჯვის ყოველი წუთი, ცნობიერების არეს შეეხოს“ (შიმშილობა) (1,138).

პოეტი მზად იყო თავისი ერისთვის აქაც მსხვერპლი გაეღო და იქაც ემარტვილა, ტანჯვის ბრძმედში გაევლო, უზენაესი მცნებები დაეცვა, რათა ძე ღმერთი ეხილა, მისი ცხოვრების წესი გაეთავისებინა: „უფალო, ღირსმყავ ჩემი ერისთვის არ შევეპუო ხვედრის სიმძიმე, აქ გამოვლილი სატანჯველისთვის, იქაურ ტანჯვას ნუ შემიმცირებ. გთხოვ, მარტვილობა მიქციო ბრძმედად, გარდასახდენი არ განმარიდო, ღირსად მყო ძისა შენისა ჭვრეტად, ჩემი ცხოვრების სამაგალითოდ“ (შიმშილობა) (1,140).

მერაბ კოსტავა „ხვდებოდა ენქიდუს, გილგამეშის, ბიბლიურ წინას-წარმეტყველთა სულებს, უზენაესი სიყვარულით ცდილობდა ორის სოფლის შემტკიცებას.

შეცნობას, საცნაურყოფას, გაგებას უპირველესი ადგილი უკავია პოეტის შემოქმედებაში.

ადამიანი უპირველესად „პიროვნული ეგოს“ შეცნობი უნდა იყოს, შემდეგ სამყაროს, ადამიანების, სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოების.

ვინც სულის და სხეულის, მიწის და ზეცის მიმართებას ჩაუღრმავდება, სულის უკვდასვებას ირწმუნებს და მაღალზნეობრივად იცხოვრებს, მკვდრეთით აღდგება, რადგან სული მარადიულობის კატეგორიას განეკუთვნება: „თუ ზეცა მწყურის და მიწა გშია, თუ შენი თავის ხარ გამგებელი, სინდისის შენის წინაშე წარდექ, იცან სიკდილი და მკთდრეთით აღდექ“ (გალაკტიონი).

## სოფელი და ზესთასოფელი

მერაბ კოსტავამ ნათელხილვის მადლით იხილა „ათასფერი, ათასთვალი, უჩინარე მჭვრეტელთაგან უხილველი, ქვეყნად დაუტევველი სული (ვერაფერმა განაქარვოს)(1,2-21), „გონის თვალით“ განჭვრიტა „სულეთის სიღრმე“, ჰადესი, ნათელსმენის უნარით გაიგონა „სულის სუნთქვა“, „კოსმოსის სუნთქვა“, უტყუარად ჩასაწვა სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებებს...

პოეტმა დაგვიტოვა საგულისხმო დასკვნები მიწიერი ვალის მოხდის, ხრწნილებასთან ბრძოლის, სიკვდილისთვის მზადების, მიქელ–გაბრიელთან ღირსეული შეხვედრის შესახებ, შეგვახსენა საღვთო სამსჯავროს გარდუვალობა, ხილული სამყაროდან მარადიულ ზეცაში დამკვიდრებისათვის აუცილებელი მოთხოვნები, გაგვიცნომიერა სოფლისა და ზესთასოფლის მიმართების ურთულესი პრობლემა.

მერაბ კოსტავას ჭეშმარიტი პოეზია ედისახებოდა, როგორც „სიკვდილის ზიარი, შავეთში გადანახედი (ლექსი) (1,60-61).

წინაგრძნობის უნარით, წინასწარმეტყველური ინტუიციით გამორჩეულმა ქართველმა პოეტმა დანტესავით იმოგზაურა მიღმურ სამყაროში, ჩაუღრმავდა მიწის და ზეცის, ხილულის და უხილავის, მატერიალურის და ტრანსცენდენტურის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ორ რადიკალურად განსხვავებულ სამყაროთა შორის კავშირის შესაძლებლობა–მნიშვნელობას.

უწოდებდა რა „სიკვდილზე ფიქრებს სიბრძნის „დედას“ (შიმშილობა)(1,113)

1,113) უზენაესი მსაჯულის გადასახედიდან აანალიზებდა პრობლემას, ერთმანეთს ადარებდა „შურისმგებელ წუთისოფელს და იმ სოფელს, „სოფლის წარმავლობას“ და „ზეცის ტატნობებს“, ცოდვილ, ეკლებისა და კუროსთავების აღმომცენებელ მიწას და ღვთისმეტყველთა მიერ მინიშნებულ უკვდავთა აღთქმულ მიწას, აწვალებდა „ორი სოფლის“ „შემტკიცების“ იდეა.

ამ პრობლემებისადმი ინტერესი ვლინდება ბიბლიაში, რელიგიაში, ფილოსოფიაში, მითოლოგიაში, მწერლობაში.

ქრისტიანობის მიხედვით, სიკვდილი არის სულის დაშორება სხეულისგან, მაგრამ სული უკვდავია და მერეც აგრძელებს არსებობას.

„მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორიც იყო და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა“, შეგვაგონებს ბიბლია (ეკლესიასტე, 12,7)(2,14).

იესო ქრისტე სულის უკვდავებაში არწმუნებდა მოსწავლეებს: „ნუ გეშინიათ მათი ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძს (მათე, 10,28)(3,21).

პავლე მოციქული განარჩევდა მიწიერ და ზეციურ სხეულებს (I კორინთელთა, 15,40) და ამბობდა: „... ხრწნადი უხრწნელობით..., მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს“ (I კორინთაელთა, 15,53).

„...აჰა, გეტყვით თქვენ საიდუმლოს: ყველანი როდი მოკვდებით, მაგრამ ყველანი შეიცვლებით“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 15,51)(3,381).

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანის სული უკვდავია, სიკვდილი დიადი გადასასვლელია, ნაბიჯია უფრო სრულყოფილი სულიერი არსებობისაკენ.

ბიოლოგიური სიკვდილი ესაა დასაწყისი ცნობიერების ახალ ფორმაში არსებობისა. სიკვდილი დასასრული კი არ არის, არამედ ახალი მდგომარეობის მიღწევა. ცხოვრება არის მიახლოება ან განშორება უმაღლეს სფეროსთან“ (ე. და ნ. რერიხები, აუმ“)(4).

ადამიანს სულიერ სამყაროშიც გააჩნია ცნობიერება, მიღმურ სავანეში მხოლოდ ცნობიერების ცვლაა (რუდოლფ შტაინერი)(5,121).

გარდაცვალება ახალი სიცოცხლის დასაწყისად მიიჩნევა სპარსულ პოეზიაში „ჩემთვის შერთვა და კავშირია გარდაცვალება, დამფალ სამარეს და ნუ იტყვი, „გზა მშვიდობისა“, რადგან სამარე სულთა ბინის კრეტსაბმელია.

სიკვდილის შემდეგ ხდება „კაცური სახის შეცვლა და „ანგელოზთა არსებობის“ მიღება (ჯალალ–ედ–დან რუმი, სიკვდილის შემდეგ)(6,231).

ოფიციალური ეგვიპტური თეოლოგიის თანახმად, ადამიანის დედამიწაზე ცხოვრების დრო წარმოადგენდა მისი არსებობის მხოლოდ მოკლე ეპიზოდს, რომელიც გრძელდებოდა სიკვდილის შემდეგ „დასავლეთის ქვეყანაში“, ასე ეძახდნენ ეგვიპტეში მიცვალებულთა ადგილსამყოფელს (7,145-146).

გოეთე დარწმუნებული იყო სულის მარადიულობაში, სიკვდილის შემდეგ ადამიანის არსებობის გაგრძელებაში: „მე ეჭვი არ მეპარება ჩვენი არსებობის გაგრძელებაში. ყოველი ინტელექტია ზიარებულია მარადისობას... ეჭვი არ მეპარება, ჩვენ განვაგრძობთ არსებობას ... მაგრამ ყველანი ერთნაირად უკვდავნი არა ვართ (8,164).

„ამჟამად უკვე აღარავინ თვლის საეჭვოდ არც ღმერთს, არც თავის თავს, ასევე ცნებებს: ღმერთი, უკვდავება, ჩვენი სულის არსი და მისი დამოკიდებულმა სხეულთან ეს მარადიული პრობლემებია“ (8,195).

სიცოცხლეშივე მიღმურში მჭვრეტელნი, სიმბოლური სიკვდილის გამცნობიერებელნი ხაზს უსვამენ ამქვეყნიური არსებობის წამიერობას და ტრანსცენდენტური ყოფის მშვენიერებას. სიკვდილთან მიახლოება მთავრდება სულიერი განახლებით, ზნეობრივი ამაღლებით.

ამქვეყნიური საზღვრის გადალახვის შემდეგ დროის შეგრძნება ქრება და გაერთიანებულია ყველა ცოდნა–წარსულის, აწმყოსი და მომავლის.

სიკვდილი დიდი გამოცდაა. ადამიანის სრულქმნის პროცესი სიკვდილის ჟამს სრულს.

ადამიანმა უნდა გადაიტანოს მინი სიკვდილი, რათა გააკონტროლოს თავისი უკანაკნელი წასვლა ამ ქვეყნიდან.

ამერიკელი უ. გოულდი ხალხს ასწავლიდა „შეგნებული სიკვდილის მეცნიერებას“, მისი დევიზი იყო: „მოკვდი სიკვდილზე ადრე!“.

დოქტორ უორდენის პროგრამა იყო „სიკვდილის პირადი გაცნობიერება“(9).

„ყოფიერების რა მდგომარეობაც ახსოვს ცოცხალ არსებას სხეულის დატოვებისას, იმავე მდგომარეობას მიაღწევს“, ნათქვამია „ბჰაგავად–გიტაში“.

გარდაცვალების სახელმძღვანელო ეწოდებოდათ ეგვიპტურ და ტიბეტურ მკვდართა წაგნებს, რომლებშიც საუბარია ღმერთის სამსჯავროზე, ადამიანთა ცოდვა–მადლის მიხედვით განკითხვაზე.

ქართულ კლასიკურ პოეზიაში გაზიარებულია სულის მარადიულობის იდეა.

გალაკტიონის აზრით, ემპირიულ ყოფას მოშორებული, ხორცისგან გაღწეული, სული კი არ ისპობა, თავის მარადიულ სახლს უბრუნდება ზეცაში: „მიდიხარ...ისე მიგაქვს წვალება, თითქო ზღვის კარად თივას თიბავდე, ვინა თქვა შენი გარდაცვალება. არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე მიდიხარ... აღარ დაგემდურება არც მიწიერი, არც ზეციერი, ვინცა თქვა შენი უბედურება, არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი. მიდიხარ ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა, სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი ვინა თქვა შენი მიუსაფრობა, არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი. მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი, შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს – შენ უკვდავების ხარ ბინადარი (ეს იყო წინათ)(10,332-333).

სიკვდილ–სიცოცხლის მარადიული პრობლემის შემსწავლელ მეცნიერთა მტკიცებით, მატერიალური ქვეყნის მკვიდრთა და სულეთში გამგზავრებულთა შორის გამუდმებული კონტაქტი არსებობს. ორი დაპირისპირებული სამყარო მუდმივად კავშირშია, მიცვალებულები ცოცხლებს ევლინებიან და პირიქით, ამქვეყნიურთ ჰადესში ჭვრეტის უნარი მიემადლებათ.

არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია რადიოკონტაქტი მკვდრებთან, აჩრდილების ფოტოგრაფირება, გარდაცვლილთა ხმების ჩაწერა მაგნიტოფირზე, ხდება მიცვალებულთა გამოცხადება ცოცხალთა გაფრთხილების მიზნით ეს დამყარებულია ხედვის, სმენის, შეგრძნებებზე, ცოცხალს ეჩვენება მიცვალებული, ესმის ხმა, სუნთქვა, გრძნობს შეხებას. თითქოს მიიღწევა სულეთის მკვიდრთა გამოძახებაც და პასუხის მიღება მთელ რიგ კითხვებზე.

**ლუარა სორდია**

***(გაგრძელება იქნება)***

# როგორ გააკოტრა, დააქცია და გაყიდა სააკაშვილმა საქართველო



“წადი ამერიკაში და რომელიმე უნივერსიტეტში იკითხე ლექციები, აცინე სტუდენტები, სანამ ან უკრაინის ან საქართველოს სასამართლოს არ ჩაუსვიხარ ციხეში, ან პუტინს არ შეუსრულებია შენთვის დანაპირები, – თავდაყირა ჩამოკიდების თაობაზე!”, – ასე ეხმაურება პარტია „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი სოსო შატბერაშვილი „მარშალპრესთან“ საუბარში საქართველოს ყოფილის პრეზიდენტის განცხადებას, რომლის თანახმადაც, ის საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს. სოსო შატბერაშვილი მიხეილ სააკაშვილის მიმართავს:

„ეშველა საქართველოს! სააკაშვილმა ახალი გვირაბის თხრა დაიწყო, ახლა ალბათ ჰოლანდიიდან! ისე, პატივცემული მიშა ოდესიდან სოლოლაკამდე რომ თხრიდი გვირაბს, იმას რა ბედი ეწია საინტერესოა. გასაგებია რომ გული გეწვის ქართველი ხალხის გაჭირვებაზე, მაგრამ სახურავიდან რომ ხტებოდი უკრაინელი ხალხის ბედნიერებისთვის, იმ იდეას უღალატე თუ როგორ არის შენი საქმე? პოროშენკოს უპირებდი დამხობას, უკრაინელი ვარო ამაყად აცხადებდი, რა ხელი აიღე დიად მიზანზე, თუ პატრონებმა სხვა დავალება მოგცეს? ისე, ვინ იცის ვინაა შენი პატრონი და რამდენი გყავს იქნებ გგონია შენი ”საქმენი საგმირონი” ვინმეს დაავიწყდა?! შეგახსენო? – წვრილ და საშუალო ბიზნესს ვუშველიო, შენ არ იყავი ”ელიავას ბაზრობას” რომ ყიდდი ”მეგალაინის” მეპატრონეზე და იქ მოვაჭრეებს ქუჩაში ერეკებოდი?! შენ არ უყენებდი ბაზარში წვრილ მოვაჭრეებს სალარო აპარატებს?! შენ არ დაანგრიე ”დეზერტირების ბაზარი?!” შენ არ ხურავდი ”ციგნების ბაზარს?!’ შენ არ დაანგრიე ბიზნეს ობიექტები მეტრო ”დელისთან”?! შენ არ წაართვი და დაუნგრიე რესტორნები და კაფეები ხალხს რიყეზე?! შენ არ წაართვი აბანოთუბანში მოქალაქეებს ბიზნესი?! შენ არ გააძევე ”სონის” მაღაზია რუსთაველის პროსპექტიდან?! შენ არ მიუვარდი ”ბადაგონს”, ბიზნესი ”ჩაუძირე” და ტონობით ღვინო დაუქციე?! ”შირნჰოფერის” განადგურების მცდელობაც არ დაგვვიწყნია სხვათა შორის შენ არ იყავი ერგნეთის ბაზრობა რომ დახურე და უკვე მოგვარებული ქართულ-ოსური კინფლიქტი რომ გააღვივე?! ახლა ბადრი პატარკაციშვილზე წართმეული მთაწმინდის პარკი?.. ”იმედი”?.. ოქუაშვილისთვის წართმეული ბიზნესი და ”იბერია ტვ”?.. ეს სია დაუსრულებლად შემიძლია გავაგრძელო ბანკებს ამლაგმავო!!! იქნებ გამცე პასუხი ვისია ყველაზე მსხვილი ბანკები ”საქართველოს ბანკი” და ”ლიბერთი ბანკი” შენი ხომ არაა შემთხვევით?! ვინ იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე და შენთან ერთად ხომ არ ძარცვავდა ხაზინას?! ან ის 4 მილიარდი სად წავიდა აშშ-დან ომის მერე დახმარების სახით რომ შემოვიდა?! ”სარდალ”კეზერაშვილს რომ თავდაცვის ბიუჯეტი აძარცვინე ეგ საქმე როგორ იყო?..

ჰო მართლა, შენ და უგულავამ 2006 წელს თბილისში ტრამვაი-ტროლეიბუსები რომ მოშალეთ და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე რომ დააყენეთ ქალაქი?!. პარკის ტერიტორიები კი გაყიდეთ, ბენდუქიძემ რომ ყველაფერი მიაყიდა უნივერსიტეტების ჩათვლით, სინდისის გარდა ესაც გახსოვს ალბათ ივანიშვილი მოსკოვის დავალებას ასრულებსო? ამას შენ ამბობ? 250 ენერგო-ობიექტი მოსკოვს რომ გადაუფორმე? ოქროს საბადო კგბ-ს გენერალს გენერალოვს რომ აჩუქე? გაგახსენო შენი 2003 წლის დაპირება ”დავიბრუნოთ ჩვენი ანაბრები!” რა წარმატებით შეასრულეთ შენ და ვანიჩქა ჩხარტიშვილმა ხალხი წამლებს ვერ ყიდულობსო, გაგახსენებ რომ შენი საარჩევნო კამპანიის ყველაზე დიდი დამფინასებლები “ავერსი” და „პსპ“ იყვნენ, რომლებსაც წილში ეჯექი!

რაც შეეხება მასწავლებლებს, შენი “წყალობით” 100-ზე მეტი სკოლა და უამრავი საბავშვო ბაღი დაიხურა, მრავალი ბიბლიოთეკა განადგურდა და შენობები კაზინოებზე, ჩინურ სამასაჟოებზე, სახინკლეებზე, სახაშეებზე, ღამის კლუბებზე და საროსკიპოებზე გაიყიდა, აი, ასე ზრუნავდი შენ პედაგოგებზე

რაც შეეხება პოლიციელებს, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და ამას შენც აღიარებდი, რომ შსს ტექნიკურად მთლიანად ბიძინა ივანიშვილმა აღჭურვა, შენ კი ფულს პოლიციელების ხელფასზე კი არა, საპრეზიდენტო სასახლის მშენებლობაზე ხარჯავდი რაშიც ნახევარი მილიარდი დოლარი “მიაფშვენი”

და ბოლოს მუზეუმიდან ფიროსმანის ნახატის მისაკუთრებაც მოისურვე, რისი უფლებაც ჩვენ არ მოგეცით!

რაც შეეხება ქართველების ქვეყნიდან გადინებას, ეს უზარმაზარი ტრაგედიაა ჩვენი ქვეყნისთვის და თუ რაიმე პრეტენზია მაქვს “ქართულ ოცნებასთან” ყველაზე მთავარი სწორედ ესაა, მაგრამ დღეს ყველას შეუძლია უვიზოდ იმოგზაუროს ევროპაში, ასევე განიხილება რამდენიმე ქვეყნის მიერ სამუშაო ვიზების გაცემის საკითხი. რა ხდებოდა შენ დროს? – საკონსულოებში ჰყვაოდა კორუფცია, სადაც ვიზის მიღებაში ჩვენი მოქალაქეები 5-10-20 ათას დოლარსაც კი იხდიდნენ. ასე რომ პატივცემულო მიხეილ, დაეტიე იქ სადაც ხარ, შენ აქ არავინ არ გელოდება და გირჩევ, ის გააკეთო, რაც შენმა ძველმა პატრონმა და აღმზრდელმა მილიარდერმა კირკორიანმა გირჩია... წადი ამერიკაში და რომელიმე უნივერსიტეტში იკითხე ლექციები, აცინე სტუდენტები, სანამ ან უკრაინის ან საქართველოს სასამართლოს არ ჩაუსვიხარ ციხეში, ან პუტინს არ შეუსრულებია შენთვის დანაპირები, – ერთი ადგილით თავდაყირა ჩამოკიდების თაობაზე!!!”, – მიმართავს შატბერაშვილი სააკაშვილს.

# ზოგი მკვდარი ბევრ ცოცხალს სჯობს, ზოგი ცოცხლადაც მკვდარია!

ამ სათაურით გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“-ში, 2009(!) წლის, 29 აპრილი-5 მაისი, გამოვაქვეყნე წერილი, რომელსაც ასე ვიწყებ: „წერილი მიხეილ სააკაშვილს-ჩემო მიშა! ზოგმა შეიძლება იფიქროს-რატომ ასეთი ფამილარული მიმართვა პრეზიდენტისადმი? მოგახსენებთ. ჯერ ერთი, შვილიშვილის თუ არა, შვილის ტოლი მაინც ხარ, და მეორე, რაც მთავარია, შენ მიერ პირველ არჩევნებში მიღებული ხმებიდან, ჩემი ჩასაწყვეტი(!) ხმაც ურევია. ასე რომ, უფლება მაქვს, ასე მოგმართო“. ეს ყოველივე იმიტომ გავიხსენე, რომ ზოგიერთები სოროებში, რომ იყვნენ შემძვრალნი, მე სათქმელს ყოველთვის ვამბობდი ღიად, ხმამაღლა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში ატეხილ, ამ უსაგნო გამიშვი და გამატარეს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი! მე, ჩემს სათქმელს კიდევ ერთხელ და საბოლოოდ ვიტყვი და ამით მოვრჩები ლათაიების თხზვას! საკმარისზე მეტი ყურადღება დავუთმეთ ამ პიროვნებას! აქვე მინდა ვთქვა. მე არც ლიტერატორი ვარ და არც ისტორიკოსი! ყველა თავის დარგს მიხედავს. ვარ ერთი ჩვეულებრივი მშენებელი კაცი. იყო დრო, როდესაც თბილისში ვხელმძღვანელობდი პატარა საამშენებლო ორგანიზაციას, ხოლო ადრე, 1966/68 წლებში, აზერბაიჯანის სსრ, დაშქესანის რაიონში, სატვირთო-საბაგირო გზების სამონტაჟო უბნის უფროსი ვიყავი! ეს არი და ეს. რა ვქნა ეხლა, გამოვდგე და ვიძახო, მე ვარ და ჩემი ნაბადი? ყველა ნორმალური ადამიანი უნდა იყოს ამაყი და არა ამპარტავანი! ამ ორ სიტყვას შორის ძალიან დიდი სხვაობაა! ეხლა მინდა ვკითხო, ამ მართლა საბრალოს და საცოდავს, სად და რაში დაინახა ჩემში შესაცოდ-შესაბრალისი? რა ხეიბარად შემიცნო,სიტყვა-პასუხი მაკლია, თუ იმით განსაზღვრა ჩემი შესაძლებლობები, რომ არ მაქვს მასავით დამთავრებული-მოსკოვის ჰიდრო-მეტცენტრის ასპირანტურა? მე, უბირი ვყოფილვარ! ამ შემთხვევაში ასო „უ“ არის სიტყვის უარყოფითობის აღმნიშვნელი. უბირი, ანუ, მე გაუნათებელ-შეუგნებელი, ის კი, ბირი (უ-ბირი), „ბირ-ი“ აზერბაიჯანულად ნიშნავს-ერთს! ის ერთი ყოფილა ამ ქვეყნად!? ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, საკუთარ თავზე ადამიანს როცა დიდი წარმოდგენა აქვს, მას უჭირს მოვლენების სადად შეფასება, იმიტომ, რომ თავის თავის იქით ვერ ხედავს სხვას! ისე, რა ვქნათ? უყვარს ამ კაცს თავი და უყვარდეს იმდენად, რამდენადაც ხოში(!) აქვს! ხოში, თბილისური სიტყვაა და ზოგიერთები ნუ შეიცხადებენ! ტელევიზიებში, უფრო საშინელ სიტყვებს ხმარობენ! ეს კი, როგორც ვთქვი, ჩვეულებრივი თბილისური სიტყვაა! ცნობისათვის, ბავშვობა და ახალგაზრდობა ხარფუხში მაქვს გატარებული, იქ გავიზარდე, ხოლო სკოლა, ორთაჭალაში, ციხეებთან დამთავრებული, 1955 წელს!

განდიდების მანიით შეპყრობილებზე კარგად არის ნათქვამი წმ. ნიკოლოზის ტროპარში: „კანონად საერწმუნოებისა და ხატად სიმშვიდისა, და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყსოსა შენისათვის ჭეშმარიტებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმიდაო დიდო მღვდელმთავარო ნიკოლოზ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.“ საერთოდ, მართლმადიდებლური სარწმუნოება ქადაგებს, რომ რამდენადაც დაიმდაბლებ თავს, იმდენად ამაღლდები!

თავის წერილში, იგი ბრალს მდებს, თითქოს მე მას შეურაცხყოფა მივაყენე! საინტერესოა. სად, ან როგორი ფორმით? მე, იმდენი ზრდილობა კი გამაჩნია, რომ ადამიანს იმაზე მეტი არ ვუთხრა, რაც არ ეკადრება ჩემს პიროვნებას! მის „საყვარელ“ რუსებს აქვთ ასეთი გამოთქმა: „Я плохо одет, но, не плохо воспитан!» ხოლო ებრაელებს-ასეთი წყევლა: „შენი არ იცოდე, და სხვისი არ გჯეროდესო!“ ხომ მივეცი კიდევ ერთი საბაბი სალაპარაკოდ? მაგრამ, მე ვთქვი და დავამთავრე!

ამ პიროვნებას ძალიან უკვირს-...„ქართველი ხალხი იმასც კი აცნობიერბს, რომ რუსეთმა განიზრახა ქართველი ხალხის დაჩქარებული წესით ასიმილაცია. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენს ტერიტორიაზე უცხოტომელების მასობრივი ჩამოსახლება.“... საინტერესოა, დღევანდელზე რატომ არაფერს უბნობს „პატივცემული“ არჩილი? მოსწონს დღევანდელი მდგომარეობა? დღეს, რომ საქართველოში უცხოტომელები არიან, ამ უნიათო, დიახ უნიათო და ანტი ქართული მთავრობის მიერ შემოთესლებული, ესეც რუსეთის ასიმილაციური პოლიტიკის ბრალია, თუ თქვენი უსაყვარლესი ევროპელებისა და სტრატეგიული პარტნიორის ნაბრძანებია? იმათი, ვინც თავგადაკლული იცავს ყველა ჯურის გარყვნილ-გათახსირებულებს?

ჩემდა სამწუხაროდ, წინა წერილში გამორჩა, ჩემთვის და ვითარებისათვის აუცილებელი კომპონენტი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში! აქვე მინდა განვაცხადო, რომ მე არავის ვექილობას არ ვაპირებ, ყველა თავის თავს, ჩემზე უკეთ მიხედავს!

„ჭიპაშვილი და ლეჟავა. ჭიპაშვილს (ეტყობა, სადღაც ძალიან მწარედ გადაურბინა წინ!) ჯაშუშობის დიდი გამოცდილება აქვს, როდესაც ის აჭარის მაშინდელ ხელისუფლებას ლაქიად დაუდგა და მის ნებისმიერ დავალებას „პირნათლად“ ასრულებდა. თამამად შეძლება ითქვას, რომ ასლან აბაშიძე აშკარა სეპარატიზმის (რატომ ღმერთი არ გაიცინებს, ამის შემდეგ?!) გზას არ დადგომოდა, სააკაშვილი ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა(?). მან ხელზე დაიხვია შევარდნაძე (რა ადვილი იყო შევარდნაძის ხელზე დახვევა. როგორ მოგწონთ, საკუთარი აზრის გასამართლებად მოყვანილი მიზეზი?) აშკარა სეპარატისტს თითქოს ვერ ამჩნევს და საჭიროა მისი გადაყენება, რათა საქართველოს შემდგომი დანაწევრება შეჩერდესო.“ მიშას მოსვლა გადაწყვეტილი იყო ოკეანის გაღმა! ასე, რომ წყალ-წყალა მიზეზების მოყვანა აქ, ყოვლად უადგილოა!

ვის ეძახით თქვენ სეპარატისტს, ასლან აბაშიძეს, რომელმაც აჭარაში, სამეგრელოს ხუთჯერ(!) მოთარეშების შემდეგ არ შეუშვა „მხედრიონი“?!

კაცი, რომელიც დღე და ღამე გადამკვდარი იყო აჭარაში მართლმადიდებლობის აყვავება-გაძლიერებით! აჭარლები მასობრივად უბრუნდებოდნენ თავიანთ ძირძველ საეწმუნეობას – მართლმადიდებლობას! არა თუ აშენება, საერთოდ, მეჩეთების შესახებ, ზოგადად, ხსენებაც არ ყოფილა!

აჭარაში, თურქების თარეში მას შემდეგ აღზევდა, რაც ნაცებმა აჭარას ასლან აბაშიძე ჩამოაშორეს! დღეს, თითქმის აჭარა დაკარგული გვაქვს! ეს საკითხი ძალიან მწვავედ დგას ჭეშმარიტი ქართველების დღის წესრიგში! ცოტაც და კიდევ ერთი დავიდარაბის მოგვარება იქნება საჭირო, რომელსაც სჭირდება სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებული ადამიანები, ეს არის, ავად სახსენებელი ყარსის ხელშეკრულება!

აჭარაში დაიწყო აღმშენებლობა! აყვავდა კულტურა! საფუძველი ჩაეყარა, მსოფლიოში პირველ საბავშვო ოპერას! რომელი ერთი ჩამოვთვალო! ვისაც მეხსიერება არ ღალატობს, ყველას შესანიშნავად ახსოვს ყოველივე!

და ბოლოს. მინდა მივმართო პატივცემულ რედაქციას. ზევით ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, ეს ყოველივე მარტო მკითხველის გასარკვევი საკითხი არ არის, ამას სჭირდება რედაქციის კომპეტენტური, წონადი სიტყვა!

ყველა დღესასწაულს ვულოცავ მართლმადიდებელ საქართველოს, მთელ მართლმადიდებელ სამყაროსთან ერთად!

დიდება სამშობლოს!

გაიხარეთ და გამრავლდით ქართველებო, მტრების ჯინაზე! ამინ!

ძალიან კარგად ბრძანდებოდეთ!

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში (?) წარმოებული ძმათამკვლელი ბრძოლების მონაწილე,**
**ორი დაღუპული მებრძოლის მამა**
**ანზორი დანელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზური მორდუობის ტრადიცია და ფიცის გატეხვის გამო მოკლული შვილი — აფხაზი ქალის ორი ბაბუის დაუჯერებელი ამბავი



ქართულ-აფხაზური ნათესაური კავშირისა და ორი მსგავსი ტრადიციის მქონე ერის თანაცხოვრების არაერთი მაგალითი არსებობს. აფხაზურმა "მორდუობის" ტრადიციამ არაერთი ოჯახი ისე დაამოყვრა, რომ XX საუკუნის 90-იან წლების მოვლენებმაც ვერ შეძლო მისი გაწყვეტა... როცა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გზებზე საუბრობენ, სახალხო დიპლომატია, მათ შორის დღემდე შენარჩუნებული ადამიანური ურთიერთობები და ნათესაური კავშირები არავის აგონდება. არადა, ერთმანეთთან მტრად გადაკიდებული ამ ორი ხალხის ურთიერთობაში ეს "ხიდი" ჯერ კიდევ მყარია და სიცოცხლის რისკის ფასად, ისინი ერთმანეთს მაინც არ კარგავენ...

ახალგაზრდა აფხაზი ქალი — ნანო, აფხაზებთან დამოყვრებული ქართველების მეოთხე თაობის შვილია. რამდენიმე წლის წინ მან ომის დროს დროებით გაწყვეტილი ურთიერთობა აღადგინა. "აფხაზურად ისე თავისუფლად ვლაპარაკობ, როგორც ქართულად. ქართველ ნათესავებთან ყოფნისას, მათთან მშობლიურ ენაზე ვურთიერთობ, აფხაზებთან სტუმრობისას კი — "მეორე მშობლიურ ენაზე" (აფხაზურს ასე ვუწოდებ). აფხაზეთში, მგონი, ერთადერთი ოჯახი ვიყავით, ვინც შერეული ნათესაური შეკრებების დროს, შეგნებულად არ საუბრობდა რუსულად..." — გვიყვება ნანო.

**— თქვენი აფხაზი ნათესავებიც ქართულად ლაპარაკობენ?**

— დიახ, ბაბუაჩემის ხელშეწყობით, უმეტესობამ უმაღლესი სასწავლებელი თბილისსა და ქუთაისში დაამთავრა... ჩემი ოჯახის ამბის თხრობას ცოტა შორიდან დავიწყებ: ბაბუასა და ბებიას ერთმანეთი ბავშვობიდან ჰყვარებიათ. ბაბუა ქართველი იყო, ბებია — აფხაზი, მაგრამ ამას მათი ურთიერთობისთვის ხელი არ შეუშლია. როცა დაოჯახება გადაწყვიტეს, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ბაბუა ფრონტზე წაიყვანეს. ბებიაც ფრონტზე გაეპარა ოჯახს. მისი თქმით, ძლივს გააკეთა "ქართული" პასპორტი, რადგანაც ეროვნებამ ფრონტზე სანიტრად წასვლაში ხელი შეუშალა: იცით ალბათ, რომ სტალინის ბრძანებით, აფხაზი ქალები კი არა, მამაკაცებიც კი არ მიჰყავდათ ჯარში.

ამიტომაც, ათასობით ქართველი აფხაზად ჩაეწერა. ბებიას გადაწყვეტილება სამხედრო კომისარიატში გაჰკვირვებიათ... დღემდე არ ვიცი, როგორ შეხვდნენ შეყვარებულები ერთმანეთს, მაგრამ 1945 წელს ჯანმრთელობაშერყეული წყვილი მშობლიურ აფხაზეთში ერთად დაბრუნდა. ცხადია, დაოჯახდნენ, მაგრამ შვილი არ გაუჩნდათ. რამდენიმეწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ცოლ-ქმარმა ბაბუაჩემის სიყრმის მეგობრის, აფხაზი კაცის პატარა იშვილეს. ბაბუამ გვარიც მისცა და ღვიძლი შვილივით გაზარდეს. ის ბავშვი მამაჩემი იყო, რომელიც არც თავის ნამდვილ მშობლებს კარგავდა.

**— ალბათ ბევრი და-ძმა ჰყავდა...**

— არა, მამაჩემის ჩათვლით, 3 დედმამიშვილია — ანუ მამას და-ძმა ჰყავს. მართალია, მამაჩემი ქართველების "მორდუ" (გაზრდილი) იყო, მაგრამ თავისი და-ძმის ნახვა მაშინ შეეძლო, როცა მოესურვებოდა. ერთი ოჯახივით ცხოვრობდნენ... ბაბუასა და ბებიას, როგორც ფრონტგამოვლილებს, ადგილობრივი ხელმძღვანელობა დიდ პატივს სცემდა, ორივე დაასაქმეს და, მაშინდელი კანონის თანახმად, არაერთი შეღავათით სარგებლობდნენ.

როცა მამაჩემისთვის განათლების მიღების დრო დადგა, ბაბუა მის ძმადნაფიცს მაინც დაეკითხა: შენი შვილია და საჭიროდ ჩავთვალე, შენგან აზრი მომესმინაო. გადარეულა თურმე ის კაცი — შენი შვილია და როგორიც შენ გამოგადგება, ისეთი გაზარდეო... მამამ ქართული სკოლა დაამთავრა და მისი დამსახურებით, დაძმაც ქართულად ლაპარაკობდა. როცა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნდა, თავისი ღვიძლი დედ-მამის მეზობელი, 13 წლის პატარა გოგონა შეჰყვარებია. მართალია, მაშინ ადრეულ ასაკში ქმნიდნენ ოჯახებს, მაგრამ ასე პატარას მაინც არავინ გაატანდა, ამიტომაც, იმის შიშით, — ამას დაქალებას არავინ აცდის და ვინმემ არ წამართვასო, — არასრულწლოვანი საცოლე მოიტაცა.

**— გოგონას მშობლებმა არ უჩივლეს?**

— კი უჩივლეს, მაგრამ მამას დედაჩემი გუდაუთის მთებში გადაუმალავს და მილიციამ მათ კვალს ვერ მიაგნო. დანაშაული კი მისმა ღვიძლმა მამამ აიღო საკუთარ თავზე — აბა, ინვალიდ ძმადნაფიცს ხომ არ გაუშვებდა ციხეში!... ჩემმა აფხაზმა ბაბუამ ამ საშინელი მუხლით, 12 წელი მოიხადა... იმაზე უცნაური ის იყო, მამაჩემი არასრულწლოვან საცოლეს 3 წელი რომ არ მიჰკარებია. მთაში, ბაბუაჩემის აგარაკზე ცხოვრობდნენ. დედაჩემი სიგიჟემდე ჰყვარებია, მაგრამ მის დაქალებას დაელოდა და ცოლად შემდეგ შეირთო. მისი ძმაკაცები ჰყვებოდნენ, მათთან სტუმრად მისულებს, "პატარძალთან" თოჯინები და ტკბილეული მიგვქონდაო...

დედაც აფხაზია. 5 უფროსი ძმა ჰყავს და წარმოიდგინეთ, რა ამბავს დაატრიალებდნენ პატარა დის მოტაცების გამო. როცა თავიანთი მეზობლის სახლ-კარის გაპარტახებით გული იჯერეს, თურმე ჩემს ქართველ ბაბუას სახლში მიუცვივდნენ, მაგრამ მას მთელი სოფელი გვერდში დაუდგა. მაშინ, სოფელში დაბრუნებულებმა, ბიძაჩემი მძევლად აიყვანეს და მოკვლით დაემუქრნენ... თურმე ცუდ დღეში ჩავარდა ჩემი ქართველი ბაბუა. მისი ჯიუტი შვილის "ხუშტურს" ლამის 2 ოჯახი გადაჰყვა.

ძმადნაფიცი მილიციას ჩაჰბარდა, ხოლო მის ოჯახს ყოველდღე აწიოკებდნენ. რაღას იზამდა — გათამამებულად გაზრდილი შვილობილისთვის ისღა უთქვამს, — მეგონა, უფროსების მიმართ მეტი რიდი გქონდაო, — მაგრამ რის ვაი-ვაგლახით მოტაცებულ ცოლს ხომ არ წაჰგვრიდა!.. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, თვითონ მისულა აფხაზი რძლის ოჯახში და საკუთარი ჯიუტი შვილის საქციელის გამო, მუხლებზე დაჩოქილს უთხოვია პატიება და უთქვამს, — ალბათ იცით, რომ ჩემი გაზრდილი — აფხაზია; ჩემი ღვიძლი შვილი რომ ყოფილიყო, სხვანაირად გავზრდიდი და არც მამამისის ოჯახში გაზრდილი იქნებოდა ასეთი თავხედი... თუკი ვინმე დასასჯელია, ეს მე ვარ და თქვენთან ჩემი ფეხით მოვედიო...

**— როგორ შეხვდნენ?**

— ყველას ეგონა, რომ ბაბუა იქიდან ცოცხალი ვერ დაბრუნდებოდა, მაგრამ აფხაზისთვის სტუმარი, ვინც უნდა იყოს და რა დანაშაულიც უნდა მიუძღოდეს, ისეთივე ძვირფასია, როგორც სისხლით ნათესავი. სტუმრად მისული ადამიანი მათთვის ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც ტაძარში შემთხვევით ნანახი მტერი. თან, მოხუცი კაცი მათთან თხოვნით მისულა და ცუდად როგორ შეხვდებოდნენ?! დედაჩემის მამას უთქვამს, — ეთქვა, თუ ასე უყვარდა ჩემი ქალიშვილი, ას თვალსა და ყურს გამოვიბამდით და ისე გავუფრთხილდებოდით, სანამ სრულწლოვანი გახდებოდაო... ბიძაჩემი, მამაჩემის ძმა მეორე დღესვე გაათავისუფლეს და ოჯახის დაწიოკებაც შეწყვიტეს... როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, დედაჩემი მთიდან სახლში ჩამოუყვანიათ. თურმე უშვილო ბებია საკუთარი ქალიშვილივით ზრდიდა, დიასახლისობას ასწავლიდა. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ სკოლაშიც ატარებდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ, დედ-მამა შეუღლდა და უმაღლეს სასწავლებელშიც ერთად მოეწყო.

**— აფხაზმა ბაბუამ 12-წლიანი სასჯელი მოიხადა?**

— დიახ. ბოლო 2 წელი შრომა-გასწორების კოლონიაში გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მის ოჯახსა და შვილებს მისი ქართველი ბაბუა ჰპატრონობდა... იცით, მიუხედავად იმისა, რომ მისი შვილის გამო კაცს ცხოვრება დაენგრა და ამდენი წელი ციხეში გაატარა, საყვედური არასდროს დასცდენია. როცა დედაჩემი უნახავს, უთქვამს, — ასეთი მშვენიერი რძლისთვის ამდენწლიანი პატიმრობა კი ღირდაო.

**— ქართულ-აფხაზური ომის დროს ამ ორ ოჯახს შორის ურთიერთობა შეიცვალა?**

— ჩემი აფხაზი ბაბუა ციხიდან სრულიად ჯანმრთელი დაბრუნდა, მაგრამ 80-იანი წლების მიწურულს, როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის პირველი შეტაკება მოხდა (გახსოვთ ალბათ, მაშინ რამდენიმე ადამიანიც დაიღუპა), ბაბუას, ნერვიულობის ნიადაგზე, გულის შეტევა დაემართა, რადგან აფხაზების მხარეს მისი ვაჟიც — მამაჩემის ძმაც იყო...

**— თუმცა, როგორც აღნიშნეთ, ორივე ოჯახი ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობით გამოირჩეოდა...**

— დიახ, ასე იყო. ჩემს ძმას მისი აფხაზი ბაბუის ანუ მამაჩემის ძმადნაფიცის სახელი ჰქვია... ბაბუამ ბიძაჩემი გააფრთხილა, — ქართველები ჩვენი ღვიძლი ნათესავები არიან და მსგავსი შეცდომა არ დაუშვაო, — მაგრამ ბიძაჩემი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლასა და ეროვნული საქმის კეთებას მაინც განაგრძობდა. თავიდან ამის შესახებ მხოლოდ მამაკაცებმა იცოდნენ. იცით ალბათ, რომ აფხაზური ტრადიციების თანახმად, ქალები მამაკაცების მორჩილები არიან და ასეთ საქმეებში არასდროს ერევიან, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყველამ ერთად სთხოვა ახალგაზრდა აფხაზს, მეტი წინდახედულება გამოეჩინა, მაგრამ — ამაოდ: ის სახლიდან წავიდა და ერთ-ერთ აფხაზურ დაჯგუფებას შეუერთდა. იმ დროს გაგრის შეტაკებები უკვე დაწყებული იყო. მამამ დიდი გაჭირვებით დაადგინა ღვიძლი ძმის ადგილსამყოფელი და კიდევ ერთხელ სთხოვა, — შეცდომას ნუ დაუშვებო.

**— რას პასუხობდა ბიძათქვენი "ქართველ ძმას"?**

— თავიდან თბილად შეხვდა, თურმე თავჩაქინდრული უსმენდა, მერე კი უთქვამს, — ახლა ჩვენს ხალხს და ქვეყანას გადამწყვეტი მომენტი უდგას, არჩევანი უნდა გავაკეთო, ქართველებისა და აფხაზების მითური ძმური ურთიერთობის მსხვერპლი გავხდები თუ საქვეყნო საქმეს გავაკეთებო... როცა მამა სახლში ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა, მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

**— ვიცი, რომ მან უმაღლესი განათლება თბილისში მიიღო...**

— დიახ, რაც უნდა ბედის ირონია იყოს, ისტორიული ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ საქმეში გამოცდილმა ადამიანებმა გონება ადვილად აურიეს... ყველამ იცოდა, რომ ბიძაჩემი ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ ამაზე საუბარს გავურბოდით. სანამ სოხუმის დატოვება პირველად მოგვიწევდა, რამდენიმე დღით ადრე, შუაღამეს ჩემი აფხაზი ბაბუა მოვიდა. სახე წაშლილი ჰქონდა და ბაბუასა და მამაჩემთან ცალკე საუბარი ისურვა. მე და ჩემი ძმა პატარები ვიყავით, მაგრამ ყველაფერი გვესმოდა და გვაინტერესებდა. ამიტომაც, კარს მიღმა ავიტუზეთ და ვუსმენდით უფროსების ლაპარაკს...

არასდროს დამავიწყდება, როგორ დაიღმუვლა მამაჩემმა, როცა მისმა მშობელმა საუბარი დაასრულა. აფხაზურად საუბრობდნენ, მაგრამ ყველაფერი გვესმოდა და მივხვდით, რომ მამამ შვილი მოკლა. ასე ვუთხარი, ქართველის ტყვიამ რომ მოგკლას, იმას მირჩევნია, ჩემი ხელით მოკვდეო... იცით, ამდენი დაპირისპირების მიუხედავად, ორივე მხარემ იმდენი შეძლო, რომ ყველა პრობლემა უსისხლოდ მოაგვარა და ქართულ-აფხაზური "მორდუობის" ფიცი წმინდად შეინახა, ბიძაჩემმა კი ამ ყველაფერს ანგარიში არ გაუწია... ალბათ ციხეში გატარებული წლები მასზე ცუდად აისახა და შვილთან საუბრისას ნერვებმა უმტყუნა...

**— რატომ მოკლა? იმისთვის, რომ ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა?**

— დიახ, ბევრი რამის გამო: იმისთვის, რომ მან არავის, მათ შორის, უფროსების თხოვნას ანგარიში არ გაუწია, ტრადიციებს პატივი არ სცა და ყველაზე მთავარი — ქართველებთან "მორდუობის" ფიცს უღალატა! ეს კი ჩვენი ხალხისთვის ისეთივე წმინდა და მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი სალოცავი... ამ მკვლელობიდან რამდენიმე ხანში, ჩემი აფხაზი ბაბუა გაგიჟდა, მაგრამ მისმა ქართველმა ძმადნაფიცმა და მამაჩემმა მთაში, უსაფრთხო ადგილას წაიყვანეს. ჩემი აფხაზი ნათესავები რუსეთში გაემგზავრნენ, ჩვენ კი თბილისში წამოვედით. ომის დამთავრების შემდეგ, მამაჩემი თბილისში კოდორის ხეობის გავლით დაბრუნდა. იმ დღეებში იმდენი უბედურება გადავიტანეთ, მეგონა, ემოციას ვეღარ გამოვხატავდი, მაგრამ თურმე ყველაფერი წინ მქონდა: ჩემმა აფხაზმა ბაბუამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მეორე ბაბუის კვალი კი იქ დაიკარგა — სავარაუდოდ, აფხაზებმა მოკლეს...

**— ნანო, როგორ ცხოვრობთ ახლა? თუ გაქვთ აფხაზ ნათესავებთან ურთიერთობა?..**

— მე აფხაზი ვარ, უფრო სწორად — გაქართველებული აფხაზი და ჩემთვის ორივე ერი ახლობელია, არასდროს მიფიქრია, თუ რომელია უფრო ძვირფასი... გარკვეული დროის განმავლობაში მამაჩემის აფხაზ ოჯახთან ურთიერთობა არ გვქონია. მამა თავს იკავებდა, დანაშაულის განცდა აწუხებდა, ამ უბედურებაში ჩემი გამზრდელის წვლილი ურევიაო, მაგრამ ინიციატივა მათგან წამოვიდა, რამაც ძალიან გაგვახარა. აფხაზეთში სახლ-კარი მათაც დაიტოვეს და რუსეთის ქალაქ გორკიში ცხოვრობენ... ინტერნეტითა და ტელეფონით ვეკონტაქტებით ერთმანეთს და აგვისტოში თბილისში ჩამოსვლასაც აპირებენ... ბედნიერი ვარ, რომ ამდენი ტკივილის მიუხედავად, ადამიანური ურთიერთობების გაგრძელება შევძელით.

**ლალი პაპასკირი,**

*ჟურნალ "ზზის" არქივიდან,*
*ინტერნეტსაიტი* ამბები.გე

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# როცა რუსს ეთამაშები, შეაგინე, ანერვიულდება და ადვილად აჯობებო

1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთის სამშობლომ – ინგლისმა უმასპინძლა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ისტორიაში საუკეთესო შედეგი სწორედ მაშინ აჩვენა, არადა, მეტის მიღწევა შეგვეძლო. იცით, გავედით თუ არა ნახევარფინალში, ბევრმა ჩათვალა, რომ „ამოცანა შესრულებულია" და მომდევნო შეხვედრებში ვალის მოხდის მიზნით გავიდა მინდორზე. ამას რაც მოჰყვა, კარგად იცით.

მესამე ადგილისთვის პორტუგალიელებს შევხვდით. მატჩის წინ სიზმარში ვნახე – თითქოს საჯარიმოში ხელით ვითამაშე. ამის შესახებ ჟორა სიჭინავას დილითვე ვუამბე, მან კი მეგრულად მითხრა – ღმერთი არ გაგიწყრეს, ასეთ რამეზე ფიქრს მოეშვიო... მწვრთნელებისგან ვიცოდი, რომ ეუსებიოს წინააღმდეგ უნდა მეთამაშა, მაგრამ შუადღით გამომიცხადეს, ტორესი უნდა აიყვანოო. ის ლამის ორმეტრიანი თავდამსხმელი იყო, ჩემზე გაცილებით მაღალი... ერთ მომენტში ავუხტი და სწორედ მაშინ ამიხდა სიზმარი – ბურთი ხელზე მომხვდა. თამაშის შემდეგ ჩემთვის არავის უსაყვედურია, მაგრამ ეს ჩემთვის ვერაფერი ნუგეში იყო.

ინგლისში, ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე საბჭოთა კავშირის ნაკრებს „პუმას" დელეგაცია ესტუმრა და მსოფლიო ჩემპიონატზე მათი ეკიპირებით გამოსვლა შესთავაზა. ამის სანაცვლოდ „პუმა" საკმაოდ სოლიდურ თანხასაც იხდიდა. მე და ჟორა სიჭინავამ პუმას ბუცები რომ მოვირგეთ, კინაღამ გავგიჟდით, ისეთი მაგარი იყო! ჩვენ ხომ რაღაც საბჭოთა საშინელება გვეცვა. ეს ამბავი რომ გაიგო, მეორე დღეს „ადიდასმა" მოავლინა თავისი ხალხი. ისევე როგორც „პუმამ", „ადიდასმაც" დაგვიტოვა ბუცები და მაისურები. საღამოს სიჭინავამ მითხრა: იცი რას ვიზამ, ფულს ორივეს გამოვართმევ, ერთ ფეხზე „ადიდასს" ჩავიცმევ, მეორეზე „პუმასო"... ცხადია, ერთი ეკიპირებაც არ შეგვერჩა – დელეგაციის ხელმძღვანელებმა ორივე წინადადება იუარეს, აქაოდა, საბჭოთა სპორტსმენს ისე არ უჭირს, კაპიტალისტებმა ჩააცვანო.

ჩემი აზრით სსრკ-ს ნაკრები ყველაზე ძლიერი 1967-1968 წლებში იყო – მაშინდელი რეიტინგით ევროპის ნომერ პირველი გუნდი ვიყავით! იმ წლებში ჩვენი მომგები არავინ იყო ბობი ჩარლტონის და გორდონ ბენქსის ინგლისით დაწყებული და ჯანი რივერას და სანდრო მაცოლას იტალიით დასრულებული. მაგრამ მაშინდელი სისტემის უბედურებაც ის იყო, რომ როგორც კი რამე კარგი გაკეთდებოდა ან შეიქმნებოდა, უმალ მის ნგრევას იწყებდნენ. ის გუნდიც საკავშირო ფედერაციის მესვეურებმა ფაქტიურად, ძალით დაშალეს – ვალერი ვორონინი, ედუარდ სტრელცოვი და იოზეფ საბო ერთიმეორეზე სულელური ბრალდებით გარიცხეს გუნდიდან.

1968 წელს მოსკოვმა ჩეხოსლოვაკია „გააწითლა", პრაღაში საბჭოთა ჯარების შეჭრიდან მცირე ხანში კი მათ ნაკრებს ორჯერ ვეთამაშეთ. მოსკოვში 3:2 მოვიგეთ – მე, იგორ ჩისლენკომ და ვიქტორ ანიჩკინმა გავიტანეთ გოლები, პრაღაში კი... იქ მასპინძლებმა ამბავი დაგვმართეს, მსგავსი არაფერი მინახავს! მოურიდებლად გვირტყამდნენ, არაფერი აინტერესებდათ... ისე დავშავდი, ორი თვე ბურთს ვერ გავეკარე, ჩისლენკომ და ანიჩკინმა კი, ფაქტობრივად, იმ შეხვედრის შემდეგ კარიერა დაასრულეს. თან არ დაგავიწყდეთ, იმ დროს შეცვლა ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა და ჩვენმა გუნდმაც 8 ფეხბურთელით დაასრულა მატჩი.

მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე ბულგარეთში ვემზადებოდით – კუნთი სწორედ იქ გამიწყდა. ვიფიქრე, ეს ტურნირი უჩემოდ ჩაივლის-მეთქი, მაგრამ მწვრთნელებმა მაინც ჩამრთეს გუნდში. იმ ნაკრებში ჩემთან ერთად იყვნენ რევაზ ძოძუაშვილი, გივი ნოდია, კახი ასათიანი, სლავა მეტრეველი და ანზორ კავაზაშვილი. ურიგო შემადგენლობა ნამდვილად არ გვყავდა, მაგრამ ურუგვაისთან კურიოზული გოლი გავუშვით და ნაადრევად დავბრუნდით შინ.

ევროპის 1972 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს შევხვდით. ჩავედით ბელფასტში და საითაც არ გაიხედავდი, ყველგან ჯორჯ ბესტის ფოტო გხვდებოდა თვალში. კი, მას მაშინ კარიერის პიკი გადავლილი ჰქონდა, მაგრამ მაინც ფანების კერპი იყო – სარეკლამო ფირნიშებიდან, გაზეთებიდან, მაღაზიის ვიტრინებიდან, ძეხვეულიდანაც კი ჯორჯ ბესტი გიღიმოდა! იქაური ახალგაზრდობა გიჟდებოდა მასზე, აღმერთებდნენ! ჩვენს წინააღმდეგ კი ითამაშა, მაგრამ რეზო ძოძუაშვილმა შავი დღე აყარა – გასაქანი არ მისცა. თუ არ ვცდები, თამაშის მერე ბესტმა რეზოს მაისურიც გაუცვალა.

სანამ ევროპირველობის ფინალური ეტაპი დაიწყებოდა, საზეიმოდ გაიხსნა მიუნხენის ბრწყინვალე „ოლიმპიაშტადიონი", რომელიც სპეციალურად იმ ზაფხულს დაგეგმილი ოლიმპიური თამაშებისთვის ააგეს. გახსნის მატჩში მასპინძლებს ჩვენ ვეთამაშეთ – 1:4 წავაგეთ. გერმანელები დიდებულად დაგვხვდნენ: ყურადღებას არ გვაკლებდნენ, ჩვენ გუნდს ახალთახალი BMW-ს მარკის ავტომობილებით ემსახურებოდნენ... ერთი დღით ადრე ორივე გუნდის ფეხბურთელებმა სტადიონის ტერიტორიაზე ხეებიც დავრგეთ, საღამოს კი საზეიმო ბანკეტზე გუნდის კაპიტნებმა, ფრანც ბეკენბაუერმა და მე „ოლიმპიაშტადიონის" ფორმის ტორტიც გავჭერით.

ევრო 72-ის ფინალში ჩვენ გასვლას არავინ ელოდა. მაშინ ნაკრები გადახალისების პროცესში იყო, ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ ოთხნი დავრჩით: მე, რეზო ძოძუაშვილი, ევგენი რუდაკოვი და ვლადიმირ კაპლიჩნი. არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ახლები, მაგალითად ედუარდ კოზინკევიჩი, ანატოლი ბაიდაჩნი და ოლეგ დოლმატოვი ნამდვილად ჩამოუვარდებოდნენ წინამორბედებს. მიუხედავად ამისა, მაინც შევძელით მეორე ადგილის დაკავება. ფინალში უშანსოდ ვიყავით. ისე, ის გერმანიის ნაკრები ყველა დროის საუკეთესო ბუნდესგუნდადაა აღიარებული.

ფინალი 0:3 წავაგეთ – ლეგენდარულმა გერდ მიულერმა ორი გოლი გაგვიტანა. ერთი წლის შემდეგ, მოსკოვში, ლევ იაშინის გამოსათხოვარი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მიულერმაც ითამაშა. მატჩის წინ მას იაშინისთვის უთქვამს, დიდი ბოდიში, მაგრამ თამაშის სტატუსის მიუხედავად, გოლი უნდა გაგიტანოთ, რადგან, ჯერ თქვენთვის გოლი არ შემიგდიაო. უცბად იაშინი მეძახის და მეუბნება: „მურზიკ, გეხვეწები, ყველანაირად ეცადე, რომ მიულერმა გოლი არ გამიტანოს". იმ შეხვედრაში პერსონალურად ვითამაშე ამ მართლაც დიდებული ფორვარდის წინააღმდეგ და არ გავატანინე!

როცა უცხოეთში მივდიოდით, ყოველთვის გვახლდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელი, ხანდახან რამდენიმე. ჩვენ, გუნდის წევრები მათ ადვილად ამოვიცნობდით ხოლმე – როგორც წესი, ასეთებს მასაჟისტად ან ექიმად აფორმებდნენ.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩემი საუკეთესო პარტნიორი ალბერტ შესტერნიოვი იყო, მასთან დიდხანს ვმეგობრობდი. ბევრმა შეიძლება არც იცოდეს: ის მძლეოსანი იყო, 100 მეტრზე სირბილში ასპარეზობდა, ფეხბურთის თამაში კი გვიან დაიწყო. სამწუხაროდ, ძალიან უყვარდა დალევა, ხოლო პირადი ცხოვრება რომ აერია, საერთოდ თავით გადაეშვა სასმელში. შესტერნიოვს სიგიჟემდე უყვარდა მოციგურავე შჩუკინა, დაქორწინდნენ კიდეც, მაგრამ მალე დაშორდნენ. ალბერტმა ეს ძალიან განიცადა.

1972 წელს ოლიმპიურ თამაშებზეც ვიასპარეზე. ჩვენი გუნდი მაშინ ტურნირის ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ პოლონელებთან მსაჯმა „მოგვიმთავრა" საქმე – ჩვენ კარში არარსებული პენალტი დანიშნა. სხვათა შორის, ის თამაში თითქმის ერთი საათით შეწყდა – ოლიმპიურ სოფელში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო, არავინ იცოდა გაგრძელდებოდა თუ არა მატჩი.



**სამწუხაროდ, 96 წლის ასაკში გარდაიცვალა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ ომში ჰიტლერულ ფაშიზმთან გამარჯვებული სსრკ-ს არმიის მეომარი და ზუგდიდის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, ბატონი შოთა თოდუა...**

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის სახელით გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებ ბატონი შოთას ჭირისუფალთ და ასევე თითოეულ იმ ადამიანსაც, ვისაც გული დასწყვიტა ამ მეტად ღირსეული პიროვნების გარდაცვალებამ...**

**უფალმა აცხონოს თქვენი სული, ბატონო შოთა...**

**ღორონთქ ოჩხონუას თქვანი შური, პატენი შოთა...**

**ზურაბ კვარაცხელია**



## კინორეჟისორი მილოშ ფორმანი გარდაიცვალა

**86 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩეხური წარმოშობის კინორეჟისორი მილოშ ფორმანი. როგორც ბიბისი მისი მეუღლის განცხადებაზე დაყრდნობით წერს, რეჟისორი 13 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ფორმანის გადაღებულია ცნობილი, ოსკაროსანი ფილმები, „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", ასევე, „ამადეუსი" და სხვა. ფორმანი 1932 წელს დაიბადა ქალაქ ჩასლავში და 1968 წლის მოვლენების, „პრაღის გაზაფხულის"შემდეგ აშშ-ში გადასახლდა. აღსანიშნავია მისი ნამუშევრები, 1979 წელს გადაღებული „თმა" და 1981 წელს შექმნილი, „რეგტაიმი", ასევე 1996 წლის – „ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ".**

## იუმორი

– ქუთაისელი მეგობარს შეხვდა:
– რაია, ბიჭო, რა კარგად გაცვია, ვისია ეს კოსტუმი?
– პიერ კარდენის!
– შარვალი ვიღასია?
– შარვალიც პიერ კარდენისაა!
– "საროჩკა"?
– "საროჩკაც" პიერ კარდენისაა!
– სულ დაკარგე, ბიჭო, ნამუსი?! ტიტველი დატოვე კაცი?

* * *

ორი გურული შეხვდა ერთმანეთს:
– რაო, ძამა, რა ქნა ჩვენმა გუნდმა?
– რა ვიცი, ძამია, 11:0 წაუგიათ.
– კი მარა, რაიო, ჩვენ მეკარემ, რეიზა არ წავყევი გუნდსო?!

* * *

– ძვირფასო, ნახე, შენი პერანგი როგორ გათეთრდა? მე ის "ტაიდით" გავრეცხე!
– კარგია, მაგრამ მე ის ლურჯი ზოლებით უფრო მომწონდა...

* * *

ქართველი მოსკოვში დგას ლამაზ, ტანაშოლტილ გოგონასთან ერთად. გამოიარა მეორე ქართველმა და უთხრა:
– ვა, რა ჯეირანივით გოგოა!
რომ წავიდა, გოგონა ეკითხება:
**"Что он сказал"?**
**"Он сказал, что ты горный козел?"**





**სასწაულმოქმედი პრეპარატები "დომენტოლი" და "გაგენოლი" მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში**

დომენტი გაგნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში,* C*-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან





გაზეთ "ილორისათვის" ფინანსური დახმარების მსურველებს შეუძლიათ გადმორიცხონ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიზე:

ს.ს „ლიბერთი ბანკი"

ანგარიშის ნომერია: GE79LB0711188020717000

ანგარიშის №ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში

მფო: 220101480

მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"

ი. ჭავჭავაძის გამზირი 74

თბილისი, 0162, საქართველო

მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22

ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია,

ტელ. 571 22 66 34

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი მიხეილ ჩოდრიშვილი,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge